ლელო

№101 (12 171)

2 მაისი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარშანდელნი

## 26 მაისს, ფინალში: ამერი vs ზესტაფონი



## ორსაათიანი სასწაული ბოლნისში: ამერს სიონი კინაღამ გაექცა

3



# არ იშლის ტოპი თავისას...

## 2010 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ვითამაშებთ

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

2

# ათენის ბილეთი ლივერპულს!

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

**ლივერპული–ჩელსი 1:0. პენ. 4:1 (0:1)**

ლივერპული: რეინა, ფინენი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი (78. ჩაბი ალონსო), ჯერარდი, მასკერანო (118. ფაულერი), ზენდენი, კრაუჩი (106. ბელამი), კუიტი.

ჩელსი: ჩეხი, პაულო ფერეირა, ესიენი, ტერი, ე. კოული, მაკელელე (118. ჯერემი), ლემპარდი, ობი მიკელი, ჯ. კოული (98. რობენი), კალუ (108. რაიტ-ფილიპსი), დროგბა.

გოლი: 1:0 აგერი (22)

პენალტები: ზენდენი 1:0, რობენი 1:0 (მეკარე), ჩაბი ალონსო 2:0, ლემპარდი 2:1, ჯერარდი 3:1, ჯერემი 3:1 (მეკარე), კუიტი 4:1.

მაყურებელი: 45 166

არბიტრი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**სტატისტიკა (ძირ. დრო)**

მატჩი დაიწყო: ჩელსი

პირველი ჯარიმა: ლივერპული

პირველი კუთხური: ჩელსი

პირველი გაფრთხილება: ჩელსი

| | | |
|---|---|---|
| 9 (4) | დარტყმა | 7 (1) |
| 24 | ჯარიმა | 15 |
| 3 | კუთხური | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 57% | ბურთის ფლობა | 43% |

ბრავო, რაფა! ამ კაცის ხელში "ლივერპული" მეორედ გადის ჩემპიონთა ლიგის ფინალში. "ენფილდის" მატჩი, თავისი შინაარსით, ზედგამოჭრილი იყო საპენალტო ჯოჯოხეთისთვის, თუმცა კი, საამისოდ, ნახევარფინალის მონაწილენი ნამდვილად არ გვემეტებოდნენ...

ეს იყო მატჩი, რომელშიც ორივე გუნდს, თითქოს, შეტევაზე ჰქონდა აქცენტი აღებული, მაგრამ აშკარად ჩანდა ის დიდი სიფრთხილეც, რაც ორივეს აიძულებდა, საკუთარი კარის უსაფრთხოებისთვის გაცილებით მეტი ძალა დაეხარჯა. მაშინაც კი, როცა ჯერარდი-აგერის კარგად დამუშავებულმა კომბინაციამ "ლივერპული" დააწინაურა, "ჩელსიმ" თამაშში გარდატეხის შეტანა ვერ შეძლო. პრაგმატული მოურინიოს მიზანი იყო, მეტოქე სწორედ ფრთხილი თამაშით გამოეჭირა, მაგრამ ბოლოს მაინც დაღვრემილი დარჩა...

11-მეტრიანების სერიაში კი გმირად იქცა თითოეული ლივერპულელი, ვინც უნაკლოდ შეასრულა თავისი მისია, და მეტადრე, მეკარე რეინა, რომელმაც ორჯერ ივარგა და თავისიანებს ათენის ბილეთი დაუბევა. თუ დღეს "მილანი" გავა, ორი წლის წინანდელი ფინალი განმეორდება. შესაბამისად, კახა კალაძესა და მის თანაგუნდელებს რევანშის შანსი ექნებათ, თუ არა და, ინგლისური ფინალი ნაკლები იქნება განა?




## დღეს: მილანი vs მანჩესტერი. კალაძე მალდინის ნაცვლად?

6

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

# ჩვენ მსოფლიო ჩემპიონატზე ვითამაშებთ



კლაუს ტოპმიოლერი

**ეროვნული ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი თბილისშია. მანამდე ის დასავლეთ საქართველოს სტუმრობდა ნოდარ ახალკაცთან ერთად. მის მიმართ არაერთი კითხვა დაგვიგროვდა და პასუხის მისაღებად მასთან გასაუბრება გადავწყვიტეთ. საუბარი მისი რეგიონებში სტუმრობის თემით დავიწყეთ.**

- დასავლეთი საქართველოდან დიდი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი. ჩემი თვალით ვნახე, იქ ფეხბურთის როგორი ბუმია. მართალი გითხრათ, ასეთ აჟიოტაჟს ნამდვილად არ მოველოდი. ზუგდიდში მშვენიერი სტადიონის მშენებლობა მიმდინარეობს, ბათუმში კი ასევე ჩინებული სტადიონის ჯერ მხოლოდ მონახაზია. თავად ვიხილე ბავშვებისა და ჭაბუკების ალტკინება. ისინი მოწადინებულნი არიან საფეხბურთო ცხოვრების მონაწილენი იყვნენ. ჩემი აზრით, ეს ბუმი ფეხბურთის ფედერაციის სწორი მუშაობითაა განპირობებული. რამდენადაც ვიცი, ორი წლის წინათ ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზარდა. ამ გონივრული ნაბიჯის შედეგს რეგიონებში დღეს ვიმკით და ეს მომავალში უფრო თვალშისაცემი გახდება.

**- ახლახან სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა. შედეგების მიხედვით ფეხბურთის ფედერაციისა მუშაობა და ეროვნულ ნაკრებში თქვენი მოღვაწეობა დადებითად შეფასდა...**

- ჩემი აზრით, ქართული ფეხბურთი განვითარების სწორ გზაზე დგას, რაც ფეხბურთის ფედერაციის დამსახურებაა. ამ პროგრესის დასტურად არაერთი ფაქტი გამოდგება. ეს ფიფას რეიტინგშიც სათანადოდ აისახება - ერთი წლის განმავლობაში ნაკრებმა 20 საფეხურით წინ წაიწია და ბოლო ორი თვის განმავლობაში ამ პოზიციის შენარჩუნებაც შეძლო. ფეხბურთის ფედერაციის სწორი მუშაობა, რეგიონებში სტუმრობისას, ბავშვების ანთებულ თვალებშიც დავინახე. თუმცა ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ.. რამდენიმე მნიშვნელოვანი წამოწყება ბოლომდე მისაყვანია, რაც აუცილებლად მოგვიტანს სერიოზულ შედეგებს. ამის თქმის უფლებას მაძლევს არა მხოლოდ ეროვნული, არამედ სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების პროგრესი.

**- ორ კვირაზე ნაკლები და ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია. ეს თქვენთვის, როგორც ქართული ფეხბურთის ნაწილისთვის, ალბათ, მნიშვნელოვანია...**

- ამ პროცესში ნეიტრალიტეტს ვინარჩუნებ. მე საფეხბურთო, საორგანიზაციო საკითხები, ინფრასტრუქტურის განვითარება მაინტერესებს. საორგანიზაციო კუთხით ფედერაციის მუშაობა ჩინებულია. ინფრასტრუქტურის მხრივაც თვალსაჩინო ძვრებია, მაგრამ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

ერთხელაც ვიტყვი, ვამჯობინებ არჩევნების საკითხში ნეიტრალური ვიყო. თუმცა არ დავმალავ, რომ ნოდარ ახალკაცთან თბილი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. სწორედ ეს ურთიერთობა იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი რომ გავხდი. ასე რომ, „მაწორი არ იქნება, რომ არ ვთქვა, ჩემი სიმპათია, რალა თქმა უნდა, ნოდარ ახალკაცისკენ იხრება, მაგრამ, საერთო ჯამში, მაინც ნეიტრალური დავრჩები.

ვფიქრობ, ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოების ყურადღება წმინდა საფეხბურთო საკითხებზე იყოს მიპყრობილი. უმჯობესია, გულშემატკივართა ინტერესი უფრო მეტად იყოს მიმართული იმისკენ, გახდება თუ არა ლევან კობიაშვილის "შალკე" გერმანიის ჩემპიონი, შეძლებს თუ არა კახი კალაძის "მილანი" ჩემპიონთა ლიგის მოგებას... სამწუხაროდ, შოთა არველაძის "ალკმაარმა" ოქროს მედლები ვერ მოიგო, მაგრამ იმედია, თასს მაინც მოიპოვებს. შოთა ახალგაზრდა არაა და ვიცი, მისთვის მეტად მტკივნეული იყო შანსი რომ ვერ გამოიყენეს. არადა, ჩემპიონობა მისი კარიერისთვის მშვენიერი გვირგვინი იქნებოდა. თუმცა ეს ფეხბურთია, რომელსაც უსაზღვრო სიხარულთან ერთად ტკივილი და სინანულიც ახლავს ხოლმე.

**- ერთ თვეში ეროვნულ ნაკრებს ლიტვასა და საფრანგეთში მნიშვნელოვანი მატჩები ელის. ალბათ მალე შემადგენლობასაც დაასახელებთ და მასში რამე სიახლეს ხომ არ უნდა ველოდოთ?**

- პირველ რიგში, არ მინდა დავკარგო იმედი, რომ ნაკრები ამჯერად მაინც შეიკრიბება სრული შემადგენლობით. რაც შეეხება შემადგენლობასა და სიახლეებს, მომიტევეთ, მაგრამ ამაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია.

**- ბოლო დროს "კაიზერსლაუტერნთან" დაკავშირებით თქვენმა სახელმა არაერთხელ გაიჟღერა. გერმანულ პრესაში ისიც კი დაიწერა, კლაუს ტოპმიოლერი ახალ სამუშაოს ეძებს და ვოლფი იმიტომ გააკრიტიკაო. ამაზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ნაწილობრივ კი, მაგრამ დეტალურად არ ვიცი, თუ როგორ გაშუქდა ეს ქართულ პრესაში. "კაიზერსლაუტერნიდან" მართლაც მქონდა შემოთავაზება, მაგრამ მიმდინარე წლის ბოლომდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს, კიდევ ორი წლით გაგრძელების პერსპექტივით. რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენებ ფრაზას, ასეთ საგაზეთო სტატიებზე კომენტარის გაკეთება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ჩვეულებრივი რამაა და სულაც არ მიკვირს, რომ ე. წ. სამწვრთნელო ბაზარზე ჩემი სახელი სხვადასხვა კონტექსტში მოიხსენიება. მალე ბუნდესლიგა დამთავრდება, ზოგი გუნდი მწვრთნელს გაუშვებს და ვიცი, ჩემი სახელი კიდევ არაერთხელ ამოტივტივდება. ასე რომ, ამაში გასაკვირი არაფერია... ხელშეკრულება არასდროს დამირღვევია და ახლაც არ მაქვს სურვილი სხვაგვარი გადაწყვეტილება მივიღო. მე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაქირავებული მწვრთნელი ვარ და თუ ვინმეს ჩემდამი ინტერესი გააჩნია, სწორედ ამ ფედერაციის ხელმძღვანელობას უნდა მიმართოს. არც იმას დაგიმალავთ, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ თურქეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი წამყვანი კლუბის ხელმძღვანელობა დამიკავშირდა და მათაც ვუთხარი, რომ მოქმედი კონტრაქტი მაქვს.

**- ვამბობთ, რომ ნაკრებში თამაშის ხარისხი გაუმჯობესდა, მაგრამ შედეგებში სათანადოდ ეს კიდევ არ აისახება. საამისოდ რა არის საჭირო?**

- პირველ რიგში, აუცილებელია, ფეხბურთელები ჯანმრთელად იყვნენ. ამაში ყველა წამყვანი ფეხბურთელის მწყობრში ყოფნას ვგულისხმობ. ყურადღება უნდა გავამახვილოთ ახალგაზრდა ფეხბურთელებზეც. ჩვენ შევძლებთ მათი დიდ ფეხბურთელებად ჩამოყალიბებას. ახალგაზრდებს ჯერ კიდევ აქვთ დრო საიმისოდ, გოლმოდგინედ იმუშაონ საკუთარ თავზე და კარგ ფორმაში შეხვდნენ მომდევნო შესარჩევ ციკლს. მჯერა, რომ ჩვენ შევძლებთ, ახალი არველაძის, კალაძის, ყიფიანისა და ჩივაძის გამოზრდას...

განვლილ მატჩებს თუ გადავხედავთ, აშკარაა, რომ ნაკრებმა პროგრესი განიცადა. ეს თამაშები ჩვენი გუნდისთვის მართლაც რომ დიდი სკოლა იყო. ფეხბურთელებმა მეტად ირწმუნეს საკუთარი ძალების და სწამთ, რომ ყველა გუნდთან შეგვიძლია წარმატებული თამაში. თუნდაც უკრაინასა და შოტლანდიასთან მატჩები ავიღოთ. ორივე შეხვედრაში არათუ წაგებას არ ვიმსახურებდით, ფრის შემთხვევაშიც კი ცოდო იქნებოდა ჩვენი გუნდი. ჯერ კიდევ სწავლის პროცესში ვართ და სამწუხაროდ, მარცხის თავიდან აცილება არ მოხერხდა. თუმცა ასეთი თამაშები, რომელიც დანის წვერზე გავლას ჰგავს, მომავალში ჩვენს სასარგებლოდ უნდა გადავწყვიტოთ.

**- თქვენგან და ფედერაციის ხელმძღვანელობისგან ხშირად გვსმენია, ჩვენი მიზანი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობააო. ამ მიზნის განხორციელება რამდენად რეალურად მიგაჩნიათ?**

- ასე რომ არ ვფიქრობდე, მაშინ საქართველოში არც ვიქნებოდი. უკვე წელიწადზე მეტია, რაც ნაკრებს ვხელმძღვანელობ და ერთხელაც კი არ შემპარვია ეჭვი ამ გუნდის პოტენციალში. აქ დიდი საფეხბურთო ნიჭია და მისი სათანადოდ გამოყენებაა საჭირო. ამასთან, მსიამოვნებს იმ გარემოში მუშაობა, რომელიც ჩვენ გარშემოა შექმნილი. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ თავს ქართველადაც ვთვლი.

მიმდინარე შესარჩევ ციკლში, მეტოქეებად საფრანგეთი და იტალია გყავს. ამხანაგური თამაშები გავმართეთ ისეთ გამორჩეულ ნაკრებებთან, როგორებიც არიან პარაგვაი, გერმანია, ურუგვაი და თურქეთი. ყველამ კარგად იცით, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს ბრაზილიასა და არგენტინასთან. ამ გუნდებთან თამაშებში ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები ბევრს სწავლობენ. გუნდი გამოიწრთობა, ტაქტიკა-სტრატეგიის ახალ ვარიანტებს დავამუშავებთ, ფეხბურთელები გამოცდილებას გაიმდიდრებენ, თავდაჯერება მეტი ექნებათ, ფსიქოლოგიურადაც მზად იქნებიან... ყველა ამ კომპონენტის კრებული კი იმისი საფუძველია, რომ ჩვენ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვითამაშებთ.

**- დაბოლოს, ალბათ დაესწრებით 5 მაისის მატჩს რუსთავში. ფაქტობრივად, ეს სეზონის ოქროს მატჩია, რომელიც ჩემპიონის ვინაობას გაარკვევს. რას იტყოდით ამ მატჩსა და მეტოქეებზე?**

- ამ თამაშს აუცილებლად დავესწრები. საინტერესო საფეხბურთო სანახაობის მომსწრენი უნდა გავხდეთ. იმედი მაქვს, თამაში სამართლიანად, ობიექტურად წარიმართება და საუკეთესო გაიმარჯვებს. რაც შეეხება მეტოქეებს, ორივე გუნდს ჩინებული სეზონი ჰქონდა და 5 მაისს რომელმაც არ უნდა მოიგოს, დასკვნა ერთი იქნება – საქართველოს ღირსეული ჩემპიონი ეყოლება. არც იმას დაგიმალავთ, რომ აბსოლუტურად ნეიტრალური ვარ, ორივე გუნდს წარმატებას ვუსურვებ და შაბათს საფეხბურთო ზეიმის მოლოდინში ვარ.

დავით ცაბაძე



საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი
სარბიელი

05.05.2007 - 23-ე ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| ჩიხურა-ბორჯომი | კახეთი-სიონი |
| ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ) | მაღაროელი-გაგრა |
| ოლიმპი-დინამო (თბ) | ზენიტი-კრილია სოვეტოვი |
| მერანი-დილა | მილანი-ფიორენტინა |
| ლოკომოტივი-ამერი | სპარტაკი (მოს)-რუბინი |
| ზესტაფონი-ტორპედო | |

## თარიღი

მიხეილ ბერძენიშვილი. 02.05.1914, თბილისი - 21.06.1981, იქვე. ფეხბურთი, თავდამსხმელ-ნახევარმცველი. თამაშობდა თბილისის "დინამოში" (1936-46). სსრკ ჩემპიონატების უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 129 მატჩი (36 გოლი). სსრკ ჩემპიონატების ორგზის მეორე (1939, 40) და ორგზის მესამე (1936 შემოდგომა, 46) პრიზიორი. სსრკ თასის გათამაშების სამგზის ფინალისტი (1936, 37, 46). იყო თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი (1948) და გუნდის უფროსი (1955-57). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშება

ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები

**სიონი-ამერი**

**4:1**

**დამატებით დროში (ძ.დ. 3:0)**
01.05. ბოლნისი. თ. სტეფანია
750 მაყურებელი

**პირველი მატჩი 0:3**

1:0 ჩასემი (13), 2:0 კორლალიძე (35, ჩასემის პასით), 3:0 ქარდავა (82), 3:1 დავითაშვილი (97, ნინამძღვრიშვილის პასით), 4:1 ქარდავა

სიონი: მამალაძე, კობაური, სვანიძე, ორბელაძე, ბოიომო, სილაგაძე (58. ბაბუნაშვილი), კორლალიძე, ბაჯელიძე (78. ბ. ცხადაძე), ალავიძე, დარასელია (81. ქარდავა), ჩასემი

*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი, უგრეხელიძე*

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დოლიძე, ბოლქვაძე (98. ჩიკვილაძე), დობროვოლსკი, ჯელაძე (46. დეკანოსიძე), დავითაშვილი, ტატანაშვილი (58. ნინამძღვრიშვილი)

*სათადარიგოები: ნაჭყეპია, კაკაშვილი, გაბისკირია, ჩიმაკაძე*

გაფრთხილება: ელბაქიძე (25), ბოიომო (44), დავითნიძე (71)

გაძევება: ელბაქიძე (110)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

# სად არის პენალტები?!



დავითნიძისა და ჩასემის ორთაბრძოლა

ერთი შეხედვით, შარშანდელი ფინალის განმეორებას წინ არაფერი უნდა დასდგომოდა, მაგრამ ბოლნისში გუნდებმა როლები გაცვალეს. თუკი გლდანში "ამერი" დომინირებდა, გუშინ "სიონის" უპირატესობა იყო აშკარა. მასპინძლებს სასწაულამდე სულ მცირედი დააკლდათ.

გლდანელთა თავკაცი **გიორგი ჩიხრაძე** თამაშამდე ამბობდა, ზედმეტი თავდაჯერება არაფერს გვარგებსო. მწვრთნელის წინათგრძნობა გამართლდა, მისმა შეგირდებმა მატჩის მნიშვნელობა კარგად ვერ გააცნობიერეს. "სიონის" ყოველი გოლის შემდეგ კი ამერელებს უფრო მეტად უჭირდათ სიტუაციის კონტროლი.

მათი ბედი, რომ უნაკლონი არც მასპინძლები იყვნენ. დამატებითი დროის მე-7 წუთზე, გადამწყვეტი გოლისას, "სიონის" დაცვამ უხეში შეცდომა დაუშვა. **ნინამძღვრიშვილმა დავითაშვილი** დასარტყამ პოზიციაზე გაიყვანა და "აზრეზამ" მოჭრილი ცაციათი გაახვია ბურთი მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში. ლოგიკურია, რომ ფინალისმომტანი გოლი დავითაშვილმა შეაგდო, ამერელთაგან იგი აშკარად გამორჩეული იყო, უდიდესი მოცულობის სამუშაო შეასრულა, მეორე ოვერტაიმის მიწურულსაც კი ენერგიულად მოძრაობდა, მაშინ როცა სხვებს სიარულიც კი უჭირდათ. ბოლნისელებმა ნამატჩევს არბიტრ **ფანიაშვილის** გადაწყვეტილება გააპროტესტეს, მათი აზრით, დავითაშვილის გოლამდე რამდენიმე წამით ადრე "ამერის" სასარგებლოდ უსაფუძვლო ჯარიმა დაინიშნა.

"სიონის" შემადგენლობიდან კამერუნელები გამოირჩეოდნენ. **ბოიომოს,** ფაქტობრივად, ერთი ორთაბრძოლაც კი არ წაუგია, 2:0-ზე კი საკუთარი გუნდის კარი სასწაულებრივად გადაარჩინა, როცა დავითაშვილის დარტყმის შემდეგ აკრობატული ნახტომით ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

**ჩასემს** ბოლო დროს სტაბილურობა აკლია, თორემ როცა თამაში მისდის, ყველაფერს უმაღლეს დონეზე აკეთებს. გუშინ იგი "სიონის" თითქმის ყველა შეტევის მთავარი გმირი იყო, ოღონდ ნაკლებად ეფექტური გახლდათ დამატებით დროში, როცა **ცხადაძისა** და **ქარდავას** მოედანზე შესვლის შემდეგ, ნახევარდაცვაში დაიწია.

"ამერმა" შეხვედრა აქტიურად დაიწყო, მაგრამ რამდენიმე წუთში ინიციატივამ სრულად გადაინაცვლა ბოლნისელთა მხარეს. პირველი გოლიც მალე გავიდა. **კორლალიძისა** და დარასელიას დარტყმებს მცველები გადაეღობნენ, ჩასემმა აუღელვებლად დაამატა და ბოლნისურ პუბლიკას იმედი ჩაუსახა.

"სიონმა" თამაში იმავე ტემპში განაგრძო და მეტოქის საჯარიმოზე დაწოლა გააძლიერა. პირველი ტაიმის დასრულებას ათი წუთი აკლდა, როცა ჩასემმა "ამერის" მეკარისა და მცველების არადამაჯერებელი ქმედებით ისარგებლა და ბურთი ცარიელი კარის წინ მდგომ კორლალიძეს თავზე დაასვა - 2:0. სიტყვამ მოიტანა და ლევანი გუშინ ბევრად უფრო სასარგებლო იყო, ვიდრე "სიონის" წინა მატჩებში.

ტაიმის ბოლოს **კობაურმა** ააცილა ახლო მანძილიდან, დავითაშვილს კი **მამალაძემ** აუღო.

ბოიომოს გმირობაზე უკვე გითხარით, ეს მეორე ნახევრის ერთ-ერთი გამორჩეული ეპიზოდი გახლდათ. მეორე 45 წუთში "ამერი" ცოტა გამოცოცხლდა და დაცვაში ყურადღებიან თამაშთან ერთად, მოწინააღმდეგის საჯარიმოშიც ცდილობდა ხეირის პოვნას. კარგი მომენტი ჰქონდა **დოლიძეს**, რომლის დარტყმულსაც "სიონის" გოლკიპერი გადაეღობა.

ძირითადი დროის ბოლო მონაკვეთში მოედანზე "სიონის" კიდევ ორი ფორვარდი შევიდა, ბოლნისელთა ბოლო იმედმა ქარდავამ ქვაჩახიას კარი ბურთთან პირველივე შეხებით დალაშქრა - უპირველეს ყოვლისა, ამერული დაცვის შეცდომით.

სტუმართათვის ყველაზე კრიტიკულ ეპიზოდად ძირითადი დროის ბოლო წუთები გვეჩვენა. კიდევ ერთი მიღებული გოლი და "ამერი" ფინალს მილმა ალმოჩნდებოდა, მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო აღარ რჩებოდა.

დამატებით დროს მასპინძლები ფრთაშესხმულნი შეხვდნენ, სტუმრები კი გაოგნებულნი. რომ არა დავითაშვილის საშემსრულებლო ოსტატობა, ალბათ, "ამერისთვის" სეზონის დარჩენილი ნაწილი პრაქტიკულ მნიშვნელობას დაკარგავდა. სულიკომ ლიდერისთვის საჭირო ყველა თვისება გამოავლინა, "სიონის" საბოლოო მარცხი კი, ვინძლო, სწორედ ასეთი ფიგურის არყოფნამ გამოიწვია.

ბოლნისელებმა ოვერტაიმი მწვავე იერიშებით დაიწყეს. ალბათ, აჯობებდა, საკუთარი ნახევრის უსაფრთხოებაზე უფრო ეზრუნათ, მიღებული გოლი ხომ "სიონს" უშანსოდ ტოვებდა, "ამერს" კი ფინალის იმედს მაინც დაუტოვებდა.

ქარდავას მეორე გოლს "სიონის" შტურმისმაგვარი მოჰყვა, მაგრამ მეტი საგოლე მომენტი აღარ შექმნილა და სეზონის ერთ-ერთმა საუკეთესო შეხვედრამ "ამერს" ტიტულის დაცვის შანსი დაუტოვა, "სიონს" კი სენსაცია არ გამოუვიდა და დროა, მისმა ხელმძღვანელობამ მომავალ სეზონზე იფიქროს.

მატჩის შემდეგ ბოლნისელ გულშემატკივართა დიდი ნაწილი... გაკვირვებული და აღშფოთებული იყო, რატომ არ დაინიშნა პენალტების სერიაო. ძალიან გაჭირდა მათთვის იმის ახსნა, რომ სტუმრად გატანილმა გოლმა "ამერი" ფინალში პატიოსნად გაიყვანა.

მატჩის შემდეგ კი ერთმანეთს ბოლნისის გამგებელი **გია არევაძე** და "სიონში" დაბრუნებული მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** შეხვდნენ. ამ შეხვედრას ბევრი რამ უნდა გადაეწყვიტა...

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

**ბათუმი-ზესტაფონი**

**0:1**

01.05. ბათუმი. ადელი
200 მაყურებელი

**პირველი მატჩი 0:4**

0:1 სანტოსი (45. ფიფიას პასით)

ბათუმი: სომხიშვილი (75. ბექთაშევი), გალოგრე, ხოხონიშვილი, ლობჟანიძე, შალამბერიძე (55. კერესელიძე), ნერგაძე, ცანავა ბეჟანიძე, დარჩიძე, მაკარიანი (39. დემურაძე), კვარაცხელია.

*სათადარიგოები: ფარტენაძე, ტულუში, ბაჯელიძე, ბაციკაძე.*

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, კესანი, ონიანი, სანტოსი, კ. ჩხეტიანი, ჭელიძე (76. ხიდეშელი), ტორესი, ნოზაძე, ვიეირა (78. დაუშვილი), ფიფია (70. ჩოხელი), იონანიძე.

*სათადარიგოები: ჯალაღონია, დოლონაძე, ჯანელიძე, ხუმარაშვილი.*

გაფრთხილება: სანტოსი (17), ლობჟანიძე (26), ვიეირა (27)

არბიტრი: ლ. სილაგავა

# აქაც უძლიერესმა...

ბოლოს, "ბათუმმა" საქართველოს თასის ფინალში გასვლა მოგებით გაალამაზა, თუმცა ეს 9 წლის წინ იყო. ახლა კი... ახლა, პირველი ნახევარფინალური მატჩის შედეგიდან (0:4) გამომდინარე, თასის ალებას ვინ ჩივის, "ბათუმის" ფინალში გასვლაც წარმოუდგენელი იყო. მასპინძელთა მთავარი მწვრთნელის მიერ არჩეული ტაქტიკა ბევრისთვის გაუგებარი დარჩა. სტადიონზე მოსული მცირერიცხოვანი გულშემატკივარი განწირული გუნდისგან მაინც შეტევასა და გოლებს ითხოვდა, თუმცა ზესტაფონელთა ოთხკაციან დაცვას ეულად დარჩენილი **კვარაცხელია** მატჩის ბოლომდე მხოლოდ რამდენიმე მომენტს გამორჩა. **ბეჟანიძის** სახით, ბათუმურ კლუბს შემადგენლობაში კიდევ ერთი ნომინალური თავდამსხმელი ჰყავდა, მაგრამ ის ბოლო ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებდა.

ერთი თავდამსხმელით თამაში ამჯობინა **თემურ მახარაძემაც**. უბერებელი **იონანიძე** მთელი მატჩის განმავლობაში პარტნიორებისგან ბურთს ელოდა, თუმცა მატჩი ისე დასრულდა, ზესტაფონელთა ფორვარდს კარში ერთხელაც არ დაურტყამს.

მატჩის პირველივე წუთებიდან უპირატესობას ბათუმელი ფეხბურთელები ფლობდნენ და მე-13 წუთზე პირველი სახიფათო მომენტიც შექმნეს. მარჯვენა ფლანგიდან გათამაშებულ ჯარიმას **დარჩიძის** ჩაწოდება მოჰყვა, **ნერგაძემ** თავით დაუგორა კვარაცხელიას, თუმცა ამ უკანასკნელის სახიფათო დარტყმული **ონიანმა** ვარდნაში გაანეიტრალა. სტუმრები სწორედ ამ მომენტმა გამოაფხიზლა. "ზესტაფონმა" წამოიწყო კონტრშეტევა, რომელიც ბათუმელმა **ლობჟანიძემ** საკუთარ კართან ჩაშალა. პირველი ტაიმში არბიტრმა სამჯერ გამოიყენა ყვითელი ბარათი. მე-17 წუთზე, **ლაშა სილაგავამ სანტოსი** ლამაზ ნახტომში ხელით მოგერიებული ბურთისთვის დასაჯა, დანარჩენებმა კი გაფრთხილებები უხეშობისთვის მიიღეს...

26-ე წუთზე, ზესტაფონელთა ნახევარმცველი **ვიეირა** ბათუმელთა დაცვას დაუსხლტა და **სომხიშვილთან** პირისპირ გავიდა. ზღვისპირელთა მეკარემ კარი დროულად დატოვა და ბრაზილიელ ნახევარმცველს ბურთი პირდაპირ ფეხიდან ააცალა. მახარაძის შეგირდები სილაგავასგან 11-მეტრიანს ითხოვდნენ, თუმცა თემიდელი შეუვალი აღმოჩნდა...

ტაიმის დასრულებას არაფერი აკლდა და თითქოს, თამაშის ეს ნაწილი უგოლოდ უნდა დასრულებულიყო, როცა სტუმრებმა კუთხურის უფლება მოიპოვეს და... გოლიც გამოცხვა. **ფიფიას** ჩაწოდებული სანტოსმა თავურით ბადეში გაგზავნა, მეკარე კი უძლური იყო. იქვე ტაიმიც მორჩა.

მეორე ნახევრის დასაწყისიც ბათუმელთა აქტიურობით აღინიშნა. **მაკარიანის** ნაცვლად შესულმა **დემურაძემ** ფლანგური რეიდი მოაწყო, საჯარიმოშიც ჩააწოდა და კვარაცხელიამ ბურთს თავით შეუცვალა მიმართულება. რომ არა **ჭანტურიას** დუბლიორის, ახალგაზრდა **კვასხვაძის** რეაქცია, "ბათუმი" ანგარიშს გაათანაბრებდა. დარჩენილ დროში ორად-ორი სახიფათო მომენტი შეიქმნა და ორივე სტუმრების კართან. 75-ე წუთზე, ბეჟანიძის კუთხურს სტუმართა საჯარიმოში ჩასულმა ლობჟანიძემ თავი დაუხვედრა, თუმცა ბურთი ხარიხას გადასცდა. აქვე ვთქვათ, რომ მწვრთნელთა მიერ გაკეთებულმა შეცვლებმა ვერ გაამართლა: არც ტემპი გაზრდილა და თამაშიც არავის გაუმწვავებია. 87-ე წუთზე, კუთხური კვლავ ბეჟანიძემ ჩააწოდა და **კერესელიძის** თავური კვასხვაძემ მოიგერია, უკუგდებულ ბურთს იგივე კერესელიძე ამატებდა, თუმცა ამჯერადაც უშედეგოდ...

**ამიკო მამალაძე**
ბათუმიდან

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

## აპრილის ნომინანტები

გია ტუხაშვილის პროექტი

### ფეხბურთელი — სანდრო იაშვილი



სანდრო იაშვილი

აპრილში ბევრმა ფეხბურთელმა დაგვამახსოვრა თავი: **გრიგოლ ჭანტურიამ** ("ზესტაფონი") და **ზურაბ ქვაჩახიამ** ("ამერი") საიმედო მეკარეობით; "ოლიმპისა" და "ზესტაფონის" მცველები ხომ ყველა მეტოქისთვის გადაულახავ ბარიერად რჩებიან; ფლანგებზე "ნავარდს" რაც შეეხება, ჩინებულად გამოსდიოდათ **გრიგოლ დოლიძეს** ("ამერი"), **გიორგი სეთურიძეს** ("ოლიმპი"), **სანდრო კობახიძეს** ("დინამო"), **გიორგი ნავალოვსკის** ("ოლიმპი"), **ნიკა კვასხვაძეს** ("ზესტაფონი"); ნურც იმ კლასიკურ გამთამაშებლებს დავივიწყებთ, ერთი ზუსტი და მოხდენილი პასით პარტნიორს რომ ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანენ. მით უმეტეს, რომ ასეთი ფეხბურთელები ჩვენს ჩემპიონატში არიან - **დავით ბოლქვაძე** ("ამერი"), **გოგა ფიფია** ("ზესტაფონი"), **თორნიკე აფციაური** ("ოლიმპი"), **გიორგი მერებაშვილი** ("დინამო"); ახლა, თავდამსხმელები? **სულიკო დავითაშვილი** ახალგაზრდა პარტნიორ **რატი წინამძღვრიშვილთან** ერთად მართლაც მრისხანე ტანდემს ქმნის, თანაც, თუ რაიმე "გაჭირდა", **დიმიტრი ტატანაშვილი** შემოვა შეცვლაზე და სულ ცოტა, ერთ გოლს მაინც გაიტანს! ნურც უბერებელ **ზურაბ იონანიძეს** დავივიწყებთ, ეროვნულ ჩემპიონატებში თავის მე-200 (!) გოლს რომ მიუახლოვდა; და **სანდრო იაშვილი** - ამ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი! ფეხბურთელი, რომელიც მეორე თვეა, რაც მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. "ზესტაფონთან" პრინციპულ მატჩში და გადამწყვეტ მომენტში პენალტი ვერ გაიტანა? მერე რა, ვის არ მოსვლია და იაშვილსაც ეყო გამბედაობა: სხვა მატჩში კიდევ მივიდა პენალტის ნიშნულთან და ზუსტადაც შეასრულა დარტყმა.

იაშვილის ნიჭი მაშინვე შესამჩნევი იყო, 16 წლის ბიჭი "ვიტ ჯორჯიაში" რომ გამოჩნდა; "დინამოშიც" მალე ათამაშდა, მაგრამ ზოგ მწვრთნელს მისი ხასიათი არ მოსწონდა, ზოგი კი იაშვილში ლიდერის თვისებებს ვერ ხედავდა. ახლა კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ "დინამოს" უპირობო ლიდერი ჰყავს, გუნდის სული და გული, ახალგაზრდა და ამასთან, უკვე გამოცდილი ფეხბურთელი, რომელიც ყველა მატჩში (უშუალო კონკურენტთან იქნება თუ აშკარა აუტსაიდერთან) იშვიათი ბრძოლისუნარიანობითა და გოლის წყურვილით გამოირჩევა.

სანდრო იაშვილი აპრილის საუკეთესო ფეხბურთელია!...

### მოლოდინი





5 მაისს ძოძუაშვილისა და უჰრინის დაპირისპირება ბევრ კითხვას გასცემს პასუხს

გასულ თვეში რამდენიმე ისეთი მატჩი იყო, ცენტრალურიც რომ ითვლებოდა, პრინციპულიც და დასამახსოვრებელიც. აი, თუნდაც "დინამო"-"ზესტაფონისა" და "ვიტ ჯორჯია"-"ოლიმპის" დაპირისპირებები გავიხსენოთ; ანდა "ამერი"-"ზესტაფონის" შეხვედრა - სამივე შემთხვევაში უშელავათო ბრძოლა ვიხილეთ. ისე, ალბათ, არც ის იყო შემთხვევითი, სამივეჯერ საყაიმო ანგარიში რომ დაფიქსირდა. ანუ ჩვენს მიერ ნახსენები ხუთივე გუნდი დაახლოებით ერთი სიძლიერის არის. თუმცა ეს "დიდი ხუთეული" ("ოლიმპი", "დინამო", "ამერი", ზესტაფონი", "ვიტ ჯორჯია") ჩემპიონატში მონაწილე დანარჩენ ცხრა გუნდს საგრძნობლად ალემატება და ყოველივე ეს სატურნირო ცხრილშიც არის ასახული.

...გულშემატკივარს ინტრიგა მოსწონს, მაგრამ აპრილმა ბევრი რამ გაარკვია. ფაქტობრივად, გასარკვევი მხოლოდ ორი რამ დარჩა: ვინ დაიკავებს არაფრისმომცემ მესამე ადგილს და ვინ მოხვდება გადათამაშებაში. მთავარზე ალარაფერს ვამბობთ: ჰო, მთავარ ინტრიგასა თუ კითხვაზე - ვინ გახდება საქართველოს ჩემპიონი? მეორე წრის დაწყებიდან კი არა, ალბათ, ჩემპიონატის სტარტიდანვე დარწმუნებული ვიყავით, რომ ოქროს მედლებისთვის "ოლიმპსა" და "დინამოს" უნდა ებრძოლათ. კი, თავიდან რამდენიმე კონკურენტ-მდევარიც ჰყავდათ, მაგრამ ყველა ჩამოიცილ-ჩამოიტოვეს და, წესითა და რიგით, "ოლიმპისა" და "დინამოს" უშუალო დაპირისპირებამ ბევრი რამ უნდა გაარკვიოს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ეს მატჩი 5 მაისს რუსთავში უნდა გაიმართოს. ჰოდა, მთელი აპრილის თვე კი არა, ლამის მეორე წრის დასაწყისიდან ამ მატჩის მოლოდინში ვართ...

### გოლი



გიორგი კახელიშვილი

აპრილში ბევრი უხვგოლიანი თამაში იყო; ბევრი საინტერესო დაპირისპირებაც ვიხილეთ - აბა, როგორი საქმეა, ძმა... ძმას პენალტს რომ აულებს? ჰო, ეგრე იყო - თელავის "კახეთის" ახალგაზრდა მეკარემ **გიგა იაშვილმა** თავის ძმას, ჩემპიონატის გამორჩეულ მოთამაშეს **სანდრო იაშვილს** პენალტის გატანა, არ დაანება (ისე, იმ მატჩში უფროსმა იაშვილმა მაინც მოახერხა და... ძმის კარში სამი გოლი გაიტანა). რამდენიმე კურიოზული გოლიც იყო - "ოლიმპისა" და "ბორჯომის" დაპირისპირებაში სტუმართა კარში ორივე ბურთი... ქარის "დამსახურებით" გავიდა! არც ის დაგვავიწყდეს, თუ როგორ დაამარცხა ბოლნისის "სიონმა" ქუთაისის "ტორპედო": ამ მატჩში ერთადერთი გოლი **ვიტალი დარასელიამ** უშუალოდ "კუთხურიდან" გაიტანა. რამდენიმე ეფექტური გოლი გაიტანა "ზესტაფონის" გამორჩეულმა ფეხბურთელმა **გოგა ფიფიამაც;** და მაინც, თვის საუკეთესო გოლის ავტორად "ოლიმპის" ახალგაზრდა გარემარბი **გიორგი კახელიშვილი** ვცანით. კახელიშვილი პირველ წრეში "ოლიმპის" ერთ-ერთი ლიდერი იყო, თუმცა ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, მეორე წრეში ხანდახან შეცვლაზე უწევს თამაში. ჰოდა, "ჩიხურასთან" მატჩშიც მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში და ძალიან მალე ეფექტური გოლიც გაიტანა. მაგრამ, მთავარი მაინც მატჩის მიწურულს გატანილი გოლი იყო: კახელიშვილმა მარცხენა ფლანგზე ლამის საკუთარი საჯარიმოდან წამოლებული ბურთით მთელი მოედანი გადასერა, მერე მეტოქის საჯარიმოში შესულმა, ლამაზი ფინტებით მეურვეებს თავბრუ დაახვია და ლამაზი სოლო-რეიდი რბილი, "მოჭრილი" დარტყმით დააგვირგვინა! აი, "რომას" ბრაზილიელმა გარემარბმა **ამადეო მანსინიმ** "ლიონს" სტუმრად რომ ეფექტური გოლი გაუტანა, კახელიშვილის გოლიც მისი ალი-კვალი იყო...

### მწვრთნელ(ებ)ი

ძალიან ბევრი ფიქრი დაგვჭირდა, თუ ვინ აგვერჩია აპრილის საუკეთესო მწვრთნელად. ლაურეატები, რალა თქმა უნდა, პირველი ხუთეულის გუნდების თავკაცებისგან უნდა შეგვერჩია. რამეთუ, აპრილში წაუგებლად სწორედ **რევაზ ძოძუაშვილის, დუშან უჰრინის, გიორგი ჩიხრაძის, თემურ მახარაძისა და ნესტორ მუმლაძის** გუნდებმა იასპარეზეს (ამასთან, "ამერმა" და "ზესტაფონმა", კონკურენტებისგან განსხვავებით, სათასო მატჩებიც ითამაშეს და იქაც წარმატებას მიაღწიეს). თუმცა იგივე "ზესტაფონმა" გასულ თვეში ორჯერ ითამაშა ფრედ ("ვიტ ჯორჯიამ" - სულაც სამჯერ), მაშინ, როცა "ოლიმპმა", "დინამომ" და "ამერმა" მხოლოდ ერთხელ. "ნომინანტი" მწვრთნელების გუნდებს გატანილი და გაშვებული გოლების მაჩვენებელიც თითქმის იდენტური აღმოაჩნდათ; საქმეს ვერც მეტოქეთა სიძლიერის შეფასებამ უშველა და... საუკეთესოც ვერ გამოვავლინეთ! უფრო ზუსტად, ჩავთვალოთ, რომ აპრილში საუკეთესო მწვრთნელობაზე პრეტენზია ყველა ლიდერი გუნდის თავკაცს ერთნაირად ჰქონდა!

...აი, მაისში კი ნამდვილად გაადვილდება ამ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოვლენა - ჩემპიონი ვინც გახდება, იმ გუნდის მწვრთნელი იქნება კიდეც იმ თვეში საუკეთესო!

## აპრილის სიმბოლური ნაკრები



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოქრო, გაძევება და გოლი

## აზერბაიჯანში ქართველებს აკრიტიკებენ

ოთხშაბათის ნომერში, ტრადიციულად, დაბალი კატეგორიის ლიგებში მოასპარეზე ქართველთა ამბებს მოგითხრობთ ხოლმე. ბოლო უქმეები ერთი საჩემპიონო ტიტულით იყო გამორჩეული. მაშ, მივყვეთ თანმიმდევრობით...

### ვაჟა და შერიფი, კვლავ ჩემპიონები

**მოლდოვა.** ტირასპოლის "შერიფმა" ზედიზედ მეშვიდედ მოიგო ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. კლუბის ქართველმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** თავის მდიდარ მოლდოვურ კოლექციას კიდევ ერთი ჯილდო შემატა. ის "შერიფში" 1999 წლის იანვრიდან, შესაბამისად, მისთვისაც ეს ტიტული მეშვიდეა. ამასთან, 35 წლის თარხნიშვილი მოლდოვის თასის ოთხგზის მფლობელიცაა...

გუშინ, "შერიფმა" სტუმრად 1:0 დაამარცხა "ნისტრუ" და პირველი ადგილი ვადამდე (ჩემპიონატის დასრულებამდე 7 ტურით ადრე!) გაინაღდა. თარხნიშვილმა საჩემპიონო მატჩში შეუცვლელად ითამაშა, გამარჯვების გოლი კი **ნიკოლას დემალდემ** 21-ე წუთზე გაიტანა. ამ ტურამდე "შერიფის" ერთადერთი კონკურენტი "ზიმბრუ" შინ "ოლიმპიას" შეხვდა და 2:1 მოუგო. "ზიმბრუს" ქართველმა მცველმა **მამუკა ლომიძემ** 90 წუთი ითამაშა. "ტირასპოლი"-"დაჩიას" გუშინდელ შეხვედრაში ქართული დაპირისპირება არ შედგა: მასპინძელთა მცველ **ვალტერ ხორგუაშვილს** არ უთამაშია, **ლადო ახალაია** კი "დაჩიას" რიგებში მხოლოდ მე-17 წუთამდე იყო მოედანზე. შეხვედრა 1:1 დასრულდა. "შერიფმა" 31 მატჩიდან 79 ქულა მოაგროვა, "ზიმბრუს" 62 ქულა აქვს, "დაჩია" 44 ქულით მეოთხეა, "ტირასპოლს" 39 ქულა აქვს მოგროვილი და მეხუთე პოზიციაზეა.

### თასმა გადადო

**რუსეთი**. პირველ დივიზიონში VIII ტურის მატჩები გაიმართა, თუმცა ქართველ ფეხბურთელს არც ერთში არ უთამაშია. მოსკოვის "ტორპედო" შინ "შინიკთან" დამარცხდა, 1:2. მასპინძელთა რიგებში ქართული წარმოშობის რუსი ფორვარდი **ირაკლი გეფერიძე** ირიცხება. ჩვენს ლეგიონერ **გედევან დარასელიას** კი ჯერ არ მისცემია ძირითად გუნდში თამაშის შანსი. "ბალტიკა" შინ 2:3 დამარცხდა "ტექსტილშჩიკთან". **ლევან მიქაძე** კალინინგრადელთა რიგებში ტრავმის გამო არ თამაშობს. ექიმთა თქმით, ის მწყობრში მაისის ბოლოს ჩადგება. ორი ქართული გუნდის დაპირისპირება კი გადაიდო: "ანჟის" ბრიანსკის "დინამოსთვის" უნდა ემასპინძლა, თუმცა ეს უკანასკნელი დღეს რუსეთის თასის ნახევარფინალში "მოსკვას" შინ ეთამაშება.

პირველი დივიზიონის ბომბარდირთა შორის "მაშუკის" ფორვარდი **ვლადიმერ გოგბერაშვილია** (4 გოლი), რომელიც რუსეთის მოქალაქე გახლავთ. **გოჩა ხოჯავას, ზურაბ არზიანისა** და **კახა მჟავანაძის** "ანჟი" 14 ქულით მეოთხე ადგილზეა, **პაატა ჯინჭარაძის** ბრიანსკის "დინამო" 12 ქულით მეექვსეა, მოსკოვის "ტორპედო" 11 ქულით მერვეზე, ხოლო "ბალტიკა" 10 ქულით მეათე საფეხურზეა. ამ კლუბებს მეტოქეებზე თითო მატჩით ნაკლები აქვთ გამართული.



ვაჟა თარხნიშვილი დაჯილდოების დროს

### ბრესტში გააძევეს

**ბელარუსი**. აქ ჩემპიონატის III ტურის მატჩები გაიმართა. უმაღლესი ლიგის დებიუტანტი "სმორგონი", რომლის ღირსებასაც **სულიკო კაკაბაძე** იცავს, "ნემანს" მასპინძლობდა. მატჩი უგოლო ფრით დასრულდა. კაკაბაძეს ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. ბრესტში ადგილობრივი "დინამო" მოგილიოვის "დნეპრს" დაუზავდა (1:1). მასპინძელთა შორის, **რომან გოგინაშვილმა** 61 წუთი დაყო მოედანზე, შემდეგ ზურგის პრობლემამ თამაშის გაგრძელების საშუალება აღარ მისცა. სტუმართა რიგებში **ალექსანდრე შუბლაძემ** მე-60 წუთამდე ითამაშა. მანაც იძულებით დატოვა მინდორი, ოღონდ ამ შემთხვევაში ორი ყვითელი ბარათის გამო. სამი "ქართული" კლუბიდან ყველაზე მაღლა "დნეპრია" - 5 ქულა, "სმორგონს" და "დინამოს" 4-4 ქულა აქვთ.

### მელქაძე სასტარტოში

**ყაზახეთი**. გაიმართა სუპერლიგის VI ტურის მატჩები. **ზურაბ არჩვაძის** "ეკიბასტუზეცმა" "ატირაუს" უმასპინძლა და 1:0 მოუგო. ზურამ 90 წუთი ითამაშა და მეორე ტაიმში მსაჯისგან ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. როგორც იქნა, იმარჯვა ყარაღანდის "შახტიორმა". **ლევან მელქაძისა** და **გიორგი გაბიდაურის** გუნდმა "ქაირათს" სტუმრად 2:0 "ასიამოვნა". მელქაძე პირველად გამოჩნდა სასტარტოში, ხოლო გაბიდაური პირველად მოხვდა სათადარიგოთა სკამზე. ლევანი შესვენებისას შეცვალეს, "შახტიორმა" კი გოლები სწორედ მეორე ტაიმში გაიტანა: დუბლი **ფინონჩენკომ** შეასრულა. **გიორგი გოგიაშვილის** "ქაისარი" სტუმრად "ირტიშთან" დამარცხდა, 0:1. გოგიაშვილი მოედანზე 71-ე წუთზე შევიდა. "ვოსტოკმა" შინ "ტობოლთან" 1:2 წააგო. მასპინძელთა შორის **ზვიად ჯელაძემ** სრულად ითამაშა, ხოლო **კახა ჟვანია** 78-ე წუთზე გამოჩნდა. შეგახსენებთ, რომ "ტობოლი" ინტერტოტოს თასზე ქართული კლუბის მომავალი მეტოქეა. ქართველ ლეგიონერთა კლუბებს შორის უკეთესი მდგომარეობა "შახტიორს" აქვს - 10 ქულა, მეექვსე ადგილი; შემდეგ მოდიან: "ქაისარი" - 8, "ეკიბასტუზეცი" - 7, "ვოსტოკი" - 1.

### ადამია კვლავ ლიდერია

**აზერბაიჯანი**. ჩვენს სამეზობლოში ჩემპიონობისთვის ბრძოლა დასკვნით ფაზაში შედის. ბაქოს "ნეფთჩი" "ყარაბაღს" ესტუმრა და 2:0 მოუგო. სტუმართა ქართველმა ლიდერმა **გიორგი ადამიამ** შეუცვლელად ითამაშა. მასპინძელთა რიგებში პირველი ტაიმი ითამაშა **გოგა ბერაიამ**. მოიგო ლენქორანის "ხაზარმაც", რომელმაც შინ "ოლიმპიკი" 3:2 დაამარცხა. "ხაზარის" დაცვას **ვალერი აბრამიძე** ამაგრებდა. უხვგოლიანი გამოდგა "ქარვანისა" და "გილანის" შეხვედრა. მასპინძელთა შორის შეუცვლელად ითამაშა **ალექსანდრე ინწკირველმა**, ხოლო **რომან ახალკაცი** 63-ე წუთიდან ჩაერთო შეხვედრაში. მხოლოდ **გოჩა ტრაპაიძე** არ გამოჩენილა. "გილანის" შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშეს **დიმიტრი კაპანაძემ** და **გიორგი კრასოვსკიმ**, ხოლო **დიმიტრი დიდმარხვაშვილი** 36-ე წუთზე შეცვალეს. ამ შეხვედრამ აზერბაიჯანული რეკორდი მოხსნა: ერთბაშად ხუთმა ქართველმა ითამაშა. ბაქოურ დერბიში "ბაქომ" 1:0 მოუგო "ინტერს". ჩემპიონთა შორის, ტრავმამოშუშებული **ალექსანდრე გოგობერიშვილი** გამოჩნდა. 53-ე წუთზე, მან თანამემამულე **ამირან მუჯირი** შეცვალა, **გიორგი მეგრელაძეს** კი არ უთამაშია. აზერბაიჯანული პრესა კვლავ აკრიტიკებს მუჯირს და მის ტრანსფერს, ისევე, როგორც მეგრელაძისას, კლუბს დიდ შეცდომად უთვლის. მიუხედავად იმისა, რომ **ლადაგას** გაძევების შემდეგ "ბაქო" 10 კაცით დარჩა, გამარჯვების გოლი სწორედ ამ გუნდმა გაიტანა: თავი **პერესმა** გამოიჩინა. **ირაკლი ვაშაკიძის** "თურანი" 0:2 დამარცხდა სუმგაითში, ადგილობრივ "გენჩლერბერლიისთან". ვაშაკიძემ შეუცვლელად ითამაშა.

19 თამაშიდან 42 ქულით "ნეფთჩი" ლიდერობს. მას სულ რაღაც ერთი ქულით ჩამორჩება "ხაზარი". ამათზე ერთი თამაშით მეტი აქვს ჩატარებული "ბაქოს", რომელიც 39 ქულით მესამე ადგილზეა. მეექვსე ადგილზე "ქარვანია" (31 ქულა), მეცხრეზე "ყარაბაღი" (21), მეათეზე "თურანი" (19). ყველაზე ცუდად საქმე "გილანს" აქვს. მის აქტივში მხოლოდ 10 ქულაა (მე-11 ადგილი). თავის მხრივ, ის კიდევ ორ კლუბს უსწრებს.

### ჩხეტიანის მორიგი გოლი

**ავსტრია.** რანგით მეორე, "ერსტე ლიგის" XXVIII ტურის მატჩებში კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი ექსზესტაფონელმა ფორვარდმა **გივი ჩხეტიანმა**, რომელმაც თავის მერვე ავსტრიულ მატჩში მეოთხე გოლი გაიტანა. მისმა "ჰარტბერგმა" 3:1 დაამარცხა "ლუშტენაუ" და ბოლო ადგილს თავი დააღწია. გივიმ მე-9 წუთზე გახსნა ანგარიში. ქართველი ფორვარდი 78-ე წუთზე შეცვალეს. მოედნიდან გასვლისას, დროის გაყვანისთვის, მან ყვითელი ბარათიც მიიღო. ამავე ტურში, ლუშტენაუს "აუსტრიამ" 3:0 სძლია "ადმირა ვაკერს". **მირზა ბჟალავა** 82-ე წუთზე შეცვალეს. "აუსტრიამ" მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა (41 ქულა), "ჰარტბერგი" 25 ქულით მეთერთმეტეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

საფეხბურთო კლუბი "დინამო თბილისი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კლუბის ვეტერანი ფეხბურთელი

**ამირან ანდღულაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

---

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

# ფერგიუსონის იდეაფიქსი: გოლი!

## ანჩელოტის სასიამოვნო წინათგრძნობები არ ასვენებს



სერ ალექს ფერგიუსონი



კარლო ანჩელოტი

### მილანი–მანჩესტერი

პირველი მატჩი 2:3

როცა დიდი თამაშების წინ სტატისტიკა მოჰყავთ, მონაწილე გუნდები და მათი ქომაგები მისგან ყოველთვის კარგს ელიან. ამ ნახევარფინალთან მიმართებაში "მილანისთვის" სტატისტიკა კარგიც არის და ცუდიც. კარგით, დავიწყოთ. ჩემპიონთა თასზე "როსონერიმ" სამჯერ უმასპინძლა "მანჩესტერს" და სამივეჯერ მოუგო, თან ისე, რომ გოლიც არ გაუშვია: 4:0 1957/58 სეზონში, 2:0 1968/69-ში და ბოლოს 1:0 2004/05-ში. სამივე შემთხვევაში ფინალში იტალიელები გავიდნენ და აქედან ერთხელ, 1969 წელს, "აიაქსთან" 4:1-ზე გამარჯვებით თასიც აიღეს. ახლა ცუდის შესახებ. მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგა დღევანდელი ფორმატით იმართება, ნახევარფინალის პირველი შეხვედრებიდან (24) 10 მასპინძელმა მოიგო, 8 ფრედ დასრულდა და 6-ჯერ სტუმართა გუნდმა გაიმარჯვა. "მილანისთვის" უსიამოვნო მონაცემი ისაა, რომ იმ 10 მასპინძლიდან, რომელმაც პირველი მატჩის მოგება შეძლო, 9 ფინალში გავიდა. ერთადერთი გამონაკლისი 2003 წელს იყო, როცა "იუვენტუსმა" "რეალთან" მადრიდში 1:2 წააგო, მაგრამ ტურინში 3:1 გაიმარჯვა და ფინალიც ითამაშა ( "მილანთან" 11-მეტრიანებში დამარცხდა). ამ პრეცენდენტის გამეორების იმედი უნდა ჰქონდეთ დღეს მილანელებს, მას შემდეგ, რაც ერთი კვირის წინათ "ოლდ ტრაფორდზე" 2:3 დათმეს.

დღევანდელ სუპერშეხვედრას ორივე გუნდი იმის რწმენით ხვდება, რომ თავიანთ ჩემპიონატებში მიზნები პრაქტიკულად, მიღწეული აქვთ: "მანჩესტერი" ჩემპიონობასთან ახლოსაა, "მილანი" - ჩემპიონთა ლიგის საგზურთან. "იუნაიტედი" შაბათს "ევერტონის" მოედანზე 0:2-ს აგებდა, მაგრამ ბრწყინვალედ ჩატარებული ბოლო ნახევარი საათის წყალობით 4:2 გაიმარჯვა. **ალექს ფერგიუსონმა** ძირითადის ფეხბურთელებიდან მხოლოდ **კრისტიანო რონალდო** დაასვენა, მაგრამ 63-ე წუთზე პორტუგალიელის გამოყვანაც საჭირო გახდა. ამასობაში "ჩელსიმ" "ბოლტონთან" ფრე ითამაშა და პრემიერლიგის დასრულებამდე სამი ტურით ადრე "მანიუმ" მდევარ "არისტოკრატებს" ხუთი ქულით გაასწრო. "მილანმა" კი **ზეედორფის** ერთი გოლით მშვიდად და აუღელვებლად მოიგო "ტორინოს" მოედანზე. ანჩელოტიმ **ოდო, მალდინი, გატუზო, კაკა** და **ინძაგი** დაასვენა, **ამბროზინიმ** და **იანკულოვსკიმ** კი თითო ტაიმი ითამაშეს. **გატუზომ** მანჩესტერში მიღებული ტრავმა მთლიანად მოიშუშა და დღეს აუცილებლად გავა მოედანზე (ისეთი შეხვედრაა, ცალი ფეხითაც ვითამაშებდიო, თქვა ნახევარმცველმა). აი, მალდინის მონაწილეობა კი საბოლოოდ გარკვეული ისევ არ არის. კაპიტანს მუხლი აწუხებს და გუნდთან ერთად ორშაბათსაც ვერ ივარჯიშა. იტალიური პრესა წერს, წესით, მაინც უნდა შეძლოს თამაშიო, მაგრამ თუ ვერ შეძლო, **კახა კალაძე** მზად არის, რომ დაცვის ცენტრში მალდინის ადგილი პირველი წუთიდანვე დაიკავოს ან, თუ საჭირო გახდა, კაპიტანი მატჩის მიმდინარეობისას შეცვალოს. ორშაბათის ვარჯიშზე **ნესტას** მეწყვილე სწორედ ქართველი მცველი იყო. პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, "მილანის" სასტარტო შემადგენლობაში ერთი ცვლილება იქნება: **ჯილარდინომ** მწვრთნელის იმედები ვერ გაამართლა და ცენტრფორვარდის პოზიციაზე დღეს ფილიპო ინძაგის ვიხილავთ.

"მანჩესტერის" ლაზარეთად ქცეულ დაცვაში დამაიმედებელი სიახლეებია. ვარჯიში განაახლეს **ნემანია ვიდიჩმა** და **რიო ფერდინანდმა**, თუმცა ამ უკანასკნელის მონაწილეობა ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება. ტრავმების გამო ინგლისში დარჩნენ **ნევილი, სილვესტრი, პარკი** და მათთან ერთად დისკვალიფიცირებული **ევრა**.

მილანში გამგზავრების წინათ სერ ალექს ფერგიუსონმა ასეთი განცხადება გააკეთა: *"საკმაოდ არის ალბათობა, რომ გოლი გავუშვათ, ამიტომ "სან სიროზე" ჩვენი მთავარი საზრუნავი გოლის გატანა იქნება. იმაზე მეტი უნდა გავაკეთოთ, ვიდრე აქამდე ვაკეთებდით. წელს "ბენფიკასა" და "ლილს" სტუმრად 1:0 მოვუგეთ, მაგრამ თამაშით არ ვბრწყინავდით. მაგრამ ამჯერად იძულებულები ვართ, რომ კარგადაც ვითამაშოთ, რათა გავიტანოთ და ფინალში გავიდეთ."*

კარლო ანჩელოტი ამბობს, რომ მშვიდად არის და დღევანდელი სალამოთი სიამოვნების მიღებას აპირებს. ახლანდელისგან განსხვავებით, ოთხი წლის წინანდელი ნახევარფინალების წინ, რომელსაც მერე თასიც მოჰყვა, თურმე ძალიან ნერვიულობდა: *"არასდროს მინერვიულია ისე, როგორც "ინტერთან" 2003 წლის ნახევრფინალების დროს. დაძაბულობა უზომოდ დიდი იყო. ამჯერად ასე არ არის, თავს მშვიდად ვგრძნობ, ჩემი განწყობა დაკავშირებულია ამ მოვლენის სიდიდესთან და განსაკუთრებით, იმ შეგრძნებებთან, რომელსაც ჩემი გუნდისგან ვილებ. და უნდა გითხრათ, რომ იანვრიდან მოყოლებული ეს შეგრძნება მშვენიერია. მართალია, სტამბოლის ფინალის წინაც მშვიდად ვიყავი, მაგრამ ამ სიმშვიდის მიზეზი ის გახლდათ, რომ გუნდი საუცხოო ფორმაში იყო... ახლა 90 წუთის განმავლობაში უნდა ვითამაშოთ ისე, როგორც მანჩესტერში პირველ 60 წუთში ვითამაშეთ – ისეთივე გამბედაობით, ისეთივე სურვილით, რომ მეტოქეს ჩვენი პირობები ვუკარნახოთ. თუ ეს შევძელით, მაშინ ფინალში გასულები ვართ. არ ვიჩქარებთ, თავიდანვე უკანმოუხედავად არ შევუტევთ, რადგან დრო საკმარისადაა გოლის გასატანად და თამაშის მოსაგებად. უფლება არ გვაქვს, რომ მეტოქეს ინიციატივა თუნდაც 15 წუთით დავუთმოთ. შეხვედრას რაციონალურად არ მოვეკიდებით, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ "მანჩესტერს" თამაში დაუთმო. თამაში კი, გვინდა, რომ ჩვენ წარვმართოთ... მოწინააღმდეგე რომ ძლიერია და არასდროს ნებდება, ეს მათ ბოლო შეხვედრაშიც მშვენივრად გამოჩნდა, როცა 0:2-ის შემდეგ "ევერტონს" 4:2 მოუგეს. თუმცა ის ფაქტია, რომ "მილანი" სერია A-ში უკვე მესამეა, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ჩვენი გუნდი ბრწყინვალე ფორმაშია... პირველ შეხვედრაში დიდა რამდენჯერმე შეცდა, მაგრამ მის მიმართ ჩვენი ნდობა უცვლელი რჩება. ნელსონი ჩუმი, ჩაკეტილი ტიპია, მაგრამ ძალიან მოტივირებულია. სურვილი, რომ მალდინი და ინძაგი პირველი წუთიდან დავაყენოთ, იმ უბრალო მოსაზრებით არის ნაკარნახევი, რომ ასეთ შეხვედრებში ფიზიკურ მზადყოფნასთან ერთად, ფეხბურთელის მეობა და გამოცდილებაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ გვჭირდება, რომ პაოლო მოედანზე იყოს. პიპომ კი ენერგია ტყუილად არ უნდა დახარჯოს, მან უნდა გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც ყველაზე კარგად იცის."*

#### სავარაუდო შემადგენლობები

**მილანი:** დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი (ან კალაძე), იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ინძაგი

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ო'ში, ბრაუნი, ვიდიჩი (ან ფერდინანდი), ჰაინცე, ქერიკი, სქოულზი, ფლეტჩერი, კრისტიანო რონალდო, გიგზი, რუნი

**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეეკერე (ბელგია)

ინტერვიუ კლაუდიო რანიერისთან

# სამი იარაღი მანჩესტერის დასამარცხებლად

## ჩელსის ყოფილი მწვრთნელი მილანს იუნაიტედთან გამარჯვების რეცეპტებს აძლევს: გადამწყვეტი სიტყვა ინძაგიმ, პირლომ და ზეედორფმა უნდა თქვან...

**კლაუდიო რანიერი ოთხი წლის განმავლობაში წვრთნიდა "ჩელსის" (2000-04 წლებში) და ინგლისურ ფეხბურთში კარგად არის გარკვეული. "მილანი"-" მანჩესტერის" სუპერჯახის წინ "გაძეტა დელო სპორტმა" "პარმის" მწვრთნელს საკუთარი მოსაზრების გამოხატვა სთხოვა. აი, რას ამბობს რანიერი "გაძეტასთვის" მიცემულ ინტერვიუში: "პრემიერლიგა მაგნიტივით იზიდავს ვარსკვლავებსა და მილიარდერებს. შეხედეთ, რამდენი პატარა აბრამოვიჩი ცდილობს ინგლისურ ფეხბურთში შეჭრასა და ფეხის მოკიდებას. "მილანმა" არ უნდა დაგვაღალატოს. ჩემპიონთა ლიგის ფინალი წმინდა ინგლისური თუ გამოვიდა, პრემიერლიგა ევროფეხბურთის კიდევ უფრო კაშკაშა ვიტრინად გადაიქცევა. "მანჩესტერ იუნაიტედთან" განმეორებით ნახევრფინალში არა მხოლოდ "მილანის", არამედ იტალიური ფეხბურთის პრესტიჟის საკითხიც წყდება. ამიტომ საჭიროა კიდევ ერთი ისეთი ღამე, როგორიც მიუნხენში იყო, თუმცა, "მანჩესტერი" "ოლდ ტრაფორდისგან" მოშორებით, ნაკლებად არის ხოლმე ნამდვილი "მანჩესტერი".**

**- კაკა-კრისტიანო რონალდოს დუელი გადამწყვეტი იქნება?**

- ეს ძალიან ზედაპირული ხედვაა. კაკასა და რონალდოს მკაცრ კონტროლზე აიყვანენ და მოედნის ნებისმიერ წერტილში მეურვეს მიუჩენენ. მე ფსონს სხვა ფეხბურთელებზე ჩამოვდივარ.

**- რომელ ფეხბურთელებზე?**

- ეს ფილიპო ინძაგის თამაშია. ის არის შესაფერისი ფიგურა ინგლისელების გასამათრახებლად. პიპომ ზუსტად იცის საით წავიდეს და რა გააკეთოს გადამწყვეტი გოლის გასატანად. "მანჩესტერს" დაცვაში დიდი მონსტრები ნამდვილად არ ჰყავს. ინძაგის ვერ ექნება ბრაუნის, ჰაინცესა და იგივე ფერდინანდის შიში, თუ ეს უკანასკნელი გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

**- მილანელებს შორის კიდევ ვის შეუძლია, რომ გადამწყვეტი სიტყვა თქვას?**

- პირლოს, თავისი გენიალური საჯარიმო დარტყმებით, ან ზეედორფს, თავისი ფინტებითა და ფანტაზიით. გახსოვთ ჰოლანდიელის გოლი "ბაიერნის" კარში? ცხადია, რომ ნამდვილი, დიდი "მილანია" საჭირო – ის, რომელმაც ამ ბოლო წლების განმავლობაში ყველას დაუმტკიცა, რომ ევროპის საუკეთესო გუნდია.

**- ვინ არის "მანჩესტერის" ყველაზე ძლიერი ფეხბურთელი?**

- სქოულზი, ფერგიუსონის გუნდის სული და გული. საუკეთესო ფორმაში მყოფ გატუზოს შეუძლია მისი "იზოლირება". და დიდი იქნება პრობლემები, თუკი უყურადღებოდ დაგრჩა უეინ რუნი. მეჩვენება, რომ ამ ფორვარდმა წლეულს ძალიან მოუმატა.

**- "მილანს" 1:0-ც ჰყოფნის ნახევარფინალური ბარიერის დასაძლევად.**

- არავითარი კალკულაცია და რაციონალიზმი! ეს შეხვედრა გულით უნდა ითამაშო.

**- თქვენი პროგნოზი როგორია?**

- როგორც იტალიელი, მე "მილანს" დავასახელებ. "სან სიროზე" მისული გულშემატკივარი გუნდს დამატებით სტიმულს მისცემს.

**- "ჩელსიც" იგებს, მაგრამ მისი თამაში აღტაცებას არ იწვევს.**

- ბევრი ვარსკვლავი ჰყავს, მაგრამ გუნდი არაა. ხელმძღვანელობის ბოლო სატრანსფერო კამპანიამ აშკარად დაარღვია ის ბალანსი, რომელიც მოურინიომ გუნდს წინა სეზონებში შესძინა. იოლი და უმტკივნეულო არ იყო ბალაკისა და შევჩენკოს თამაშში ჩასმა.

**- შევჩენკო წლეულს ძალიან არასტაბილურია.**

- შევჩენკო ინგლისში ბუნებრივ წინააღმდეგობებს წააწყდა. "არსენალში" გატარებულ პირველ სეზონში ტიერი ანრისაც იგივე დაემართა. შევჩენკო "მილანში" ლიდერი და სამაგალითო ფეხბურთელი იყო, "ჩელსიში" კი ერთი რიგითია, სხვებისგან არაფრით გამორჩეული. უკრაინელმა ლონდონში თავისი ახალი ისტორია უნდა შექმნას.

**- რომან აბრამოვიჩი კატეგორიულად ითხოვს ჩემპიონთა ლიგის მოგებას?**

- კარგად მახსოვს ის რამდენიმე, მაგრამ მკაფიო სიტყვები, რომელიც ჩვენი პირველი შეხვედრისას მითხრა: "ჩელსი" მსოფლიოს უძლიერესი გუნდი უნდა გახდეს". მას უნდა, რომ ფეხბურთში ისტორია შექმნას. ხელში აქვს ქალალდიცა და კალამიც, მაგრამ "ჩელსის" ისტორიის ფურცელი თითქმის ისევ ცარიელია. და იმის ცოდნა, რომ ვალდებული ხარ, ჩემპიონთა ლიგა მოიგო, მოურინიოს გუნდს ნამდვილად არ ეხმარება.

**გოგა ახალაძე**





კადრი კლაუდიო რანიერის ლონდონური ცხოვრებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვთ ეს კაცი?

# ოუენი დაბრუნდა

**მაიკლ ოუენი** დაბრუნდა, თუმცა მისმა "ნიუკასლმა" "რედინგთან" მინიმალური ანგარიშით წააგო. 10-თვიანი პაუზის შემდეგ მაიკლმა შეუცვლელად ითამაშა. ეს მისი პირველი მატჩი იყო ჯორდების ძირითადში 2005 წლის 31 დეკემბრის შემდეგ. მაშინ მაიკლმა "ტოტენჰემთან" მხოლოდ ერთი ტაიმი ჩაატარა და ტერფის მძიმე ტრავმა მიილო, რომელმაც ის ხუთი თვით ჩამოაშორა მინდორს. შემდეგ იყო მუნდიალი, დაშავებული მუხლი (შვედეთთან 20 ივნისის შეხვედრაში) და სამი ოპერაცია. და აი, 27 წლის თავდამსხმელი ისევ მოედანზეა. "ნიუკასლში" ტრანსფერის შემდეგ (2005 წლის აგვისტო) ოუენმა სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ მეთერთმეტედ იასპარეზა. მან პირველად ითამაშა **გლენ როუდერის** ხელმძღვანელობით. მოგეხსენებათ, როუდერი 2006 წლის თებერვალში დანიშნეს. მაიკლს კი არც 2005-06 წლების სეზონის მეორე წრეში უთამაშია და წლევანდელ სეზონშიც პირველად მხოლოდ XXXVI ტურში გააგორა ბურთი.

რაც შეეხება უშუალოდ ორშაბათის შეხვედრას. "რედინგმა" **დეივ კიტსონის** გოლით გაიმარჯვა. კლუბმა ზედიზედ მესამედ მოიგო და მეშვიდე ადგილზე ალზევდა. ის უეფას თასის საგზურისათვის იბრძვის. მისგან განსხვავებით, "ნიუკასლს" უმაქნისი მე-12 საფეხური უკავია და დიდი ხანია, უმოტივაციოდ თამაშობს.

ოუენის დაბრუნებას დიდი გამოუხმაურება მოჰყვა. მიმომხილველთა ვარაუდით, მას ნაკრებშიც მალე გამოიძახებენ. ინგლისელები მორიგ საკვალიფიკაციო მატჩს ივნისში გამართავენ. როუდერი ოუენის გამოძახების კატეგორიული წინააღმდეგია: *"მომწყინდა ერთი და იმავეს კითხვა. როდის დაბრუნდება ოუენი ნაკრებში? მან ჯერ "ნიუკასლში" უნდა ითამაშოს და მხოლოდ ამის შემდეგ - ეროვნულ გუნდში. ისინი, ვინც სხვაგვარად ფიქრობენ, "ნიუკასლის" მტრები არიან. მათი ფილოსოფოსობა ძალიან მაღიზიანებს."*



მაიკლ ოუენი

"რედინგი"-"ნიუკასლის" მატჩისას ერთი კურიოზული ამბავიც მოხდა. არბიტრმა მასპინძელთა სიმბოლოს, გიგანტურ ლომ "კინგსლის" წითელი ბარათი აუფრიალა. ეს პირველი ტაიმის მიწურულს მოხდა. "კინგსლი" მინდვრის კიდეზე დააბოტებდა. ის, რა თქმა უნდა, რედინგელთა მაისურასა და ტრუსში იყო გამოწყობილი. როგორც ჩანს, მსაჯს არაერთხელ გაეჩხირა თვალში. მას მეთორმეტე რედინგელის ყურება ყელში ამოუვიდა და თავიდან მოიშორა. ნამატჩევს "რედინგის" თავკაცმა **სტივ კოპელმა** იხუმრა, ეტყობა "კინგსლი" ძალიან ჰგავს ჩვენს ფეხბურთელებს და არბიტრის ძალიან კარგად მესმისო. უცნობია, ამ გაძევების გამო მიუსჯიან თუ არა სიმბოლოს ტრადიციულ ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას.

იუვენტუსი. ტრანსფერები

# ვიდიჩი თუ ალექსი?

## ქალბატონი ბევრი ფულის დახარჯვას გეგმავს...

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "იუვენტუსი" მანჩესტერელთა ცენტრალური მცველის **ნემანია ვიდიჩის** შეძენას ცდილობს. იანვრის ტრანსფერებისას "ეშმაკებს" 10 მილიონი ევრო შესთავაზეს. "იუნაიტედმა" თანხა მოკრძალებულად მიიჩნია. "ქალბატონმა" კიდევ ხუთი მილიონი გაიმეტა. მოლაპარაკებათა მეორე რაუნდი მაისის მიწურულს შედგება.

ტურინელთა სამიზნეშია ეინდჰოვენელი **ალექსიც**. ბრაზილიელმა კარიერა "სანტოსში" დაიწყო. 2004 წელს ის "ჩელსიმ" შეიძინა. სამუშაო ვიზასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ფეხბურთელი "ეინდჰოვენს" ათხოვეს. კონტრაქტის თანახმად, ალექსს ორი სეზონი ჰოლანდიაში უნდა ეთამაშა. შარშან საიჯარო ხელშეკრულება ერთი წლით გაგრძელდა. წელს ლონდონელები მის დაბრუნებას აპირებენ. "ჩელსის" ტრანსფერი მხოლოდ 1 მილიონი დაუჯდება. უცნობია, როგორ აპირებს "იუვენტუსი" ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას.

"ქალბატონის" ამბიციები ამით არ ამოიწურება. მას რეჯინელი ახალგაზრდების, **როლანდო ბიანკისა** და **ჯანდომენიკო მესტოს** შეძენაც სურს. ბიანკი **დავიდ ტრეზეგეს** შემცვლელად განიხილება, მესტო - **ჯონათან ზებინასი**. ტურინელებს ეს ორი ფეხბურთელი 14 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ.

ვეტერანი

# ბარტეზი წავიდა, საბოლოოდ...

**ფაბიენ ბარტეზმა** "ნანტი" დატოვა. შაბათის ინციდენტის შემდეგ ფეხბურთელი თავს უსაფრთხოდ ველარ გრძნობდა. "რენთან" ნაგებული შეხვედრის შემდეგ ფაბიენის მანქანას რამდენიმე მთვრალი გულშემატკივარი გადაუდგა. ერთმა მას წიხლი უთავაზა, მეორემ საქარე მინას დასცხო ხელი. ბარტეზი ავტომობილიდან გადაიჭრა და ჩხუბი ატეხა. პოლიციამ ვითარება დროულად განმუხტა. შინ დაბრუნებულმა მეკარემ ოჯახის წევრებს ხელი მოჰკიდა, სახლის გასაღები კლუბის ოფისში დატოვა და გაურკვეველი მიმართულებით გაემართა. რადიო "ფრანს ინფოსათვის" მიცემულ ინტერვიუში ბარტეზმა თქვა, რომ "ნანტის" შემადგენლობაში აღარასოდეს ითამაშებს. 35 წლის ვეტერანი ფეხბურთს იანვარში იმიტომ დაუბრუნდა, რომ მშობლიურ კლუბს დახმარებოდა. აგვისტოს შემდეგ მას მინდორზე ერთი წუთიც კი არ ჰქონდა გატარებული, მაგრამ ბარტეზის ექსცენტრულობამ ნანტელებს არათუ სარგებელი არ მოუტანა, რამდენიმე ძვირფასი ქულა დააკარგვინა.

მიმომხილველთა აზრით, ბარტეზის კარიერა საბოლოოდ დასრულდა. მან ნაკრებში 87 მატჩი ჩაატარა და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები მოიგო. ფაბიენმა საკლუბო დონეზე "ნანტში", "მარსელში", "მონაკოსა" და "მანჩესტერ იუნაიტედში" ითამაშა და ერთხელ ჩემპიონთა თასს (მარსელი, 1993), ორჯერ საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულს (მონაკო, 1997, 2000) და ორჯერ ინგლისის ჩემპიონის ტიტულს (მანჩესტერი, 2001, 2003) დაეუფლა.



რონალდ კუმანი

ეინდჰოვენი

# რჩება კუმანი?

## ერთი კვირის წინ რონალდს ენა გაექცა და დირექტორი მიწასთან გაასწორა...

ჰოლანდიის ჩემპიონატი დრამატულად დასრულდა. ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვა. "ეინდჰოვენმა" "ვიტესს" 5:1 მოუგო, "აიაქსმა" სტუმრად "ვილემი" 2:0 დაამარცხა. ბოლო ტურის წინ პირველ ადგილზე მყოფმა "ალკმაარმა" "ექსელსიორთან" ვერაფერი გააწყო, 2:3, და მესამე ადგილს დასჯერდა. პსვ-მ და "აიაქსმა" 75-75 ქულა დააგროვეს, მაგრამ ეინდჰოვენელებს ბურთების უკეთესი ბალანსი აღმოჩნდათ: +50 ამსტერდამელებს +49-ის წინააღმდეგ. ყველაფერი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. ეს გოლი **ფილიპ კოკუმ** "ვიტესს" 77-ე წუთზე გაუტანა (იმ მომენტისათვის "აიაქსი" უკვე ორბურთიანი სხვაობით იგებდა).

გაჩემპიონების მიუხედავად, "ეინდჰოვენის" თავკაცმა **რონალდ კუმანმა** ჯერაც არ იცის, შეინარჩუნებს თუ არა პოსტს. მიზეზი ბოლოსწინა ტურის შემდეგ განვითარებული მოვლენებია. "უტრეხტთან" ნამატჩევს (1:1), როცა ყველას ეგონა, რომ პსვ-ს ტიტული ხელიდან გაუშვა, კუმანმა გუდას პირი მოხსნა და კლუბის ბოსი **ფრიტს შუიტემა** საჯაროდ გააკრიტიკა - დირექტორატის სათანადო მხარდაჭერა არასოდეს მიგრძვნიაო.

"ვილემთან" თამაშის შემდეგ, როცა ეინდჰოვენში ენითაუწერელი ამბები ხდებოდა (გამარჯვებას განსაკუთრებული გემო შესძინა იმან, რომ პსვ-მ ფანებისათვის საძულველი "აიაქსი" და **ლუის ვან გაალი** ერთად დაამწუხრა), შუიტემას ჰკითხეს, კუმანთან თანამშრომლობის გაგრძელებას თუ აპირებთო. ეს ადამიანი წლების განმავლობაში ელექტრონიკის გიგანტ "ფილიპსის" აღმასრულებელი დირექტორი იყო. მან ჟურნალისტს ღიმილით მიუგო, კარიერის განმავლობაში ამაზე უფრო ძნელი გადაწყვეტილებებიც მიმიღიაო.

### სითი: ახალი ბოსი და ახალი მწვრთნელი?

"მანჩესტერ სითი" ტაილანდის ყოფილი პრემიერ-მინისტრის **ტაქსინ შინავატრას** წინადადებას იხილავს. აზიელმა მილიარდერმა ფინანსური დოკუმენტაციის გაცნობის უფლება მიიღო. ხუთი კვირის შემდეგ, მისი სახით, "სიტის" ახალი მეპატრონე ეყოლება. შინავატრას მანჩესტერული კლუბის შეძენა 108 მილიონი გირვანქა დაუჯდება. კიდევ 20 მილიონი დღევანდელი თავმჯდომარის **ჯონ უორდლისა** და მისი ბიზნესპარტნიორის **დევიდ მაკინის** ვალის გადახდას მოხმარდება. პირველი, რასაც შინავატრას ადმინისტრაცია გააკეთებს, ის იქნება, რომ **სტიუარტ პირსს** დაითხოვს. მიმომხილველები "სიტიში" **სემ ელერდაისის** დანიშვნას ელოდებიან.

### ფრაი დორტმუნდში რჩება

დორტმუნდის "ბორუსია" **ალექსანდერ ფრაის** არაფრისდიდებით არ გაყიდის. ცნობილია, რომ BVB-ს შვეიცარიელი თავდამსხმელის გადაბირება გლაზგოს "სელტიკმა" მოისურვა. *"ფრაი ჩვენი ლიდერია, მის გარეშე "ბორუსია" ველარ წარმომიდგენია. არ არსებობს თანხა, რომლის სანაცვლოდაც ალექსს შეველევით,"* - განუცხადა "კიკერს" "დორტმუნდის" გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ**. შეგახსენებთ, რომ ფრაის ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში 15 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა თავაში მეორე ადგილზეა.

ინტერი

# შორს ბუფონის ფანტაზმა

## ჟულიო სეზარი ინტერში 2012 წლამდე დარჩება, მორატი რეკობას გამთამაშებლად ხედავს, მაგრამ რას ფიქრობს მწვრთნელი?

"ინტერი"-"ემპოლის" (3:1) საკვირაო შეხვედრიდან რამდენიმე საათი იყო გასული, როცა "ნერაძურის" სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** განაცხადა: *"არასოდეს გვქონია რაიმე ტიპის პრობლემა ჟულიო სეზართან დაკავშირებით. ყველაფრის გასაფორმებლად ისღა რჩებოდა, რომ მისი აგენტი მილანში ფიზიკურად ყოფილიყო, სხვა მხრივ კი შეთანხმება უკვე დიდი ხნის მიღწეული გვქონდა"*.

ბრაზილიელი მეკარე დღეს ან ხვალ გააფორმებს ახალ კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც "ინტერის" საკუთრებაში 2012 წლამდე დარჩება. 27 წლის რიოდეჟანეიროელმა გოლკიპერმა შვებით ამოისუნთქა. ბოლო დღეებში იმდენი ითქვა და დაიწერა **ჯანლუიჯი ბუფონის** "ინტერში" გადასვლაზე, რომ ჟულიო სეზარმა მოსვენება დაკარგა და სკუდეტოს სიხარულიც გადაავიწყდა. მეკარის ცოლ **სუზანა ვერნერს** (რონალდოს ყოფილ გელფრენდს) მეგობრების წრეში უთქვამს, ჩემი ქმარი ამ გაურკვევლობის გამო ძალიან ნერვიულობსო. მაგრამ ბრანკას განცხადებამ ყველაფერი გაარკვია და ბუფონის ფანტაზმებიც გაფანტა. ინფორმაცია ორშაბათს **მასიმო მორატიმაც** დაადასტურა: *"კარი არ არის ის ადგილი, სადაც გაძლიერება გვჭირდება. ჟულიო სეზარი ალმასვლის გზაზეა, ტურიდან ტურამდე უმატებს და ამიტომ ეს ამპლუა სუსტ წერტილს არ წარმოადგენს"*. "ნერაძურის" პრეზიდენტის საფიქრალი პირველ რიგში **ლუიშ ფიგუ** და მისი წასვლის შემთხვევაში, ღირსეული შემცვლელის პოვნაა. ამასთან დაკავშირებით "გაძეტა დელო სპორტმა" ნომერ პირველ ინტერისტას ასეთი კითხვა დაუსვა: ფიგუ თუ წავა, რეკობას არ შეუძლია გამთამაშებლად თამაში? ურუგვაელზე უზომოდ შეყვარებული პრეზიდენტის პასუხი ასეთი იყო: *"ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, თავისუფლად შეუძლია, მაგრამ მწვრთნელები სხვანაირად ფიქრობენ, ზუსტად ისე, როგორც რობერტო ბაჯოს შემთხვევაში. მაგრამ ეს ფეხბურთელები იმით ფასობენ, რასაც ბურთის ფლობის დროს გაჩვენებენ: ან თვითონ გააქვთ ან სხვებს ატანინებენ. ჰოდა, მეტი რა უნდა მოსთხოვო-თქო, ვსმამ ხოლმე კითხვას. ფეხბურთი ხომ ესაა, მოწინააღმდეგისთვის ერთით მეტი გოლის გატანა. მაგრამ მწვრთნელები უპირატესობას ბრძოლისუნარიანობას ანიჭებენ, ამბობენ, რომ თანამედროვე ფეხბურთში გუნდი თავს უფლებას ვერ მისცემს, რომ მოედანზე დიდი ხნით იყოლიოს ისეთი მოთამაშე, რომელიც უკან არ ჩადის, სხვას არ დასდევს, არ იბრძვის. რას ვიზამთ... ასეა თუ ისე, რეკობას ჩვენთან კონტრაქტი აქვს და მის გაშვებას არ ვაპირებ. "ჩინო" მომავალშიც "ინტერში" ითამაშებს და იმედი მაქვს, რომ უფრო ხშირად, იმიტომ, რომ ამას იმსახურებს და არა იმიტომ, რომ ჩემი საყვარელი ფეხბურთელია"*.




რობერტო მანჩინი ჟულიო სეზარს არსად გაუშვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ხავიერ სავიოლასთან

# მგონი, მწარედ მატყუებენ

## ბარსას ფორვარდმა მოთმინება დაკარგა, ბაჭია მხოლოდ კამპ ნოუზე თამაშს თანხმდებოდა, მაგრამ ახლა ყველა ძლიერ კლუბს გაუღო კარი...

**ხავიერ სავიოლა** დღევანდელობის ყველაზე პოპულარული ფეხბურთლია. ამ პოპულარობას მისი ბედის გაურკვევლობა განაპირობებს. დღე ისე არ გაივლის, მის შესახებ ესპანურ მედიაში რაიმე ინფორმაცია არ გავრცელდეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბარსელონის" თავდამსხმელის გვარი პირენეული სპორტული გაზეთების პირველი გვერდებიდან არ ჩამოდის. მოგეხსენებათ, რომ არგენტინელ ფორვარდს მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე „ბარსელონასთან" კონტრაქტის ვადა ეწურება. სავიოლას უამრავჯერ უთქვამს, კატალონიურ გრანდს დარჩენა სურს. „ბაჭია სიხარულით ცას ეწია, როცა ჩიკი ბეგირისტაინის სიტყვები მოისმინა. „ბარსას" გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, ხავიერის კლასის ფორვარდები სანთლით საძებარნი არიან და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მან კარიერა ისევ ჩვენთან გააგრძელოსო. თითქოს, ამით ყველაფერი გაირკვა, მაგრამ საქმე მკვდარი წერტილიდან არ დაიძრა. ბეგირისტაინი და ხოან ლაპორტა შეპირებული ხელშეკრულების გაფორმებას არ ჩქარობენ. სამხრეთამერიკელი ვარსკვლავი აქამდე მწვავე განცხადებებისგან თავს იკავებდა და ჟურნალისტებთან საუბრისას ზოგადი ფრაზებით იფარგლებოდა... თუმცა, გაჭიანურებულმა საქმემ ფეხბურთელს მოთმინების ფიალა აუვსო. ფიფას ოფიციალური ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში სავიოლამ პირდაპირ და დაუფარავად თქვა, რომ კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობის მიერ პირობის შეუსრულებლობა გულს ტკენს და აფიქრებინებს, რომ მას უბრალოდ, ატყუებენ.

**- სენიორ სავიოლა, მთელ საფეხბურთო სამყაროს თქვენსკენ აქვს მზერა მოპყრობილი. ყველას აინტერესებს, რა ბედი გელით და სურთ გაიგონ, „ბარსელონაში" რჩებით, თუ სადმე სხვაგან მიდიხართ. პირადად თქვენ რა გეგმები და ზრახვები გაქვთ, ესპანეთში გსურთ დარჩენა?**

- დიახ, ესპანეთში ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. ეს ქვეყანა სიგიჟემდე მომწონს და მიყვარს. „ბარსელონაში" თითქმის ექვსი წელიწადი გავატარე. აქ უამრავი მეგობარი შევიძინე. თუ „კამპ ნოუს" ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ მაინც დამატოვებინებენ, ვისურვებდი, ისევ რომელიმე ესპანურ კლუბში მოვეწყო. ესპანურ ადათწესებს, საჭმელსა და კლიმატს კარგად შევეგუე, თუმცა ფეხბურთელი საკუთარ ბედს წინასწარ ვერასოდეს განსაზღვრავს. გამორიცხული არ არის, სხვა ქვეყანაში წასვლა მომიხდეს. გადავწყვიტე, ყველა კლუბს გავუღუ კარი. მზად ვარ, ესაპური, იტალიური და ინგლისური კლუბების შემოთავაზებები განვიხილო. მთავარია, კარგ ჩემპიონატში მოასპარეზე კარგმა გუნდმა შემომთავაზოს თანამშრომლობა.

**- თქვენს მრავალწლიან ბარსელონურ კარიერას როგორ შეაფასებთ?**

- „მონაკოსა" და „სევილიაში" წასვლამდე საკმაოდ კარგად ვთამაშობდი. მრავალი გოლი გავიტანე და გუნდს დიდი სარგებელიც მოვუტანე. სამწუხაროდ, იმ პერიოდში „ბარსა" ტიტულების მოპოვებას ვერ ახერხებდა, რის გამოც ფეხბურთელების ერთ ნაწილს სერიოზული პრობლემები შეექმნა. იძულებული გავხდი, სხვა გუნდში გადავბარგებულიყავი, თუმცა ვამაყობ, რომ „ბარსელონიდან" თავაწეული წავედი. ვერავინ იტყვის, იმ სეზონებში სავიოლა მუქთა ხელფასს იღებდაო. მიმდინარე სეზონის დაწყების წინ „კამპ ნოუზე" დავბრუნდი. გარკვეული მიზეზების გამო, წლეულს ჩემთვის თითქმის ყველაფერი სამმაგად გართულდა. თავიდან იშვიათად მიწევდა თამაში. იანვარში კი დიდებული მატჩები ჩავატარე. ტრავმირებული ფეხბურთელების გამოჯანმრთელების შემდეგ კი ისევ სათადარიგოთა სკამზე აღმოვჩნდი. გულწრფელად ვიტყვი, რომ საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში ვიმყოფები.

**- როგორ ფიქრობთ, „ბარსელონაში" საკადრისად ხართ დაფასებული?**

- თუ ჩატარებულ მატჩებში გატანილი გოლების რაოდენობით ვიმსჯელებთ, მიმაჩნია, რომ გუნდის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო მოთამაშე ვარ... თუმცა გული მტკივა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა მოცემულ სიტყვას არ ასრულებს. როცა გეუბნებიან, კონტრაქტს აუცილებლად გაგიხანგრძლივებთ, მაგრამ ამას არ აკეთებენ, გულის ტკივილს ვერსად გაექცევი. მგონი, სასტიკად მატყუებენ. ყველაფრის მიუხედავად, ჩემს თანაგუნდელებთან და დირექტორატის გარკვეულ ნაწილთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. „ბარსელონიდან" ამ ურთიერთობებზე ღირებულსა და ძვირფასს ვერაფერს წავიღებ. რა თქმა უნდა, გულშემატკივრების სიყვარულთან ერთად.

**- ხომ არ ნანობთ, რომ „ბარსაში" დაბრუნდით?**

- არავითარ შემთხვევაში. როცა ჩემოდნები ჩავალაგე და „მონაკოში" გადავბარგდი, მიზნად „ბარსელონაში" დაბრუნება დავისახე. ამ სურვილზე არასოდეს მითქვამს უარი. ყოველთვის გაცნობიერებული მქონდა, რომ კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობისთვის ჩემი შესაძლებლობები უნდა დამემტკიცებინა. აქ დაბრუნების გადაწყვეტილება თავად მივიღე და ნამდვილად არაფერს ვნანობ.

**- მოდით, არგენტინის ნაკრებსაც შევეხოთ. „ალბისელესტეში" ახალი ეპოქა იწყება. ჯერჯერობით, მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებით. უფრო მეტიც, საფრანგეთთან ამხანაგურ შეხვედრაში გოლიც კი გაიტანეთ. საინტერესოა, თქვენი ქვეყნის ნაკრებზე რას ფიქრობთ?**

- სასიხარულოა, რომ ეროვნულ გუნდში შესანიშნავი შემადგენლობა შეიკრიბა. ძირითად ბირთვს ის ფეხბურთელები კრავენ, რომლებსაც თავიანთ კლუბებში ბრწყინვალე კარიერა აქვთ. დარწმუნებული ვარ, ეს თაობა შეძლებს, რომ „ალბისელესტე" მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებთა შორის დაამკვიდროს, საფრანგეთთან მატჩში უაღრესად კომფორტულად ვგრძნობდი თავს. ურთულესი მეტოქის წინააღმდეგ ფანტასტიკური მატჩი ჩავატარეთ. მე, რა თქმა უნდა, ორმაგად ბედნიერი გახლდით. მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონის" ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოვიკიდე, ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობა მენდო და თამაშის საშუალება მომცა. გაცემული ავანსები ბოლომდე გავამართლე. როგორც თავად აღნიშნეთ, საფრანგეთის ნაკრებს გოლი გავუტანე.

**- 2006 წლის მუნდიალის დასრულების შემდეგ განაცხადეთ, რომ გერმანიასთან საკვანძო შეხვედრაში უთამაშებლობით უდიდესი ტკივილი განიცადეთ. ახლაც გტკივათ გული?**

- 2006 წლის მუნდიალზე, ერთის გარდა, ყველა შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. სამწუხაროდ, სწორედ ის ერთი თამაში აღმოჩნდა ავბედითი. რა თქმა უნდა, გული მეტკინა და ახლაც მტკივა, რომ ჩემს სამშობლოს ვერ დავეხმარე. კარგად მახსოვს, გერმანიასთან წაგებით მთელი გუნდი გაუბედურდა, არავინ იცინოდა და თითქმის არავინ ხმას არ იღებდა.

**- შესაძლოა, თითქმის ერთი წლის შემდეგ ეს თემა აღარ იყოს აქტუალური, მაგრამ მაინც მაინტერესებს, ვინმეს ხომ არ მიიჩნევთ დამნაშავედ?**

- არა, დამნაშავე არავინაა, რადგან ნაკრების უკლებლივ ყველა წევრმა მაქსიმუმი გაიღო. უბრალოდ, არ გაგვიმართლა. პენალტების სერიაში წავაგეთ. გარდა ამისა, ანგარიშიც ჩვენ გავხსენით, მაგრამ მასპინძლების კონტრშეტევა გამოგვეპარა და გოლი გავუშვით. ამან კი წელში გაგვტეხა.

**- ალბათ, სპეკულაციები არასოდეს დასრულდება. გულშემატკივრები დღესაც ამბობენ, სავიოლასა და მესის რომ ეთამაშათ, არგენტინა არ წააგებდაო...**

- წაგების შემდეგ უამრავი რამ შეიძლება ითქვას. ასეთ სპეკულაციებს გვერდს ვერ ავუვლით. დიახ, მე და ლეოს არ გვითამაშია, მაგრამ იმ ბიჭებს, რომლებიც მოედანზე იყვნენ, თავი არ დაუზოგავთ. მაშინ არავინ აქცევდა ყურადღებას, ძირითად შემადგენლობაში მოხვდა, თუ ბოლო წამამდე სათადარიგოთა სკამზე იჯდა. უკლებლივ ყველა თამაშში იყო ჩართული და არგენტინას მთელი გულით ემსახურებოდა. მართალია, 2006 წლის მუნდიალზე ვერაფერს მივაღწიეთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ გერმანიაში ბევრი რამ დავამტკიცეთ. ჩვენსავით ერთ მუშტად შეკრული გუნდი არავის ჰყოლია.

**- მესიზეც მინდა, გკითხოთ. რა იგრძენით, როცა თქვენმა მეგობარმა და თანაკლუბელმა „ხეტაფეს" ფენომენალური გოლი გაუტანა?**

- რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ, განუზომელ სიხარულს ვგრძნობდი. თქვენ სწორად აღნიშნეთ, მესი არა მარტო თანაკლუბელი, არამედ, პირველ რიგში, ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მეგობარია. ხოლო, როცა მეგობარი ასეთ წარმატებას აღწევს, შენც უზომოდ ბედნიერი ხარ. ვფიქრობ, ლეოს გოლით მთელი დედამიწა მოიხიბლა. ხალხი უბრალოდ, პირღია დარჩა. იმ გოლს თამამად შეიძლება ეწოდოს ხელოვნების ნიმუში. ჩემი აზრით, დღეს მესი და კრისტიანო რონალდო პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელები არიან.

**- მესის მარადონას ადარებენ. მახსოვს, ეს გზა თქვენც გამოიარეთ. როგორ ფიქრობთ, მსგავსი პარალელების გავლება ფეხბურთელს ფსიქოლოგიურ წნეხში აგდებს?**

- ვერ ვიტყვი, ეს ფსიქოლოგიური წნეხია, თუ არა, მაგრამ უდავოა, რომ მსგავსი შედარებები ფეხბურთელს სერიოზულ ტვირთად აწვება. რას ვიზამთ, პრესას უყვარს, როცა ახლადგამოჩენილ ნიჭიერ ბიჭს დიეგოს ადარებენ. არგენტინაში ყველამ იცის, რომ მარადონა ერთადერთია. მესი მიწაზე მყარად დგას და ცაში არ დაფრინავს. ძალიან მიხარია, რომ ლეოს წარმატებები თავში არ უვარდება. მერწმუნეთ, ჩემს მეგობარს საოცრად მყარი მენტალიტეტი აქვს.

**- მარადონას კარგად იცნობთ. ხომ არ გვეტყვით, რა სჭირს მაესტროს?**

- როგორც ყველა არგენტინელი, მას მეც ვაღმერთებდი. შემდეგ ცხოვრებამ დიეგოს გაცნობის პრივილეგია მომანიჭა. წარმოუდგენლად ვწუხვარ, რომ ახლა ცუდად გრძნობს თავს. მარადონამ უნდა იცოდეს, მთელი ქვეყანა მის გვერდითაა. არგენტინა მასზე ილოცებს და ღმერთი შეისმენს ხალხის ვედრებას.

**- თქვენ „რივერ პლეიტის" ფაქტობრივად, უკანასკნელი წარმატებული ფეხბურთელი ხართ. ბოლო წლებია, „მილიონაროსი" პრობლემებს ვერ უმკლავდება. საინტერესოა, ყოფილი კლუბის ბედი ისევ გაღელვებთ, თუ „რივერის" მიმართ გულგრილი გახდით?**

- რას ბრძანებთ?! „რივერს" დღესაც ჩემს მეორე სახლად მივიჩნევ. როცა „მონუმენტალზე" თამაში დავიწყე, პატარა ბიჭი ვიყავი. „რივერ პლეიტთან" ერთად მრავალ ტიტულს დავეუფლე. საწყენია, რომ მას ახლა პრობლემები აქვს, თუმცა ეჭვი არ მეპარება, მალე ყველაფერი რიგზე იქნება.

**- დასასრულს, ერთი ბანალური კითხვა მინდა დაგისვათ. გსურთ, რომ თქვენი შვილიც ფეხბურთელი გამოვიდეს?**

- არ მიფიქრია ამ საკითხზე. ჩემი შვილი ფეხბურთელი? რა გითხრათ, აბა?! ვიცი, დაიწყებენ შედარებებს, ხუმრობას... გამიხარდება, თუ სხვა საქმეს მოჰკიდებს ხელს. ისე კი, მისი გადასაწყვეტი იქნება.

ილია **ნიკოლაიშვილი**



ხავიე სავიოლა

ჩელსი

# შევჩენკო და ბალაკი მოურინიოს წინააღმდეგ?

## რა ხდება სინამდვილეში? ლონდონელთა უძვირეს ვარსკვლავებს მწვრთნელთან უთანხმოებას აბრალებენ...

**ანდრეი შევჩენკო** ამბობს, რომ საზარდულის ტრავმა, რის გამოც "ლივერპულთან" წუხანდელ მატჩში ვერ ითამაშა, მართლა აწუხებს და დასამალი არაფერი აქვს. საპასუხო ნახევარფინალური მატჩის წინ ცალკეულმა სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია შევასა და **ჟოზე მოურინიოს** მორიგი დაპირისპირების შესახებ - თითქოს, მოურინიომ უკრაინელს სკამზე დასმა დაუპირა, მან კი თადარიგში ყოფნა იუკადრისა, ტრავმა მოიმიზეზა და ლივერპულში გამგზავრება საერთოდ არ ისურვა. შევჩენკო: *"საზარდული რამდენიმე კვირის წინათ ამტკივდა. "ბოლტონთან" ბოლო ტურში ტრავმა გამირთულდა. მეორე ტაიმში ამიტომაც ვერ ვითამაშე. ვწუხვარ, რომ ლივერპულში ვერ მივდივარ. ლონდონში დავრჩები და ინტენსიურად ვიმკურნალებ, რათა უმოკლეს დროში ვითამაშო."*

მოურინიოსთან უთანხმოება **მიხაელ ბალაკსაც** დააბრალეს. გასულ პარასკევს გერმანელმა კოჭის ოპერაცია გაიკეთა და ათდღიანი დასვენება გამოიწერა. ტაბლოიდების მტკიცებით, ოპერაცია კლუბისგან ნებადართული არ იყო. ბალაკი ამბობს: *"ქირურგებთან გასართობად არ დადიან. "ლივერპულთან" თამაში ჩემზე მეტად არავის უნდოდა. იმედია, ფინალში ვითამაშებ."* ამ ინფორმაციის გაცნობისას, მკითხველმა უკვე იცის წუხანდელი თამაშის შედეგი და ისიც, უწერია თუ არა ბალაკის სურვილს ახდენა.

"ასის" ცნობით, "ჩელსიმ" ვალენსიელ **დავიდ ვილიას** დღევანდელზე ორჯერ მაღალი ხელფასი შესთავაზა. ლონდონში გადასვლის შემთხვევაში, ესპანელი თავდამსხმელი წლიურად 3 მილიონ გირვანქას მიიღებს. იმავე სტატიაში ვკითხულობთ, რომ "არისტოკრატებმა" 40 მილიონი გირვანქა გაამზადეს. იანვრის ტრანსფერებისას **რომან აბრამოვიჩმა** ამ ტრანსფერის დაფინანსებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

"ჩელსისა" და ვალენსიის გზები, შეიძლება, მეორედაც გადაიკვეთოს. ინგლისის ჩემპიონები მარჯვენა მცველს ეძებენ და სევილიელი **დანიელ ალვეშის** გარდა, ვალენსიელ **მიგელსაც** დაადგეს თვალი.



ანდრეი შევჩენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევერკუზენი. ტრანსფერები

# გეკასი ლევერკუზენში

## ბერძენი გოლეადორი ვორონინს შეცვლის, ბუტიც მიდის, ფიოლერი ახალ გუნდს გააკეთებს...

ცხადი იყო, რომ **თეოფანის გეკასს** "ბოხუმში" არავინ გააჩერებდა. 26 წლის ბერძენ თავდამსხმელს, რომელმაც რურის კლუბს ზაფხულში, "პანათინაიკოსიდან" მიაშურა, მიმდინარე სეზონში 19 გოლი (29 თამაშში) აქვს გატანილი და ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირია. იმის გათვალისწინებით, რომ მის უახლოეს მდევარ **ალექსანდერ ფრაის** (დორტმუნდი) მხოლოდ 15 გოლი აქვს, ეჭვი არავის ეპარება, რომ გეკასი გერმანიის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი გახდება. ამრიგად, ფეხბურთელი, რომლის გადაბირებაც "ბოხუმს" თვით **ოტო რეჰაგელმა** ურჩია, ამ სეზონის უმთავრესი აღმოჩენაა. შესაბამისად, გასაკვირი სულაც არაა, რომ მას არაერთი მთხოვნელი გამოუჩნდა. მაგრამ ყველაზე სწრაფად "ლევერკუზენის" ხელმძღვანელებმა იმოქმედეს და ახლა უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ ტანმორჩილი ფორვარდი, რომელსაც საბერძნეთის ნაკრებში 13 თამაში აქვს ჩატარებული, მომავალი სეზონიდან "ბაიერში" იასპარეზებს.

ეს ინფორმაცია "ლევერკუზენის" სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმაც** დაადასტურა. როგორც იცით, "ბოხუმი" მე-11 ადგილზეა და ბუნდესლიგაში დარჩენა ჯერ არ გაუნაღდებია. რა ფასად შეიძენენ "ფარმაცევტები" გეკასს, ეს სწორედ იმაზეა დამოკიდებული, გავარდება თუ არა "ბოხუმი". იმ შემთხვევაში, თუ რურელები ელიტაში დარჩებიან, გეკასის ფასი დაახლოებით 4 მილიონი ევრო იქნება, ხოლო თუ გავარდებიან, მაშინ "ბაიერს" მხოლოდ მილიონნახევრის გადახდა მოუწევს. ასე იქნება, თუ ისე, "ბოხუმი" ყველა შემთხვევაში მოგებული რჩება, რადგან "პანათინაიკოსმა" გეკასის სატრანსფერო უფლებების გაყიდვით (ზაფხულში მიღწეული შეთანხმების თანახმად), მხოლოდ 700 000 ევრო უნდა მიიღოს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ამ თანხასაც "ლევერკუზენი" იხდის. ყოველ შემთხვევაში, შეთანხმება უკვე მიღწეულია და ამ დღეებში გეკასი "ბაიერთან" წინასწარ კონტრაქტს გააფორმებს.

*"ბოხუმიდან" წასვლა ჩემთვის იოლი არ არის. როცა ამ გუნდში მოვდიოდი, გერმანიაში არავინ მიცნობდა, ახლა კი საუკეთესო ბომბარდირი ვარ, რაც "ბოხუმის" დამსახურებაა. იმედი მაქვს, რომ გულშემატკივრები ჩემს გადაწყვეტილებას გაგებით შეხვდებიან. ვიცი, ძალიან უნდათ, რომ დავრჩე, მაგრამ ასეთი შანსი ფეხბურთელს ძალიან იშვიათად ეძლევა. პირობას ვდებ, რომ დარჩენილ შეხვედრებში ყველაფერს გავაკეთებ, რათა "ბოხუმმა" ბუნდესლიგაში ადგილი შეინარჩუნოს,"* - განუცხადა გეკასმა "რევიერ-შპორტს". ბერძენი "ბაიერში" უკრაინელ **ანდრეი ვორონინს** შეცვლის, რომელიც უკვე დიდი ხანია მოურიგდა "ლივერპულს".

"ფარმაცევტები" ამ ტრანსფერზე გაჩერებას არ აპირებენ და მომდევნო სეზონისთვის კიდევ არაერთი ხმაურიანი გარიგება აქვთ დაგეგმილი. გერმანული პრესის ცნობით, გადაწყვეტილია, რომ "ბაიერს" ჩილელი მცველი **არტურო ვიდალიც** მიაშურებს. ფიოლერი უკვე მოურიგდა ამ ფეხბურთელის კლუბ "კოლო კოლოს" და ცნობილია, რომ "ლევერკუზენს" ვიდალი 5.2 მილიონი ევრო დაუჯდება. ამასთან, ჩილელები ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებების 30 პროცენტს დაიტოვებენ. როგორც შენიშნეთ, უცნობი ფეხბურთელისთვის 5.2 მილიონი საკმაოდ დიდი თანხაა. მაგრამ ფიოლერმა იცის, რაშიც იხდის ფულს. რუდის თქმით, ვიდალი იდეალური მცველია, რომელსაც უკანა ხაზში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. "ფარმაცევტთა" მთავარი მწვრთნელი **მიხაელ სკიბე** ამ ფეხბურთელს სულაც ბრილიანტს უწოდებს. ვიდალი მხოლოდ 19 წლისაა (1.81 მეტრი სიმაღლის), მაგრამ უკვე თამაშობს ჩილეს ნაკრებში. "ბაიერში" მან ბრაზილიელი **ჟუანი** უნდა შეცვალოს, რომელიც "კიკერის" ინფორმაციით, "რომაში" გადადის. რომაელები ჟუანის სანაცვლოდ 7 მილიონ ევროს იხდიან. გადაწყვეტილია ისიც, "ბაიერს" მეორე ბუნდესლიგური "კიოლნის" მცველი **ლუკას სინკიევიჩიც** მიაშურებს (1.6 მილიონი ევროს სანაცვლოდ). ეს უკანასკნელი გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მცველია - შეგახსენებთ, რომ მას გერმანიის ეროვნულ ნაკრებში 3 თამაში აქვს ჩატარებული. **იურგენ კლინსმანის** მწვრთნელობის ხანაში სინკიევიჩი მუდმივად ბუნდესგუნდში მოხვედრის კანდიდატი იყო.

ამრიგად, ცხადია, რომ მომავალ სეზონში სულ სხვა "ლევერკუზენს" ვიხილავთ. გადაწყვეტილია, რომ "ახალ გუნდში" აღარ იქნება მეკარე **ჰანს-იორგ ბუტი**. 33 წლის გოლკიპერმა 2008 წლამდე გაფორმებული კონტრაქტი გაწყვიტა და ახალ გუნდს ეძებს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მეორე წრეში ბუტმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. დღეს "ფარმაცევტების" პირველი მეკარე ახალგაზრდა **რენე ადლერია**. ბუტი "ლევერკუზენს" ყოველგვარი საზღაურის გარეშე დატოვებს, რადგან მის კონტრაქტში ჩადებული იყო პუნქტი, რომლის თანახმადაც, თუ მეკარე მეორე წრის თამაშების ნახევარზე მეტში მონაწილეობას არ მიიღებდა, გუნდიდან უფასოდ წასვლის შესაძლებლობა მიეცემოდა. ასეც მოხდა, თუმცა ბუტს ახალი გუნდი ჯერ არ უპოვნია. *"მაქვს რამდენიმე შემოთავაზება ესპანეთიდან და ინგლისიდან, უგუნდოდ ნამდვილად არ დავრჩები,"* - ამბობს მეკარე, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 3 თამაში აქვს ჩატარებული და რომელიც 2002 წლის მუნდიალზე ბუნდესგუნდის მესამე კიპერი გახლდათ. შეგახსენებთ, რომ ბუტი "ლევერკუზენში" 2001 წელს "ჰამბურგიდან" გადავიდა და "ბაიერის" მაისურით 190 თამაშში 7 გოლიც კი გაიტანა - როგორც იცით, ჰანს-იორგი ადრე პენალტებს ასრულებდა და ისიც გემახსოვრებათ, რომ "ჰამბურგში" თამაშის დროს, 2000/01 წლების სეზონში ბომბარდირთა მარაქაშიც კი იყო გარეული. საერთო ჯამში ბუნდესლიგაში 323 თამაშში 26 გოლი აქვს გატანილი. ბუტის წასვლის შემდეგ, "ლევერკუზენს" ადლერის გარდა ორი მეკარე დარჩება: **ბენედიქტ ფერნანდესი** და **ერიკ დომაშკე**.

ჟუანთან, ვორონინთან და ბუტთან ერთად "ლევერკუზენს" **ფრედრიკ შტენმანიც** დატოვებს - 800 000 ევროს სანაცვლოდ ჰოლანდიურ "გრონინგენში" გაბარგდება. გამოდის, რომ "ფარმაცევტები" გეკასში, სინკიევიჩსა და ვიდალში დაახლოებით 10 მილიონს ხარჯავენ. გადაწყვეტილია "კიოლნის" ახალგაზრდა ფორვარდ **პატრიკ ჰელმესის** ტრანსფერიც, თუმცა ეს უკანასკნელი "ბაი არენაზე" 2008 წლიდან გამოჩნდება. ამასთან, ცნობილია, რომ ლევერკუზენელები ახალგაზრდა თურქ ფორვარდ **თევფიქ ქიოზეს**, რომელიც 2005 წელს ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, რომელიმე დაბალი რანგის გუნდში გაანათხოვრებენ. 2008/09 წლების სეზონისთვის დაგეგმილია "ბრიუნის" ტალანტ, 18 წლის **ონდრეი მაზუჩის** ტრანსფერიც. ამ ფეხბურთელისთვის "არსენალი", "ფიორენტინა" და "იუვენტუსიც" იბრძვიან, მაგრამ თვითონ მაზუჩი გერმანიას ანიჭებს უპირატესობას. მოკლედ, როგორც ხედავთ, ფიოლერი მუშაობს...

**გოტფრიდ ლენცი**



თეოფანის გეკასი

ბრაზილიის ნაკრები

# დუნგას რონალდოს იმედი არ აქვს

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დუნგამ** გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ **რონალდოს** კოპა ამერიკაზე სათამაშოდ არ გამოიძახებს. „სელესაოს" თავკაცმა ეს გადაწყვეტილება ფრიად საინტერესო გარემოებით ახსნა: *„რონალდო ყველამ კარგად გაიცნო. ის იმ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებსაც ყოველთვის ვერ დაეყრდნობი. შესაძლოა, ისე მოხდეს, ნაკრებს დასჭირდეს, მაგრამ მან თამაში არ ისურვოს. ამიტომ, უმჯობესია, სხვა მოთამაშეებზე გავაკეთოთ არჩევანი. აშკარად სჯობს, ერთგული და თავდადებული ფორვარდი მოვნახოთ. საბედნიეროდ, ბრაზილიას ასეთი ბიჭები არ აკლია."*

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დუნგა დაინიშნა, რონალდო ეროვნულ გუნდში ერთხელაც არ გამოუძახიათ. როგორც ჩანს, დუნგას „მილანის" ცენტრფორვარდი სასტიკად არ მოსწონს.

## მარკესი საკუთარ საწოლში დაშავდა

**რაფა მარკესი** „ბარსელონას" ორი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება. ამის მიზეზი კურიოზულზე კურიოზული ტრავმაა. გაგეცინებათ, მაგრამ მექსიკელმა მცველმა საკუთარ საწოლში შუაღამით ძილისას მარჯვენა ბარძაყის კუნთი დაიჭიმა. როგორც თავად ბარსელონელი იხსენებს, ვვერდის შეცვლისას მას ფეხი ლეიბსა და საწოლის ფიცარს შორის გაეჩხირა და ტრავმაც ამან გამოიწვია. **ფრანკ რიიკაარდი** მომხდარით შეშფოთებულია და დაუფარავად ამბობს, რომ „ბარსას" მარკესი ჰაერივით სჭირდებოდა. რა გაეწყობა, ცხოვრებაში კურიოზები ხშირად ხდება.

## ლეო ფრანკო სამი კვირით დაისვენებს

„ატლეტიკოს" სამედიცინო შტაბმა **ლეო ფრანკოს** ტრავმასთან დაკავშირებით ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. არგენტინელ გოლკიპერს მარჯვენა ბარძაყის კუნთი გაუწყდა. „როხიბლანკოს" ექიმების ვარაუდით, მის განკურნებას დაახლოებით სამი კვირა სჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მადრიდული კლუბი მომდევნო სამ შეხვედრას ძირითადი მეკარის გარეშე ჩაატარებს. „ატლეტიკოს" ლეო ფრანკო ყველაზე მეტად, ალბათ, „ბარსელონასთან" საშინაო შეხვედრაში დააკლდება.

## გაფიცვა ლიგის ფინალის დღეს?

საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო შეშფოთებულია. ათენის პოლიციამ გადაწყვიტა, დედაქალაქის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური გაფიცვა ჩემპიონთა ლიგის ფინალის დღეს, 23 მაისს დაამთხვიოს. პოლიციელთა პროფკავშირებმა ხელფასების გაზრდასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ვერა და ვერ მიაღწიეს. ათენის მატჩისას უსაფრთხოების უზრუნველყოფას სულ ცოტა 17 ათასი თანამშრომელი დასჭირდება. გასათვალისწინებელია, რომ მინიმუმ ერთი ფინალისტი ინგლისური კლუბი იქნება. ათენში 35 ათას ბილეთიან გულშემატკივარს ელოდებიან. შესაძლოა, 20-30 ათასი ფანი უბილეთოდ ჩავიდეს. ბერძენი სამართალდამცველები იმავე გეგმით აპირებენ მოქმედებას, რომლითაც 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე სრული წესრიგი უზრუნველყვეს. მთავარია, არ იყოს გაფიცვა.




ზუსტად 3 277 დღის შემდეგ: ჩვენ ისევ იქ ვართ!

მეორე ბუნდესლიგა

# კარლსრუე ელიტაში ბრუნდება

## ცხრაწლიანი პაუზის შემდეგ ბადენელები ბუნდესლიგაში ითამაშებენ...

კვირას მეორე ბუნდესლიგის ლიდერმა "კარლსრუემ" "უნტერჰახინგს" 1:0 მოუგო და სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე, ბუნდესლიგის საგზური ოფიციალურად გაინაღდა. ამრიგად, ბადენის გუნდი, სამხრეთი გერმანიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, 9 წლიანი პაუზის შემდეგ გერმანიის საფეხბურთო ელიტაში ბრუნდება. ისე, ბოლო დროს ამაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რადგან KSC მართლაც შესანიშნავ სეზონს ატარებს და მეორე ბუნდესლიგაში აშკარად ყველაზე ძლიერია. გუნდმა, რომელსაც **ედმუნდ ბეკერი** წვრთნის, 31 მატჩიდან 20 მოიგო, 6 ფრედ დაამთავრა, 5-ში დამარცხდა და ახლა 66 ქულა აქვს, რითაც გარკვეულია, რომ დარჩენილ სამ ტურში არათუ სამეულს მიღმა ვერ დარჩება, არამედ პირველ ადგილსაც აღარავის დაუთმობს.

მატჩის დამთავრების შემდეგ "კარლსრუეს" მშობლიურ არენა "ვილდპარკშტადიონზე" დიდი ზეიმი გაიმართა - გუნდთან ერთად ელიტაში დაბრუნება 29 500-მა (სტადიონი სწორედ ამდენ მაყურებელს იტევს) გულშემატკივარმა იზეიმა. *"ბუნდესლიგაში დაბრუნების სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ სეზონის დასაწყისშივე მჯეროდა, რომ ამ სეზონში დიდი ხნის ოცნებას ავისრულებდით. თუმცა იმას კი ნამდვილად არ ველოდი, რომ პირველ ადგილზე გავიდოდით,"* - აცხადებს გუნდის 50 წლის დამრიგებელი.

"კარლსრუე" გერმანიაში სერიოზული წარმატებით ვერასდროს დაიკვეხნიდა, თუმცა ამ გუნდის ისტორიაში არაერთი გამონათებაა. KSC ერთადერთხელ იყო გერმანიის ჩემპიონი და ისიც 1909 წელს. 1956 წელს ეს გუნდი გერმანიის ვიცე-ჩემპიონი გახდა. "კარლსრუეს" მატიანეში ყველაზე წარმატებული პერიოდი 80-იანი წლების მიწურულს დაიწყო და 1998 წლამდე გასტანა. ამ პერიოდში ბადენელებმა სამჯერ იასპარეზეს უეფას თასზე, აქედან ორჯერ (1997, 1998) მერვედფინალამდე მიაღწიეს, 1993-94 წლების სეზონში კი ამ ტურნირის ნახევარფინალშიც კი იყვნენ. 1996 წელს გუნდი გერმანიის თასის ფინალშიც გავიდა. ბუნდესლიგაში ყველაზე მაღალი, მე-6 ადგილი "კარლსრუემ" სამჯერ, 1991/92, 1992/93 და 1996/97 წლებში დაიკავა. იმხანად გუნდს **ვინფრიდ შეფერი** წვრთნიდა, რის გამოც ამ პერიოდს "შეფერის ხანა" ეწოდა. 1998 წელს გუნდი კვლავ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა და მას მერე ელიტაში ერთხელაც არ უთამაშია. მეტიც, 2000 წელს "კარლსრუე" რეგიონალლიგაში კი გავარდა, თუმცა მეორე ლიგას პირველსავე სეზონში დაუბრუნდა.

90-იან წლებში KSC-მ გერმანულ ფეხბურთს სამი უდიდესი მოთამაშე აჩუქა: **ოლივერ კანი, იენს ნოვოტნი** და **მეჰმეთ შოლი** (სამივე ამ გუნდის აღზრდილია). 1994-იდან 1998 წლამდე "კარლსრუეს" ღირსებას იცავდა ლეგენდარული ფლეიმეიქერი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **თომას ჰესლერი**. დღევანდელი შემადგენლობიდან გამოსარჩევია თავდასხმის დუეტი, რომელსაც იტალიელი **ჯოვანი ფედერიკო** და ალბანელი **ედმონდ კაპლანი** ქმნიან. მეორე ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავას სწორედ ეს დუეტი უდგას სათავეში - კაპლანის 17 გოლი აქვს, ფედერიკოს კი 16. თუმცა უკვე გადაწყვეტილია, რომ ფედერიკო მომავალი სეზონიდან დორტმუნდის "ბორუსიაში" იასპარეზებს. წამყვან ფეხბურთელებად ითვლებიან **სებასტიან ფრაისი, ბრედლი კარნელი, მასიმილიან პორცელო, მარკუს მილერი, მაიკ ფრანცი** და **მარიო ეგიმანი**.

"კარლსრუე" ძალიან ღარიბი გუნდია, რის გამოც ხელმძღვანელები სატრანსფერო ბაზარზე დიდად არ იაქტიურებენ. ბოსების თქმით, KSC-მ "ბოხუმსა" და "კოტბუსს" უნდა მიბაძოს და ფონს გასვლას ასე შეეცადოს. ბეკერის თქმით, "კარლსრუეს" ბუნდესლიგაში 22 ფეხბურთელი ეყოლება. "დორტმუნდში" მიმავალი ფედერიკოს შემცვლელად ბადენელებმა **კრისტიან ტიმი** დაიბევეს. გადაწყვეტილია ისიც, რომ ზაფხულიდან გუნდს "აინტრახტის" მარცხენა მცველი **კრისტოფერ რაინჰარდი** და "უნტერჰახინგის" ნახევარმცველი **შტეფან ბუკი** მიაშურებენ. ამასთან, "კარლსრუეს" შეფებს "ბაიერნის" მარჯვენა მცველის **ანდრეას გიორლიტცის** არენდით აყვანა სურთ. იყო საუბრები დორტმუნდელი **ლარს რიკენის** შეძენაზეც, მაგრამ გუნდის შეფებმა "ბორუსიაში" ჩამოწერილი ნახევარმცველის გადაბირება გადაიფიქრეს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ უგო სანჩესთან

# მექსიკას აკლია ის, რაც აქვთ სხვებს...

## როცა პირველად ეროვნულ გუნდში გამომიძახეს, დედაჩემი სიხარულისგან იატაკზე მოვისროლე...

**შარშანდელი ნოემბრიდან, ლეგენდარული მექსიკელი ფეხბურთელი უგო სანჩესი თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს უდგას სათავეში. მისი მიზანია, მექსიკის ნაკრები მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად აქციოს. გთავაზობთ ინტერვიუს მადრიდის "რეალის" ყოფილ ვარსკვლავთან...**

**- რითი გაგვაოცებს მექსიკის ეროვნული ნაკრები თქვენი ხელმძღვანელობით?**

- ჩვენ შეგვიძლია იმაზე მეტის გაკეთება, რაც აქამდე ყოფილა. მჯერა ჩემი გუნდის, თუმცა ვთხოვ მთელ მექსიკას, დაგვეხმაროს მიზნის მიღწევაში უბრალო მხარდაჭერით მაინც. ჩემი სამშობლო ძალიან დიდია, მას უდიდესი ინფრასტრუქტურა გააჩნია, მდიდარია ბუნებრივი რესურსებითაც. მე გზავნილით მივმართე მედიის ყველა სექტორს - სოციალურს, პოლიტიკურს, კულტურულს, ეკონომიკურსა და სპორტულს. თუ ჩვენ გვსურს, რომ მექსიკამ უდიდეს წარმატებას მიაღწიოს, ყველამ ერთად უნდა ვიშრომოთ და ვიმოქმედოთ.

**- თქვენ ლიდერი იყავით. პირველი, რასაც გააკეთებთ, ეს იქნება საკუთარ შეგირდებში გამარჯვებულის მენტალიტეტის ჩანერგვა?**

- დიახ. ამბიცია ჩემი ყოველთვის ხასიათის დამახასიათებელი ნიშანი იყო, რადგან არასდროს არაფრით კმაყოფილი არ ვიყავი და არც ახლა ვარ. ვეძებ ფეხბურთელებს, რომელთაც ეამაყებათ მექსიკის ეროვნულ გუნდში თამაში და რომლებიც მზად არიან თავდაუზოგავი შრომისთვის, რათა უფრო მეტს მიაღწიონ ადრინდელთან შედარებით. მენტალურად, ისინი უფრო კარგად უნდა იყვნენ მომზადებულნი. ფეხბურთელობისას სწორედ ამას მივაღწიე, როგორც მოთამაშემ და როგორც პიროვნებამ. ეროვნულ ნაკრებში უფერულობის ადგილი არ არის.

**- გრძნობთ განსხვავებას იმ პერიოდთან, როცა ფეხბურთში თქვენი დებიუტი შედგა?**

- არც ისე. 18 წლის ვიყავი და მახსოვს, ძალიან ავღელდი, როცა ნაკრებში გამომიძახეს. ყირაზე არ გადავსულვარ, რადგან ჩემს პატარა ოთახში ამ ილეთის ადგილი არ იყო. უბრალოდ, მშობლებთან ერთად ვიყავი და დედაჩემი, სიხარულისგან, იატაკზე მოვისროლე. ახლა კი, როცა ნაკრებში დამნიშნეს, მეუღლე და ბავშვები გულში ჩავიხუტე. მექსიკის ეროვნული გუნდის მწვრთნელობა ჩემი სპორტული კარიერის უმთავრესი მიზანი იყო.

**- კვლავ შემტევი ფეხბურთის მომხრე ხართ?**

- დიახ. მექსიკურ ფეხბურთს აკლია ის, რაც სხვა ქვეყნის გუნდებს ახასიათებს: საკუთარი სახე. როცა ინგლისის წინააღმდეგ თამაშობ, იცი მისი სტილი. იგივე ითქმის ბრაზილიაზე, არგენტინაზე, იტალიასა და გერმანიაზე... ესპანეთზეც. მექსიკაში საკუთარი სტილი უნდა დავამკვიდროთ და სწორედ ამისთვის ვამზადებ გუნდს. იგივეს ვაკეთებდი "პუმასშიც" (მექსიკური გუნდი, რომელსაც სანჩესი ადრე წვრთნიდა - რედ), რასაც ორჯერ ეროვნული ჩემპიონატის მოგება მოჰყვა და ფეხბურთი იმ დონეზე ავიყვანეთ, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" თვით მადრიდის "რეალის" დამარცხებაც კი მოვახერხეთ. ჩვენი მიზანია, მსოფლიოს ნებისმიერი გუნდის დამარცხება.

**- ცენტრალური მცველი რაფაელ მარკესი თქვენი მარჯვენა ხელი იქნება?**

- დიახ, შეგიძლიათ ასე უწოდოთ. ის გუნდის ლიდერი და კაპიტანი იქნება. მასთან ეს საკითხი უკვე შევათანხმე. მსურს, გამოვიყენო მისი გამოცდილება. მან უნდა გაინაწილოს პასუხისმგებლობა გუნდის სხვა ლიდერებთან ერთად. ის სულით ხორცამდე ლიდერია, ამიტომაც უნდა იყოს კაპიტანი და უმთავრესი ფიგურა.

**- რას ელით "ბარსელონის" ახალგაზრდა მოთამაშე ჯოვანი დოს სანტოსისგან?**

- დოს სანტოსი სწორ გზაზე დგას და არა მარტო ის: კარლოს ველაც, ეფრაიმიც და ბევრი სხვაც, ვინც 2005 წელს ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა კანადაში, 20-წლამდელთა მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი გაიაროს, მერე კი მიზანი, რა თქმა უნდა, მეორე ტიტულის მოგება იქნება.

**- აპირებთ, ასწავლოთ მათ თქვენი საფირმო "მაკრატელა"?**

- ზოგი მას უკვე კარგად ასრულებს და ეს მსიამოვნებს. რა თქმა უნდა, ვისაც ამ მხრივ უფრო მეტად დახელოვნება სურს, არ დავიზარებ და ილეთს დეტალურად ვასწავლი. ერთადერთი, რასაც არ გავაკეთებ, იქნება ის, რომ მათგან ჩემსავით თამაშს არ მოვითხოვ. მივესალმები ყოველი ფეხბურთელის ინდივიდუალიზმს, მის დახვეწას, მაგრამ პირადულობას და ხარისხს არ დავუკარგავ, თუმც შესაძლებლობების ზღვარსაც არ დავივიწყებ.

**- თქვენ უკვე გვიჩვენეთ, რა შეგიძლიათ, როგორც მწვრთნელს. "პუმასთან" ერთად ჩემპიონის ორი ტიტული მოიგეთ. ახლა რისი იმედი გაქვთ?**

- ყოველთვის მხიბლავდა საკუთარი კვალის დატოვება. ამჯერად, იმედი მაქვს, რომ მექსიკის ნაკრებში ისეთ წარმატებას მივაღწევ, რაც ადრე მის ისტორიაში არასდროს ყოფილა. გვერდით გადავდოთ შედეგი, კიდევ ვიმეორებ - მსურს, გუნდს საკუთარი სათამაშო ხელწერა ჰქონდეს. ექსპერტებს რომ ჰკითხოთ, ვერავინ გეტყვით, როგორ სტილში თამაშობს მექსიკის ნაკრები, რადგან ასეთი სტილი ბუნებაში არ არსებობს, არადა, აუცილებელია, რომ იყოს.

**- დღეისთვის ვინაა მსოფლიოში საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი?**

- ძნელი სათქმელია... ვფიქრობ, ვან ნისტელროოი საუკეთესო იყო ბოლო წლების განმავლობაში. არიან განსხვავებული სტილის თავდამსხმელებიც - რონალდო, ანრი... და სხვა ტიპის მოთამაშეებიც - მაგალითად, მესი, რომელიც უდიდესია თავის ამპლუაში. არის ასევე დავიდ ვილია, რომელიც სხვებთან შედარებით არც ისე ცნობილია, მაგრამ მაინც ძლიერია. მართალია, ფიზიკურად სრულყოფილი არაა, თუმცა იცის, როგორ მოიპოვოს უპირატესობა და გაუმკლავდეს მცველებს.

**- შეიძლება, რომ ესპანეთის პრიმერა დივიზიონში თქვენი ბომბარდირული რეკორდი (38 გოლი) ვინმემ მოხსნას?**

- მართალი გითხრათ, არ ვიცი. რეკორდები იმისთვისაა, რომ მინიმუმ გაიმეორო ისინი, ან გააუმჯობესო. შეუძლებელი არაფერია. და რაც უფრო მეტი დრო დასჭირდება რეკორდის დამხობას, მით უფრო ამაღლდება მისი ფასი. იმედია, ვიცოცხლებ და მივულოცავ იმ მოთამაშეს, ვინც ჩემი შედეგის გამეორებას ან გაუმჯობესებას შეძლებს, ისევე, როგორც ეს მე გავაკეთე, როცა სარას (პირველი ფეხბურთელი, ვინც ესპანეთის ჩემპიონატის ერთ სეზონში, 1950-51 წლებში, 38 გოლი გაიტანა - რედ) მიღწევა გავიმეორე. არაფერს ვიჩემებ, იმედი მაქვს, ერთ დღეს ჩემი რეკორდიც მოიხსნება.

FIFA magazines-ის
მიხედვით მოამზადა
**დავით ჩუბინიძემ**



უგო სანჩესი



### დოსიე
### უგო სანჩესი

დაიბადა: 1958 წლის 11 ივლისი, მეხიკო.

ფეხბურთელის კარიერა

1975-1981: მეხიკოს ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტი; 1979-80 წლების ზაფხული: "სან დიეგო სოკერსი" (აშშ); 1981-85: მადრიდის "ატლეტიკო" (ესპანეთი); 1985-92: მადრიდის "რეალი" (ესპანეთი); 1992-93: "ამერიკა" (მექსიკა); 1993-94: "რაიო ვალეკანო" (ესპანეთი); 1994-95: "ატლანტე" (მექსიკა); 1995: "ლინცი" (ავსტრია); 1996: "დალას ბერინი" (აშშ); 1997-98: "ატლეტიკო სელაია" (მექსიკა).

მიღწევები

ითამაშა 1978, 1986 და 1994 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე; 1977: კონკაკაფ-ის ჩემპიონატის გამარჯვებული; 1980, 1982: კონკაკაფ-ის ჩემპიონთა თასის მფლობელი; 1986: უეფას თასის გამარჯვებული; 1986-90: ესპანეთის პრიმერა დივიზიონის ხუთგზის ჩემპიონი; 1985, 1989: ესპანეთის თასის მფლობელი; 1977, 1981: მექსიკის ლიგის ჩემპიონი; 1985, 1988, 1990: ესპანეთის ლიგის ბომბარდირი; 1990: ევროპის "ოქროს ბუცის" მფლობელი (38 გოლი); ესპანეთის პრიმერა დივიზიონში ჩაატარა 347 მატჩი, გაიტანა 233 გოლი; მექსიკის ლიგის 260 მატჩში 124 გოლი; მექსიკის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული აქვს 60 მატჩი, გაიტანა 29 გოლი.

სამწვრთნელო კარიერა

2000 წლის იანვარი-2005 წლის ნოემბერი: მეხიკოს ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტი; 2006 წლის სექტემბერი-ნოემბერი: "ნეკაქსა" (მექსიკა); 2006 წლის ნოემბრიდან დღემდე: მექსიკის ეროვნული გუნდის მწვრთნელი.

მიღწევები

2004, 2005: მექსიკის ლიგის ჩემპიონი; 2005: მექსიკის თასის მფლობელი.

სანდერლენდი

# ფეხბურთი მნიშვნელოვანია, მაგრამ...

## როი კინი პრემიერლიგაში დაბრუნდა. მენიუს ლეგენდა მხოლოდ გადარჩენისათვის არ იბრძოლებს...

**როი კინმა** სამწვრთნელო კარიერა გასულ ზაფხულს დაიწყო. მან "სანდერლენდი" უმალ პრემიერლიგაში გადაიყვანა. ირლანდიელს უმაღლეს დივიზიონში ადგილის შენარჩუნება არ დააკმაყოფილებს. ის გრანდების დამწუხრებას გეგმავს. კინს შემადგენლობის გასაძლიერებლად 30 მილიონ გირვანქას გამოუყოფენ. ახალბედა მწვრთნელი "მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრას მოუთმენლად ელის: *"ყველა თამაში მნიშვნელოვანია. "ნიუკასლთან" ჩრდილო-აღმოსავლური დერბი განსაკუთრებული იქნება. მეტოქე აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. რა თქმა უნდა, არც "მიდლსბროს", "ჩელსის", "მანჩესტერის", "ლივერპულის", "არსენალისა" და "ტოტენჰემის" დამარცხებაზე ვიტყვით უარს. ჩვენ ყველა თამაშის მოსაგებად ვიბრძოლებთ. მინდა, "სანდერლენდმა" პრემიერლიგას რაღაც შემატოს. თუ საჭირო ფეხბურთელებს შევიძენთ, დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. თუ სეზონს ბოლოდან მეოთხე ადგილზე დავასრულებთ, კმაყოფილი არ ვიქნება. შეიძლება, ვიღაცამ თქვას, რომ დებიუტანტისათვის ესეც კარგი შედეგია, მაგრამ ჩემგან მსგავს ფრაზას ვერ გაიგონებთ."*

კინისა და კლუბის თავმჯდომარე **ნაიალ ქუინის** მეცადინეობით, *"შავმა კატებმა" თითქმის წარმოუდგენელი რამ შეძლეს. ფანები საყვარელი კლუბისაგან უფრო მეტ წარმატებას ელოდებიან. კინი: "სანდერლენდის" გაწვრთნას იმიტომ დავთანხმდი, რომ მასში დიდი პოტენციალი დავინახე. გავრისკეთ მეც და კლუბმაც. საბოლოოდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. ახლა შემადგენლობის გაძლიერებაა საჭირო. ჩემი მოვალეობაა, საჭირო ფეხბურთელები შევარჩიო. რამდენიმე გვარი უკვე ჩანიშნული მაქვს. იმედია, არ შევცდები."*

მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ კინის საოცარ ტრანსფორმაციას მოჩხუბარი ფეხბურთელიდან დინჯ მწვრთნელამდე. *"ეს იმიტომ, რომ ფეხბურთი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი რამ აღარ არის, - განმარტავს როი, - მეტსაც გეტყვით, მას ჩემს ცხოვრებაში მეორე ადგილიც კი არ უკავია. ფეხბურთელობისას ყველაფერი პირიქით იყო. თამაშის გარდა, არაფერზე ვფიქრობდი. ემოციებს ვერ ვუმკლავდებოდი და განუწყვეტლივ ვეჩხუბებოდი თანაგუნდელებსა და მწვრთნელებს. ასაკი მემატება და ვჭკვიანდები. ოჯახი მეხმარება, რომ ფეხბურთის გარდა, სხვა რამეზეც ვიფიქრო. საქმე, რომელსაც ვაკეთებ, მნიშვნელოვანია, მაგრამ არა ყველაფერზე მნიშვნელოვანი."*




სანდერლენდი პრემიერლიგაში აღზევებას ზეიმობს

ბაიერნი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# მიუნხენელთა ახალი სამიზნე: სნეიდერი

## ზე რობერტოსთან მოლაპარაკებები დაწყებულია, გლადბახი იანსენს 10 მილიონად აფასებს...

**როგორც** იცით, "ბაიერნის" ხელმძღვანელები მომდევნო სეზონისთვის სერიოზულ საკადრო ცვლილებებს გეგმავენ. ამის შესახებ უკვე არაერთხელ ვწერდით - რეკორდმაისტერის სამომავლო გეგმების შესახებ გუშინდელ ნომერში დაწვრილებით გაცნობეთ. მაგრამ ერთ დღეში კიდევ ბევრი ახალი ცნობა გავრცელდა. მაგალითად, ბავარიელთა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** გუშინ საბოლოოდ დაადასტურა, რომ **კლაუდიო პისაროს** კონტრაქტი არ გაგრძელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ პერუელის წასვლა უკვე ოფიციალურადაა გადაწყვეტილი. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი "ბაიერნში" 2001 წელს "ვერდერიდან" გადავიდა და მიუნხენელებს მისი შეძენა მაშინ 8 მილიონი ევრო დაუჯდათ. ისევე, როგორც **როკე სანტა კრუსი**, კარიერას პისაროც სავარაუდოდ ესპანეთში გააგრძელებს.

სიახლე ის გახლავთ, რომ ჰიონესმა ამსტერდამის "აიაქსთან" დაიწყო მოლაპარაკებები. ბავარიელები ჰოლანდიური გრანდის შემტევ ნახევარმცველ **ვესლი სნეიდერს** უმიზნებენ. ამსტერდამული კლუბი 22 წლის სნეიდერს 10 მილიონზე ძვირად აფასებს. ამასთან ჰიონესი "სანტოსის" შეფებსაც დაუკავშირდა - "ბაიერნს" **ზე რობერტოს** დაბრუნება უნდა, რომელსაც ბრაზილიურ კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება და მიუნხენში გადაბარგება უფასოდ შეუძლია. 32 წლის ზე რობერტოს დაბრუნება, როგორც იცით, **ოტმარ ჰიტცფელდმა** მოისურვა.



ვესლი სნეიდერი

ცნობილია ისიც, რომ რეკორდმაისტერი მიონხენგლადბახის "ბორუსიისა" და გერმანიის ნაკრების მარცხენა მცველის **მარსელ იანსენის** შეძენასაც ცდილობს. სიახლე ის გახლავთ, რომ "გლადბახს" ბავარიელთა მიერ შეთავაზებული 7 მილიონი ევრო ეცოტავათ - გუნდი, რომელიც მომდევნო სეზონში მეორე ბუნდესლიგაში ითამაშებს, იანსენის სანაცვლოდ მინიმუმ 10 მილიონს ითხოვს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, 21 წლის იანსენს "ბარსელონაც" ეპატიუება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი



საქართველოს ნაკრები

# მსჯელობა შანსებზე

დღეს კალათბურთის ფედერაციის ინიციატივით მოეწყობა ბრიფინგი, რომელიც ეროვნულ ნაკრებს მიეძღვნება. ფედერაციის ხელმძღვანელებმა მწვრთნელ გორდონ ჰერბერტთან საზაფხულო მზადების გრაფიკი შეათანხმეს და მას დღეს გაგვაცნობენ. ცნობილია, რომ ბულგარეთის გარდა, წინასასეზონოდ კიდევ ერთ გასვლით ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. სად? - ამასაც ბრიფინგზე იტყვიან.

ცხადია, ეროვნული გუნდის შესახებ ჩვენს გაზეთში მუდმივად ვწერთ. ვსაუბრობთ სანაკრებო კანდიდატებსა და მზადების თემაზე. დღეს თქვენს ყურადღებას შანსებზე შევაჩერებთ, რადგან ეს საკითხი ქართულ მედიაში დაწვრილებით ჯერ არ განხილულა. არადა, მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ჯგუფიდან გასვლის რა შანსი გვაქვს და საერთოდ, მეორე ადგილზე დარჩენა სჯობს, თუ ჯგუფური ტურნირის პირველ პოზიციაზე დასრულება.

## გავიხსენოთ...

ქომაგს შეხსენება არ სჭირდება, რომ საქართველოს ნაკრებმა შარშან ლუქსემბურგი, ავსტრია და ისლანდია დაამარცხა, ხოლო ფინეთში 81:91 დათმო. შესაბამისად, ჯგუფში პირველ ადგილზე ფინეთია (4 მოგებით), მეორეზე - ჩვენ (3 მოგებით). დღესვე შეიძლება გადაჭრით თქმა, რომ ავსტრია, ლუქსემბურგი და ისლანდია უშანსოდ არიან. მათ აგვისტოს მატჩები მომავალი შესარჩევი ტურნირისთვის მოსამზადებლად უნდა გამოიყენონ.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ჯგუფური ეტაპის დარჩენილი 4 მატჩი აგვისტოს ბოლოს გვიწევს. გადამწყვეტ შეხვედრაში ფინეთს 1 სექტემბერს ვმასპინძლობთ. ხოლო ფლეი ოფის ორი თამაში (შინ და გარეთ) 11 და 15 სექტემბერს გაიმართება. ნახევარფინალურ წყვილებს სამი ჯგუფის პირველადგილოსანი და საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მეორეადგილოსანი შეადგენენ. A დივიზიონში ორი ფინალისტი გადადის.

## პირველები

საქართველოს ნაკრების წევრები ფინელებზე გაბრაზებულნი არიან და თბილისში მათ დასამარცხებლად მოტივაცია საკმარისზე მეტი აქვთ. თუ ის მატჩი 11 და მეტი ქულის სხვაობით მოვიგეთ (ფინეთს ურთიერთშეხვედრაში ნაჩვენები უკეთესი ქულათა სხვაობით გავასწრებთ) და არც ლუქსემბურგი-ავსტრია-ირლანდიასთან შევრცხვით, ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებთ, რაც ფლეი ოფში გასვლის გარანტია იქნება.

თუმცა წინასწარ არ არის ცნობილი, რომელი ჯგუფის წარმომადგენელს შევხვდებით. ფლეი ოფის წინ ოთხივე გუნდის პროცენტული მაჩვენებელი (მოგების რაოდენობა იყოფა ჩატარებულ მატჩებზე და მრავლდება ასზე) შეჯამდება და საუკეთესო შედეგის მქონე უარესი მაჩვენებლის მქონეს შეხვდება, ხოლო მეორე-მესამეს. ოღონდ, ერთი ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან.

საინტერესოა ერთი ნიუანსი - შეიძლება ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გავიდეთ, მაგრამ საფლეიოფო ოთხეულის მონაგარის შეჯამებისას ფინეთმა გაგვასწროს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სამ ან ოთხ ნაკრებს ერთნაირი პროცენტული მაჩვენებელი ექნება. ასეთ დროს პირველობა ენიჭება მას, ვისაც ქულათა შეფარდება სხვებზე უკეთესი აქვს. 4-4 მატჩის შემდეგ ფინელების ანგარიშზე +112 ქულაა, ხოლო ქართველებისა +47. ძნელი წარმოსადგენია, დარჩენილ ოთხ შეხვედრაში მსგავსი სხვაობა გავაბათილოთ. თუმცალა, შეიძლება რანგით მესამე გუნდთან დაპირისპირება გვერჩივნოს მეოთხესთან გაჯიბრებას. რატომ? ამ კითხვაზე პასუხს მეოთხე ქვეთავში მიიღებთ. მანამდე კი გავარკვიოთ ჩვენი ჯგუფის წარმომადგენელს ნახევრაფინალში მეორეადგილოსნის სტატუსით გასვლის რა შანსი აქვს.

## მეორენი

წინასწარ გეტყვით - ამის ყველაზე მეტი შანსი სწორედ C ჯგუფის წარმომადგენლებს (ე.ი. ფინეთსა და საქართველოს) გააჩნიათ. აი რატომ: სუომელებმა აქამდე ოთხივე მატჩი მოიგეს, ხოლო ქართველებმა - 3. წესითა და რიგით, აგვისტოს შეხვედრებში ამ დუეტმა ძველებურად უნდა ითამაშოს და 1 სექტემბრამდე სამივე თამაში მოიგოს. შემოდგომის პირველ დღეს კი ჯგუფის პირველადგილოსნის ბედი თბილისში, საქართველო-ფინეთის დუელში უნდა გადაწყდეს. წაგების შემთხვევაში ფლეი ოფში მოხვედრის შანსი შეიძლება მაინც გვქონდეს, მაგრამ სუომისთან შინ წაგება ხომ მთლიანად ქართული კალათბურთის სირცხვილი იქნება. გაცილებით მეტია გამარჯვების ალბათობა, რის შემდეგაც ორივეს 7-7 მოგება მოგვიგროვდება და დანარჩენი 2 ჯგუფის წარმომადგენლებს აუცილებლად გადავასწრებთ.

ასე დამაჯერებლად საუბრის უფლებას სატურნირო მდგომარეობები გვაძლევს. გადახედეთ A და B ჯგუფების ცხრილებს. B-ში ძალიან ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი და თუ მომდევნო მატჩების კალენდარს გავეცნობით, დავრწმუნდებით, რომ ამ ქვეჯგუფიდან მეორეადგილოსანს მინიმუმ 2 წაგება მაინც მოუგროვდება, ხოლო A-ში ერთით ნაკლები, 4 გუნდია. მეორე პოზიციაზე გასულს მინიმუმ 1 წაგება მაინც ექნება, ხოლო საბოლოო პროცენტული მაჩვენებლით ჩვენი ჯგუფის მეორეადგილოსანი მას აუცილებლად აჯობებს. მაგალითისთვის ფინეთი და შვეიცარია ავიღოთ. სუომი: 7 მოგება, 1 წაგება - 7:8X100=87.5. შვეიცარია (A ჯგუფი): 5 მოგება, 1 წაგება - 5:6X100=83.

ასე რომ, თუ მანამდე სამივე შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დავასრულეთ, ფლეი ოფში გასასვლელად ფინეთის 1 ქულის სხვაობით ძლევაც საკმარისი იქნება.

## ავირჩიოთ?

ჰოლანდია, ბელარუსი, დიდი ბრიტანეთი და სლოვაკეთი სიძლიერით ფინეთ-საქართველოს არ ჩამოუვარდება. მაგრამ ოთხივე მათგანი ერთ ჯგუფშია თავმოყრილი დ ისიც გითხარით, რომ ნახევარფინალში გასვლის შანსი მეორეადგილოსანს თითქმის არ აქვს. თუკი არჩევაზე მიდგა საქმე, ფლეი ოფში ამ ოთხეულიდან ერთსაც არ ვისურვებდი. უმჯობესი იქნებოდა შვეიცარიასთან, ირლანდიასთან ან რუმინეთთან დაპირისპირება. A ჯგუფის ლიდერი (3-დან 3 მოგებით) რუმინელები ხომ შარშან მათსავე მოედანზე იოლად დავამარცხეთ. ვლახებმა კი სექტემბერში ჯერ ირლანდიას კუნძულზევე აჯობეს (81:62), შემდეგ შვეიცარიას - 68:59.

სწორედ ამის გათვალისწინებით ალვნიშნე მეორე ქვეთავში - შეიძლება ქვეჯგუფში პირველს მეორე ადგილი გვერჩივნოს-მეთქი. დიდი შანსია, პირველადგილოსანი ჰოლანდიის ჯგუფის წარმომადგენელს შეხვდეს, მეორე - რუმინეთისას.

...თუმცა საქართველოს ნაკრები შემადგენლობით B დივიზიონის ყველა წარმომადგენელს ერთი თავით სჯობს და ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მეტოქეს ნარინჯისფერი მაისური ეცმევა თუ ყვითელი - ყველას უნდა მოვუგოთ!

ვაჟა სიმონიშვილი

## B დივიზიონი

ჯგუფური ეტაპი

### A ჯგუფი

| | |
|---|---|
| შვეიცარია-ირლანდია | 59:57 |
| რუმინეთი-კვიპროსი | 79:64 |
| ირლანდია-რუმინეთი | 62:81 |
| კვიპროსი-შვეიცარია | 46:64 |
| ირლანდია-კვიპროსი | 76:70 |
| რუმინეთი-შვეიცარია | 68:59 |

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 3 | 3 | 0 | 228:6 | 6 |
| 2. შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 182:171 | 5 |
| 3. ირლანდია | 3 | 1 | 2 | 192:210 | 4 |
| 4. კვიპროსი | 3 | 0 | 3 | 180:219 | 3 |

**25 აგვისტო**
კვიპროსი-რუმინეთი
ირლანდია-შვეიცარია

**1 სექტემბერი**
რუმინეთი-ირლანდია
შვეიცარია-კვიპროსი

**5 სექტემბერი**
შვეიცარია-რუმინეთი
კვიპროსი-ირლანდია

### B ჯგუფი

| | |
|---|---|
| სლოვაკეთი-ბრიტანეთი | 73:62 |
| ბელარუსი-ჰოლანდია | 61:74 |
| ალბანეთი-ბელარუსი | 73:78 |
| ჰოლანდია-სლოვაკეთი | 71:63 |
| სლოვაკეთი-ალბანეთი | 101:88 |
| ბრიტანეთი-ჰოლანდია | 63:39 |
| ალბანეთი-ბრიტანეთი | 69:72 |
| ბელარუსი-სლოვაკეთი | 82:59 |
| ბრიტანეთი-ბელარუსი | 68:69 |
| ჰოლანდია-ალბანეთი | 94:55 |

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 4 | 3 | 1 | 278:242 | 7 |
| 2. ბელარუსი | 4 | 3 | 1 | 290:274 | 7 |
| 3. ბრიტანეთი | 4 | 2 | 2 | 265:250 | 6 |
| 4. სლოვაკეთი | 4 | 2 | 2 | 296:303 | 6 |
| 5. ალბანეთი | 4 | 0 | 4 | 285:345 | 4 |

**21 აგვისტო**
ბრიტანეთი-სლოვაკეთი
ჰოლანდია-ბელარუსი

**25 აგვისტო**
ბელარუსი-ალბანეთი
სლოვაკეთი-ჰოლანდია

**29 აგვისტო**
ჰოლანდია-ბრიტანეთი
ალბანეთი-სლოვაკეთი

**1 სექტემბერი**
სლოვაკეთი-ბელარუსი
ბრიტანეთი-ალბანეთი

**5 სექტემბერი**
ალბანეთი-ჰოლანდია
ბელარუსი-ბრიტანეთი

### C ჯგუფი

| | |
|---|---|
| ფინეთი-ავსტრია | 87:50 |
| საქართველო-ლუქსემბურგი | 86:44 |
| ისლანდია-ფინეთი | 86:93 |
| ავსტრია-საქართველო | 63:68 |
| საქართველო-ისლანდია | 80:65 |
| ლუქსემბურგი-ავსტრია | 62:64 |
| ფინეთი-საქართველო | 91:84 |
| ისლანდია-ლუქსემბურგი | 98:76 |
| ავსტრია-ილანდია | 85:64 |
| ლუქსემბურგი-ფინეთი | 53:111 |

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ფინეთი | 4 | 4 | 0 | 382:270 | 8 |
| 2. საქართველო | 4 | 3 | 1 | 315:263 | 7 |
| 3. ავსტრია | 4 | 2 | 2 | 262:281 | 6 |
| 4. ისლანდია | 4 | 1 | 3 | 313:334 | 5 |
| 5. ლუქსემბურგი | 4 | 0 | 4 | 235:359 | 4 |

**21 აგვისტო**
ლუქსემბურგი-საქართველო
ავსტრია-ფინეთი

**25 აგვისტო**
ფინეთი-ისლანდია
საქართველო-ავსტრია

**29 აგვისტო**
ავსტრია-ლუქსემბურგი
ისლანდია-საქართველო

**1 სექტემბერი**
საქართველო-ფინეთი
ლუქსემბურგი-ისლანდია

**5 სექტემბერი**
ისლანდია-ავსტრია
ფინეთი-ლუქსემბურგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## ჭადრაკი

# ფანცულაია დუბაის რჩეული



ლევან ფანცულაია

დასრულდა დუბაის ღია ჩემპიონატი და ჩვენდა გასახარად პირველობა ქართველმა **ლევან ფანცულაიამ** მოიპოვა. ნებისმიერ ტურნირზე გამარჯვება სასიხარულოა, მაგრამ ისეთ შეჯიბრებაში პირველობა, როგორიც დუბაის ტურნირია, განსაკუთრებით ფასობს: ჯერ ერთი, რომ მონაწილეთა კლასია მაღალი და მეორეც: ფინანსური თვალსაზრისითაც საკმაოდ მიმზიდველია... ამის გამოა, რომ ტურნირის არსებობის განმავლობაში ქართველი მოჭადრაკეები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას და საკმაოდ წარმატებითაც, 2003 წელს **ბაადურ ჯობავას** გამარჯვების მომსწრენიც გავხდით.

ფანცულაიას სოლიდური რეიტინგი კი ჰქონდა (2616), მაგრამ ეს ნიშნული მხოლოდ მესამე იყო ტურნირზე. საბედნიეროდ, რეიტინგით უმცირესობამ საბოლოო შედეგზე გავლენა ვერ მოახდინა... ლევანმა ტურნირი 7 ქულით დაასრულა, ისევე, როგორც **ყადირ გუსეინოვმა, ამირ ბაღერიმ** და **სარჰან გულიევმა**, მაგრამ ქართველს კოეფიციენტი უკეთესი აღმოჩნდა და პირველობაც ამიტომ ერგო.

მეხუთე დაგილზე დაასრულა ტურნირი **თამაზ გელაშვილმა**, თამაზმა 6.5 ქულას მოუყარა თავი. მეათეზე გავიდა **მიხეილ მჭედლიშვილი** (6.5) და არც მისთვის უნდა იყოს ეს შედეგი ცუდი. სტარტი არცთუ სახარბიელო ჰქონდა **მაია ჩიბურდანიძეს**, მაგრამ ბოლოსკენ თამაში გამოასწორა და ტურნირი 6 ქულით დაასრულა, მარაგი სერიოზულია, მაგრამ ქალთა შორის პირველობისთვის საკმარისი მაინც ვერ აღმოჩნდა - უპირატესობა ინდოელმა **ჰამპი კონერუმ** მოიპოვა, თუმც ქულათა რაოდენობა მასაც ქართველის დარი ჰქონდა - 6.

საბოლოო შედეგები: 1. ლევან ფანცულაია - 7 ქულა; 2. გადირ გუსეინოვი (აზერ.) - 7; 3. ამირ ბაღერი (ირანი) - 7; 4. სარჰან გულიევი (აზერ.) - 7; 5. თამაზ გელაშვილი - 6,5; 10. მიხეილ მჭედლიშვილი - 6,5; 23. მაია ჩიბურდანიძე - 6; 27. ზურაბ სტურუა - 6; 74. ნინო გურიელი - 4.

**ზვიად შათირიშვილი**

საქართველო ჩემპიონატი. U-14

# კიდევ ერთი ასაკობრივი

საქართველოს 14-წლამდელთა ჩემპიონატმა გუშინ გადაკვეთა ფინიშის ხაზი და ერთობ უცნაური სურათიც მივიღეთ. გოგონებში 6 ტურის შემდეგ 6 ქულით **ნათია ჯალაბაძე** ლიდერობდა და თითქოს პირველობაში ვერავინ შეეცილებოდა, მაგრამ დასკვნით სამ ტურში ვითარება კარდინალურად შეიცვალა - ჯალაბაძეს **ნინო ანაკიძემ** გადაუსწრო - ნინომ საბოლოოდ 7 ქულას მოუყარა თავი, ჯალაბაძემ კი 6.5-ს. გასაოცარია, როცა ექვსიდან ექვსივე პარტიაში იმარჯვებ, ბოლო სამ ტურში ორჯერ მარცხს ვინ წარმოიდგენს? ნათიამ კი ნახევარი ქულის შემატება მოახერხა და მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა...

ბიჭებში პირველობისთვის ბრძოლა არც შემდგარა: **გიორგი ნიკოლაშვილმა ირაკლი ბერაძეს** თეთრებით ადრიდანვე შეუქმნა ისეთი სიტუაცია, რომ ყაიმზე დათანხმებულიყო და ამ ნახევარი ქულით ჩემპიონობა გაენაღდებინა. ნიკოლაშვილმა 7.5 ქულას მოუყარა თავი, მეორე ადგილზე 7 ქულით **ზურაბ ჯავახაძე** გავიდა, რომელსაც ევროპის ჩემპიონატის საგზური ერგო. გამარჯვებულები მსოფლიო ჩემპიონატისთვის მიიღებენ დაფინანსებას.

გოგონები: 1. ნინო ანაკიძე - 7; 2. ნათია ჯალაბაძე - 6.5; 3. მარიამ თევზაძე - 6; 4. ლელა უგულავა - 6; 5. ანა გალდავაძე - 5.5.

ბიჭები: 1. გიორგი ნიკოლაშვილი - 7.5; 2. ზურაბ ჯავახაძე - 7; 3. ნოდარ ლორთქიფანიძე - 6.5; 4. ირაკლი ბერაძე - 6.5; 5. მერი არაბიძე - 6.5

**ზვიად შათირიშვილი**

## კარატე

# ქართველი შიხანი მსოფლიო ჩემპიონია



კახა ბასილია

ირლანდიის დედაქალაქმა, აპრილის ბოლოს მსოფლიო საბრძოლო თამაშების ჩემპიონატს უმასპინძლა. ამ ჩემპიონატზე მხოლოდ რჩეულებს იწვევენ. საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებს ამჯერად ეს პატივი ზედიზედ მეორედ ხვდათ წილად. ქართველმა შიხანმა **კახა ბასილიამ** კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და კარგი სტიმული მისცა თანაგუნდელებს - ვეტერანებში, კატაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ქართული კარატეს თავკაცმა კვლავ დაამტკიცა, რომ კარატე მუდმივად საბრძოლო მზადყოფნას ნიშნავს. **ლევან გორელაშვილი** და **დავით ტყებუჩავა** მეორე ადგილზე გავიდნენ, **ირაკლი ტყებუჩავა** ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ამ ავტორიტეტულ ტურნირში მედლების მოპოვების სირთულის გათვალისწინებით, სპეციალისტებმა და ორგანიზატორებმა ქართველების მიღწევებს მაღალი შეფასება მისცეს და ჩემპიონატში მონაწილეობა საგაისოდაც დაუბევეს. ჩვენი გუნდის მეხუთე წევრი **კობა ბუიშვილი** VI ადგილზე გავიდა.

*"მოხარული ვარ, რომ ჩემს ასაკში კვლავ შევძელი მიმეღწია ესოდენ მაღალი შედეგისთვის. მოკრძალებით ვიტყვი, რომ ეს კარგი მაგალითია ახალგაზრდებისთვის. მათ დავანახე, თუ რა შეუძლია მოიტანოს სწორად ვარჯიშმა. კმაყოფილი ვარ გუნდის სხვა წევრების, მე მათგან ყოველთვის მეტს მოვითხოვ. მადლობა სპორტის დეპარტამენტს და მის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ნამგალაურს, თანადგომისთვის"* - თქვა საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტმა, სპორტის დეპარტამენტის მრჩეველმა კახა ბასილიამ.

მაშ ასე, სეზონის პირველი მაღალი რანგის ასპარეზობა ჩვენთვის წარმატებით დასრულდა.

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი**
საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის პრესმდივანი

## ძიუდო

ინტერვიუ შოთა ხაბარელთან

# ისევ ის ზვიადაური?

**გუშინ, რომიდან დაბრუნდნენ ქართველი ძიუდოისტები, რომლებმაც მარადიულ ქალაქში ჩატარებულ პირველ სალიცენზიო მსოფლიო თასზე 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს - ზურაბ ზვიადაურმა (90), ლომერ ყორყოლიანმა (100) და ზვიად ხანჯალიაშვილმა (+100). ამ ტურნირსა და მომავალ უქმეებზე, მოსკოვში გასამართი ასევე სალიცენზიო სუპერთასის შესახებ ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.**



შოთა ხაბარელი და ზურაბ ზვიადაური

**- ბატონო შოთა, როგორ შეაფასებთ რომის ტურნირს?**

- სიმართლე გითხრათ, არც მოველოდი, ასე ძლიერი შემადგენლობა თუ შეიკრიბებოდა. ევროპის ჩემპიონატი ახალი ჩატარებულია და მეგონა, ბევრი დაისვენებდა, მაგრამ 51 ნაკრები გამოდიოდა. თანაც, უმეტესობა უძლიერესი შემადგენლობით. ევროპის ჩემპიონატის ფონზე, სადაც 5 მედალი მოვიპოვეთ, მათ შორის - 1 ოქრო და სამი ვერცხლი, 3 ბრინჯაო მთლად ბრწყინვალე შედეგი არაა, მაგრამ გუნდის გამოსვლით მაინც კმაყოფილი ვართ. ბიჭებმა ბლომად სალიცენზიო ქულები შეიმატეს, ახალგაზრდებმა კი გამოცდილება მიიღეს. თან, გავითვალისწინოთ, რომ სამი ლიდერი გვაკლდა, მეოთხემ კი ზედა წონაში იჭიდავა.

**- ბუნებრივია, ყველაზე მეტი ინტერესით ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურის გამოსვლას ველოდით. მის ჭიდაობაზე რას იტყვით?**

- ბრწყინვალედ იჭიდავა. ხუთი შეხვედრა ჩაატარა და აქედან ოთხი წმინდად მოიგო. მაგრამ შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი ჩემთვის სხვა რამეა - რომში ისე იჭიდავა, თავისი ძველი სახე გამახსენა - კარგად მოძრაობდა, კარგად სუნთქავდა, ძლიერად ჭიდაობდა. მის ჭიდაობაში ისევ გამოჩნდა ძველებური, ძლიერი წერტილები. ცოტა წელი სტკიოდა, მაგრამ ეს არაა რთული და საშიში პრობლემა. მას ახლა მოსკოვში წავიყვანთ და იქაც უნდა დაამტკიცოს თავისი ძალა, მერე კი ბუქარესტშიც ვაჭიდავებთ.

**- შეიძლება ითქვას, ძველი სახე დაიბრუნა?**

- ბოლომდე არა, მაგრამ აქეთკენ მიდის.

**- ცირეკიძესთან მისი ბრძოლა როგორ წარიმართა?**

- ზვიადაურმა იოლად მოუგო. ჯერ იუკოზე დააგდო, მერე - იპონზეც.

**- თუმცა ბელარუს ანდრეი კაზუსიონაკთან ისევ წააგო. იგი მსოფლიოს პრიზიორია, მაგრამ არა ისე ძლიერი, უხერხულ მეტოქედ ექცეს.**

- ცუდად არც მასთან უჭიდავია, მაგრამ დამატებითში მსაჯი უნამუსოდ მოიქცა - ბელარუსს იუკო აჩუქა. თუმცა ფიზიკურად ზვიადაურმა ამ ხანგრძლივ შეხვედრას მშვენივრად გაუძლო, მეტოქე უფრო დაიღალა.

**- კიდევ ერთი უხერხული მეტოქე, რომელთან წაგებაც ლამის ტრადიციად გვექცა - უნგრელ ბარნა ბორთან ისევ დავმარცხდით.**

- ხანჯალიაშვილმა ამ სეზონში მასთან უკვე მეორედ წააგო. ბორი არაა ცუდი მოჭიდავე, მაგრამ გეთანხმებით, ჩვენები უფრო ძლიერები არიან. ხანჯალიაშვილი საკუთარ ილეთზე წამოეგო - გდება მოგვერდით დაიწყო, მაგრამ რაღაც უცნაურად დატრიალდა და თავის ფანდზე დაეცა. მერე სანუგეშოში გადაერთო, სადაც ოთხი შეხვედრა ჩაატარა და ყველა წმინდად მოიგო. არადა, იქ ბელარუსი იაუჰენი კავალეუსკიც ძლიერი მეტოქეა და ფრანგებიც - იან სებასტიან ბონვუასინი და მათიო ბატეც.

**- ალბათ, ევროპის ჩემპიონატზე ნაჭიდავები ხალხისგან მეტს ელოდით... სავარაუდოდ, მათ პიკი ევროპაზე გადაიარეს...**

- მართალია... ცუდად არ უჭიდავიათ, მაგრამ მაინც ვერ იყვნენ ისეთ ფორმაში, როგორც - ევროპაზე. ეს განსაკუთრებით ცირეკიძესა და გუჯეჯიანზე ითქმის. ამიტომ მათ ვასვენებთ და მოსკოვში არ მიგვყავს. აი, ყორყოლიანი შედარებით უკეთ გამოვიდა.

**- ზოგიერთმა რომში უძლიერესი შემადგენლობა არ ჩაიყვანა. მაგალითად, რუსებმა. ფრანგებსაც აკლდათ რამდენიმე ლიდერი. ხომ არ აჯობებდა, ძირითადი შემადგენლობა თქვენც დაგესვენებინათ?**

- ვერ დაგეთანხმებით, რომ თითქოს ჩვენც უძლიერესი შემადგენლობა გვყავდა. როგორც თავში აღვნიშნეთ, სამი ლიდერი ჩვენც დავასვენეთ, მეოთხემ კი ზედა წონაში იჭიდავა. ამასთან, მხოლოდ რუსებმა შეცვალეს ევროპაზე ნამყოფი შემადგენლობა. მათი ამბავი გასაგებია - საკუთარი ტურნირისთვის ემზადებიან და აქცენტი იმაზე გადაიტანეს,თორემ უმეტესობა იმავე გუნდებით ჩავიდა. ფრანგებს მძიმეწონოსანი ტედი რინერი და 66-ში ბენჟამენ დარბელე აკლდათ, თორემ სხვები იყვნენ. ასევე უძლიერესი შემადგენლობებით გამოვიდნენ გერმანელები, ჰოლანდიელები, უნგრელები, ესპანელები, პორტუგალიელები, იტალიელები...

**- ცოტა გვეუცნაურა ზაზა კედელაშვილის 73-ში დაყენებაც, რადგან თავიდან ამას კატეგორიულად გამორიცხავდით.**

- თავიდან მართლაც 66-ში ვაპირებდით მის დაყენებას, მაგრამ წონა ვერ დაიკლო. შეჯიბრების წინა დღეს ნახევარი კილოგრამი ჰქონდა ზედმეტი, მაგრამ ისე გაუჭირდა, კინაღამ მოკვდა და ისევ ზემოთ დავაყენეთ. ახლა ისიც დაისვენებს, მერე კი ბუქარესტში იჭიდავებს.

**- როგორც ვხედავთ, მოსკოვისთვის წინასწარ შეგულებულ შემადგენლობაში ცვლილებებია. იქ ვინ მიგყავთ?**

- 60 - ნესტორ ხერგიანი და ვახტანგ ხოსიტაშვილი, 66 - სანდრო იაკობაშვილი , 73 - დავით ქევხიშვილი, 81 - გიორგი ბაინდურაშვილი და გრიგოლ შინჯიკაშვილი, 90- ზურაბ ზვიადაური, 100 - ლომერ ყორყოლიანი და ლევან რაზმაძე, მძიმე - ზვიად ხანჯალიაშვილი და ადამ ოქრუაშვილი.

**- ვფიქრობთ, რომის ტურნირზე ხოსიტაშვილის გამოსვლითაც კმაყოფილი დარჩებოდით. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ახლაც აძლევთ შანსს.**

- მართლაც კმაყოფილი ვარ. უმედლოდ დარჩა, მაგრამ კარგად წარმოაჩინა თავი. იგი პირველად მსოფლიოს პრიზიორსა და პარიზის სუპერთასის მომგებ აზერბაიჯანელ ნიჯატ შიხალიზადესთან დამარცხდა, მაგრამ ამ ძლიერ მეტოქეს არაფერი დაუთმო და მხოლოდ გამოუცდელობით წააგო. ბრინჯაოსთვის ჰოლანდიელ რუბენ ჰოუკესსაც ძალზე ძლიერად ეჭიდავა, მაგრამ თვალი იტკინა. ეს რომ არა, იქნებ მეოთხე ბრინჯაოც მოგვეპოვებინა.

**- დასასრულს, ყორყოლიანზეც გკითხავთ, რომელსაც ბევრი შეჯიბრება გამოუდის. მისი გადაღლისა არ გეშინიათ?**

- არა, ვერ ვხედავ ამ საშიშროებას. იგი ახალგაზრდაა, ფიზიკურად კარგადაა მომზადებული და ძალზე ენერგიული ბიჭია, თან, არც წონას იკლებს. ამიტომ ვერ ვხედავ გადაღლის საშიშროებას. ხომ ამდენი ტურნირი ჩაატარა, რომში მაინც ძლიერად იჭიდავა. მიმაჩნია, რომ ის ერთი შეხვედრაც შემთხვევით წააგო ფრანგ ტიერი ფაბრისთან, თორემ მერე სანუგეშოში ამანაც ყველა წმინდად მოიგო.

**ირაკლი თავაძე**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## თავისუფალი ჭიდაობა



სოფიაში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებში სამი გორელი ფალავანი ირიცხებოდა - ბესიკ გუჩაშვილი (55 კგ), გიორგი ბალიაშვილი (60 კგ) და გიორგი გოგშელიძე (96 კგ). ბალიაშვილი ნაკრების დებიუტანტია და მის მიერ დაკავებულ XI ადგილს თუ მაინც და მაინც არავინ გაუკვირვებია, გუჩაშვილსა და გოგშელიძეს V და III ადგილები ხელისმოცარვად ჩაეთვალათ, განსაკუთრებით - გოგშელიძის ბრინჯაომ დასწყვიტა გული ჭიდაობის ქომაგთ. ევროპის ჩემპიონატზე თავისი ფალავნების ასპარეზობის შეფასება ვთხოვეთ გორელთა და ამავდროულად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ნუგზარ სხირელს.

ინტერვიუ ნუგზარ სხირელთან

### გოგშელიძე პირველ ნომრად რჩება

- ბესიკ გუჩაშვილი ბორჯომში, ბოლო შეკრების დაწყებიდან პირველი ხუთი დღის განმავლობაში ბრწყინვალე ფორმაში გახლდათ, ასეთ ფორმაში დიდხანს ყოფნა კი უბრალოდ შეუძლებელია - მაშინვე ვშიშობდი, რომ ბესოს სოფიაში ასპარეზობა დაღმასვლის ეტაპს დაემთხვეოდა. სამწუხაროდ, ეს ვარაუდი გამართლდა. სოფიაში იგი ბრწყინვალე ფიზიკურ ფორმაში გახლდათ, რასაც ვერ ვიტყვით მის ემოციურ და ინტელექტუალურ ბიორიტმებზე - გოჩაშვილი ორთაბრძოლებისას ვერ იყო სათანადოდ კონცენტრირებული და ვერც კარნახს აღიქვამდა ადეკვატურად. მიუხედავად ამისა, პირველი ორი მოწინააღმდეგე იოლად დაძლია, ხოლო შემდგომ რუს ბესიკ კუდუხოვთან და ბულგარელ რადოსლავ ველიკოვთან მინიმალური სხვაობებით დათმო შერკინებები. სხვათა შორის, იმ ჯგუფში სადაც ბესო მოხვდა, ევროპის ყველა წამყვანი საჭიდაო ქვეყნის წარმომადგენლები ასპარეზობდნენ, მეორე ჯგუფში მოხვედრის შემთხვევაში, თუნდაც მისი ფორმის პიკში არყოფნაც რომ გავითვალისწინოთ, მერწმუნეთ იგი უმედლოდ მაინც არ დაბრუნდებოდა სამშობლოში. გუჩაშვილი ნაკრების უცვლელი და რაც მთავარია ტიტულოვანი წევრია. მე იმედი მაქვს, მსოფლიო ჩემპიონატზე ის აუცილებლად უკეთ გამოვა და ოლიმპიადის ლიცენზიასაც მოიპოვებს.

**- რაც შეეხება გიორგი ბალიაშვილს...**

- ბალიაშვილი უდავოდ კარგი სპორტსმენია. ის საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი და ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორია. ჯერ დებიუტანტი გახლავთ პირველი ნაკრებისა და სოფიაში მის მიერ ნაჩვენებ არადამაკმაყოფილებელ შედეგზე უფრო მეტად საერთაშორისო გამოცდილების ნაკლებობამ იმოქმედა. მან ესტონელი იაან ლიპსის დამარცხების შემდეგ, რუსეთის წარმომადგენელ ადამ ბატიროვთან ორივე პერიოდში ორ-ორი ქულის სხვაობით წააგო და ორივეჯერ ქულები დაკარგა ერთსა და იმავე ვითარებაში. ფაქტობრივად, ტაქტიკა ვერ შეცვალა.

**- ყველა ელოდა, რომ სოფიაში გოგშელიძე ჩემპიონი გახდებოდა. რატომ ვერ მოახერხა ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა ამის მიღწევა?**

- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ბევრი ისაუბრეს მის მოულოდნელ მარცხზე. გოგშელიძემ სოფიის ხალიჩაზე ყველა მეტოქეს დიდი უპირატესობით მოიგო, მან უბრალოდ ბრწყინვალედ იასპარეზა და თუნდაც აქედან გამომდინარე იყო შირვანი მურადოვთან დამარცხება მოულოდნელი. ჩემი აზრით, ხელისმოცარვაში გარკვეული წვლილი მოწინააღმდეგის შეუფასებლობამ შეიტანა, გარკვეული როლი ითამაშა მონეტის მეტოქის სასარგებლოდ დაჯდომამ, პასიურმა დგომმა... მოკლედ, ასეთი რამ ხდება და მინდა გითხრათ, რომ მსგავსი ჭიდაობის უდიდეს კორიფეებსაც მოსვლიათ. ახლა ყოველივე კარგად უნდა გავაანალიზოთ, რათა მომავალში იგივე აღარ განმეორდეს. წინ მსოფლიოს ჩემპიონატი და ოლიმპიადაა, ეს უკანასკნელი კი უმთავრეს შეჯიბრებად მიიჩნევა და მთავარია, სწორედ იქ აჩვენოს გოგშელიძემ საუკეთესო შედეგი.

**- მაგრამ გიორგისთან ერთად ამ წონაში ლუკა კურტანიძეცაა და ხომ შეიძლება, ამ მარცხით ქვემძიმე წონაში ლიდერობა დაკარგოს?**

- ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციამ გიორგი გოგშელიძე მხოლოდ თავის წონაში კი არა საერთოდ, წლის საუკეთესო მოჭიდავედ დაასახელა. დამეთანხმებით ფილა ასეთ აღიარებას შემთხვევით არავის მიანიჭებს. არ უნდა დაგვავიწყდეს არც ის, რომ გიორგი საქართველოში გადმოსვლის შემდეგ დისკვალიფიკაციის გამო წელიწადნახევარი ვერ ჭიდაობდა. სამწუხაროდ, ბოლო დღეებში ზოგიერთების ჩასაფრებულის პოზიციიდან საუბარი მესმის, რაც ნამდვილად არაა კორექტული. ცუდია, როცა ადამიანს სრულიად მოულოდნელ მარცხსაც ვერ ვპატიობთ. კურტანიძეს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ თუ ამაზე მიდგა საქმე, მაშინ ლუკამ ჯერ ლევან სეთურიძეს უნდა მოუგოს, რომელთანაც საქართველოს ჩემპიონატზე წააგო... მიუხედავად ყველაფრისა, მე სულაც არ ვშიშობ, რომ გოგშელიძე ლიდერის პოზიციას დაკარგავს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

## წარუმატებელი დასაწყისი

**პლაჟბურთი.** წლევანდელი მსოფლიო ტურის საწყისი ეტაპი წარუმატებელი გამოდგა ვაჟთა ქართული წყვილის, **გეორ-გიასთვის**. ჩვენმა ფრენბურთელებმა, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ნომრებად იყვნენ განთესილნი, საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გადალახეს.

პირველ შეხვედრაში გეორ-გიამ სამხრეთაფრიკული წყვილი **ფლისბერხი და ახუსტიდესი** დაამარცხა - 2:0 (21:15, 21:11). ძირითად ბადეში გამსვლელი მატჩი ჩვენმა წყვილმა კვალიფიკაციაში მე-16 ნომრებად განთესილ ლატვიელებთან, **იანის და ტომას სმედინსებთან** წააგო 0 1:2 (21:8, 18:21, 13:15).

ქართული ქალთა დუეტი საქა-რთველო, რომელიც 26-ე ნომრადაა განთესილი, საკვალიფიკაციო ეტაპზე დღეიდან ჩაერთვება. ჩვენი ფრენბურთელების მეტოქე მე-7 ნომერი, იაპონური დუეტი **ურატა და ჰირომი** იქნება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

### მოიგე და აირჩიე მოედანი!

დღეს და ხვალ საქართველოს ხელბურთელთა რეგულარულ ჩემპიონატში გადამწყვეტი მატჩებია. ორი შეხვედრა საბოლოოდ გაარკვევს, ვინ რომელ პოზიციაზე შეხვდება ფლეიოფებს.

დღეს, 16 საათზე, "იმედი" ასკ-ის დარბაზში "ქარიშხალას" უმასპინძლებს და თუკი რეგულარული ჩემპიონატის მესამე ადგილზე დასრულება სურს, აუცილებლად გამარჯვება სჭირდება. სტუმრებს უკეთესი პირადი მაჩვენებლების წყალობით, ფრეც კი აძლევთ ხელს. მესამეადგილოსანს ბრინჯაოს მედლისთვის გასამართ ფლეიოფში მოედნის არჩევის უფლება ეძლევა. აღნიშნული ფლეიოფი ორმატჩიანია და რეგულარული პირველობის მესამეადგილოსანი თავად გადაწყვეტს, პირველი მატჩი საკუთარ მოედანზე ჩაატაროს თუ სტუმრად.



დაახლოებით იმავე ამოცანის გადაჭრა მოუწევს "თბილისს", რომელიც ხვალ კახეთს ესტუმრება და 14 საათზე სტუ-"თელავს" ეთამაშება. რაკილა ორივე გუნდს თანაბარი ქულები აქვს, გამარჯვებული ავტომატურად მოიგებს რეგულარულ ჩემპიონატს და საჩემპიონო ფლეიოფში მოედნის უპირატესობას გაინაღდებს. ფრე სტუ-ს წისქვილზე დაასხამს წყალს, რომელსაც "თბილისზე" უკეთესი ბურთების შეფარდება აქვს.

საჩემპიონო ფლეიოფიც ორმატჩიანია. თუკი ორივე გუნდი თითო-თითო მატჩს მოიგებს, ჯერ დაითვლება გატანილ-გაშვებული ბურთების შეფარდება. აქაც ერთნაირი ბალანსის შემთხვევაში, გამარჯვება მიენიჭება იმ გუნდს, რომელიც მეტოქის მოედანზე უფრო მეტ გოლს გაიტანს. და თუ აქაც ყველაფერი თანაბრადაა, ჩემპიონი პენალტებით გამოვლინდება.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ 4 მაისს რჩება ბოლო ტური, სადაც "თბილისი" "მამულს" უნდა შეხვდეს, "ქარიშხალა" კი სტუ-"შევარდენს". როგორც უკვე გაცნობეთ, "მამული" ბოლო ტურში თამაშს არ აპირებს, რის გამოც ჩაეთვლება წაგება 0:10. სტუ-სა და "ქარიშხალას" მატჩში კი გამარჯვებულის გამოცნობა საკმაოდ ადვილია.

რაც შეეხება ფლეიოფებს, ისინი დაიწყება მას შემდეგ, რაც "თბილისისა" და სტუ-"თელავის" თავკაცები - **მამუკა მჟავანაძე** და **ირაკლი კეკელიძე** ნორვეგიული მწვრთნელთა სემინარებიდან დაბრუნდებიან. სემინარები ჩატარდება 11-13 მაისს, ხოლო ფლეიოფები 17 მაისიდან დაიწყება. აქვე ისიც ვთქვათ, რომ იმავე თარიღებში, თურქეთში გაიმართება დელეგატთა სემინარები, რომელსაც დაესწრებიან საქართველოს ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტები - **თამაზ თევზაძე და მერაბ მეტრეველი.**

**კობა ხატისაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტუ/თელავი | 14 | 12 | 1 | 1 | +190 | 25 |
| 2. თბილისი | 14 | 12 | 1 | 1 | +165 | 25 |
| 3. ქარიშხალა | 14 | 5 | 1 | 8 | -16 | 11 |
| 4. იმედი | 15 | 5 | 1 | 9 | -113 | 11 |
| 5. მამული | 15 | 0 | 0 | 15 | -226 | 0 |

## წყალბურთი

ინტერვიუ სოსო მაისურაძესთან

### რითი წავიდეთ ბოლო ეტაპზე?

**საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები დაბრუნდა უკრაინიდან, სადაც იქაური ღია პირველობის ბოლოსწინა ტურში იასპარეზა და, ფაქტობრივად, გაინაღდა მეორე ადგილი. ჩვენმა წყალბურთელებმა სამიდან ორი მატჩი მოიგეს, ერთიც ფრედ დაასრულეს და უახლოეს მდევარს ოთხი ქულით უსწრებენ. გვესაუბრება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე.**

- პირველ მატჩში სევასტოპოლის ნაკრებს შევხვდით. თავიდან დამაჯერებლად ვუგებდით, მაგრამ საკადრო პრობლემების გამო, ბოლოს გაგვიჭირდა და მხოლოდ 11:9 მოვიგეთ. საქმე ის არის, რომ ერთბაშად 7 წამყვანი წყალბურთელი დაგვაკლდა და უკრაინაში ცხრაკაციანი შემადგენლობით წავედით. სათადარიგოებად ასაკით პატარა მოთამაშეები გვყავდა და მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში თავამაშებდით, თუ ძირითადი შემადგენლობის რომელიმე წევრს თამაშის გაგრძელება ძალიან გაუჭირდებოდა. ასე რომ, ფაქტობრივად, შვიდი წყალბურთელის ამარა ჩავატარეთ სამი მატჩი.

მომდევნო მატჩმა ხარკოვის "დინამოსთან" მოგვიწია და საკმაოდ მძიმე ბრძოლა გადაგვხდა. მეტოქემ კარგად იცოდა, რომ მოკლე სათადარიგოთა სკამი გვქონდა და შეეცადა, პირველ-მეორე პერიოდებში დაველალეთ, რათა ბოლოს მოეპოვებინა უპირატესობა. ამასთან, მსაჯობაც არაობიექტური იყო, რის გამოც არბიტრებთან კამათი მომოვიდა და გამაძევეს. ბოლო წამებზე, როდესაც ერთი ბურთით ვიგებდით, პენალტით დაგვსაჯეს და საბოლოოდ, შეხვედრა ფრედ (7:7) დასრულდა.

მესამე შეხვედრაში ლვოვის "დინამოს" დავუპირისპირდით. ლვოველებთან მოგება ჰაერივით გვჭირდებოდა და მოვიგეთ კიდეც - 8:6.

**- ბოლო ტურის წინ რა მდგომარეობაა სატურნირო ცხრილში?**

- მეორე ადგილზე ვართ და მესამეადგილოსან ლვოვის "დინამოს" ოთხი ქულით ვუსწრებთ. ბოლო, ფინალურ ეტაპზე რომც ვერ ვითამაშოთ, მეორე ადგილს ველარავინ შეგვეცილება. ისე, მართლაც არსებობს საფრთხე, რომ ბოლო ტური გამოვტოვოთ. ახლაც ისევ წყალბურთის სამყაროში ნაშოვნი თანხით წავედით უკრაინაში, დიდი დახმარება გაგვიწია ფირმა "იოლის" შეფმა ლადო კვარაცხელიამ, მადლობას ვუხდით. აი, ფინალური ეტაპისთვის სად ვიშოვოთ ფული, ეს უკვე აღარ ვიცით.

**- წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი გამოტოვეთ. გაისად მაინც თუ ვიხილავთ ოფიციალურ შეჯიბრებაზე საქართველოს ეროვნულ ნაკრებს?**

- ნაკრების აღდგენა წლების განმავლობაში ჩვენი ოცნებაა, მაგრამ ისევ და ისევ, ყბადაღებულ უფულობაშია პრობლემა. სწორედ ამის გამო ვერ შევძელით წლეულს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე განაცხადის შეტანა. თუკი იქამდე პატრონი გამოგვიჩნდება, გაისად აუცილებლად უნდა გავიდეთ ევროარენაზე.

**- რა სისტემით ტარდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი?**

- ელიტაში გადასასვლელად ორი ეტაპი უნდა გაიაროთ. წლეულს, პირველ ეტაპზე სამი ქვეჯგუფი იყო და თითოეულიდან მომდევნო ეტაპზე გავიდა ორ-ორი საუკეთესო. აქ მხოლოდ ჩერნოგორია იყო სერიოზული გუნდი, დანარჩენებიდან კი ისეთები გავიდნენ მეორე წრეში, რომ ათიდან ათ შემთხვევაში, უპრობლემოდ დავამარცხებთ.

შორს რომ არ წავიდეთ, უკრაინის ღია პირველობაზე მოვუგეთ ბელორუსის ნაკრებს, ხოლო ხარკოვის გუნდმა, რომელიც, ფაქტობრივად, უკრაინის ნაკრებია, საკუთარ აუზში, თავისივე მსაჯებით, მხოლოდ მინიმალური სხვაობით მოგვიგო. ახლა ბელორუსიც და უკრაინაც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშობენ, ჩვენ კი უკრაინის ღია პირველობის დასამთავრებელი თანხაც არ გვაქვს და ეს ძალიან გულდასაწყვეტია. შეიძლება ზოგმა იკითხოს, უკრაინის ჩემპიონატის მაგივრად, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე რატომ არ წახვედითო. საქმე ის არის, რომ უკრაინაში წასვლა გაცილებით იაფია. თანაც, საევროპო განაცხადის შეტანის დროს, არ ვიცოდით, გვექნებოდა თუ არა შესარჩევ ეტაპებზე წასასვლელი ფული. იქ კი თუ განაცხადს შეიტან და მერე მონაწილეობაზე უარს იტყვი, მკაცრად დაგსჯიან. ისიც სათქმელია, რომ თუკი უკრაინის პირველობაზე არასრული შემადგენლობით შეიძლება, გაგიმართლოს, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე სრული, 15-კაციანი გუნდია საჭირო.

**კობა ხატისაშვილი**

## თარიღი

**იაგორ კაზალიკაშვილი.** 02.05.1882, სტეფანწმინდა (ახლანდ. ყაზბეგი) - 15.09.1935, იქვე. ალპინიზმი, მეგზური, ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. პირველად უცხოელებთან ერთად ავიდა მყინვარწვერზე (1907). იყო გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოწყობილი პირველი ქართული ექსპედიციის მთავარი გამყოლი მყინვარწვერზე (1923), თეთნულდსა (1930) და უშბაზე (1934). პირველი საბჭოთა ასვლის მონაწილე, ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის პირველი მოზამთრე (1934). დალაშქრული აქვს კავკასიონის მწვერვალები: მყინვარწვერი (მრავალჯერ), იალბუზი, თეთნულდი, უშბა, ადაი-ხოხი, მარუხი და სხვ. გამოცემულია მისი ლექსების კრებული (1933).

**სვეტლანა მკრტჩიან-ფეიქრიშვილი.** დაიბადა 02.05.1961, ფერღანა (უზბეკეთი). აკრობატიკა. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი (1982), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1981, 83 - გაზაფხული, შემოდგომა), სსრკ თასის სამგზის მფლობელი (1981, 84-85). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. ფლეი ოფი. I წრე

# ფავორიტულად

**აღმოსავლეთი**

**ვაშინგტ. (7)-კლივლენ. (2) 90:97**

23:22, 24:22, 20:22, 23:31

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (31 ქ. 4 მ), სონგაილა (16 ქ), ა. დენიელსი (13 ქ. 12 პ. 6 მ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (31 ქ. 11 მ. 7 პ. 3 ჩ), ილგაუსკასი (20 ქ. 19 მ. 2 დ), ჰიუზი (19 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ), გუდენი (14 ქ. 8 მ).

### სერია 4:0

ერთი წლის წინათ, **ლებრონ ჯეიმსის** გუნდისთვის ფლეი ოფის თუნდაც ერთი რიგითი მატჩის მოგებაც კი დიდი წარმატება იყო, მაგრამ გამოცდილებასა და საერთო პროგრესს, აღმოსავლეთის ერთ-ერთი ლიდერი მადაზე მოჰყავს და დღეს, გუნდი უკვე გაცილებით დიდ მიზნებს ისახავს. ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია "კავალიერსის" სუპერფინალში გასვლა, მაგრამ პირველი წრის სერია "კლივლენდმა" ისე დაასრულა, როგორც ეკადრებოდა და ალბათ, ვალდებულიც კი იყო.

"მშრალი" წაგების მიუხედავად, "ვაშინგტონი", "ჩიკაგოსთან" განადგურებულ "მაიამიზე" მეტ კომპლიმენტს იმსახურებს, რადგან ნახევარი გუნდის გარეშე დარჩენილმა (**გილბერტ არენასი** და **კეირონ ბატლერი** კი, მართლაც ნახევარ გუნდს წარმოადგენენ) დედაქალაქელებმა, **ლებრონსა** და მის ამალას თავი არ დაუხარეს და ბოლომდე იომეს.

სამომავლოდ სარფიან კონტრაქტს უნდა გამოჰკრას ხელი **ანტონიო დენიელსმა**, რომელიც არენასის არყოფნაში, "უიზარდსის" ძირითად გამთამაშებლად იქცა და სერიის მსვლელობისას, საშუალოდ ორმაგ დუბლს (ქულა-პასი) აგროვებდა.

**ანტუან ჯეიმისონმა** კი, კრიტიკოსები საბოლოოდ უნდა დაადუმოს. მათ, ვისაც ამ კალათბურთელის ლიდერობაში, მის ნიჭსა და კიდევ ბევრ სხვა ნიუანსში ეპარებოდათ ეჭვი, ახლა აღარც კი გაბედავენ მისი და უსაქმური **ანტუან უოკერის** შედარებას. არადა, მუშა და პატიოსან ჯეიმისონს მართლაც ბევრი მსგავსება აქვს სეხნია უოკერთან (თავის დროზე, ჯეიმისონი "დალასში" სწორედ უოკერს ცვლიდა), თუმცა, თუ ეს უკანასკნელი ბოლო 2-3 წელიწადია უმოტივაციოდ თამაშისა და წინა დამსახურებებისთვის ძალიან დიდ ხელფასს იღებს, ჯეიმისონი არ უკლებს და დღეს მის გარეშე "უიზარდსის" წარმოდგენა შეუძლებელია. თუ მომავალ სეზონში "უიზარდსის" დიდი სამეული ჯანმრთელი იქნება, "ვაშინგტონი" მინიმუმ თავის დივიზიონს მოიგებს.

თითქმის არაფერი გვითქვამს მომდევნო წრეში გასულ "კლივლენდზე", რომელმაც ისტორიაში პირველი "მშრალი" საფლეიოფო გამარჯვება მოიპოვა. სათქმელიც არაფერია, თუ **ჟიდრუნას ილგაუსკასის** ძალიან კარგ თამაშს არ მივიღებთ მხედველობაში და თუ იმასაც არ შევეხებით, რომ ეს გუნდი პრაქტიკულად, უმწვრთნელოდ თამაშობს. **მაიკ ბრაუნი** წუთშესვენებებსაც ისე, სარეკლამო სივრცის შესავსებად უფრო იღებს, მერე კი მოედანზე ყველაფერი მაინც ლებრონის სცენარით მიდის. მომდევნო წრეში "კავალიერსს" "ნიუ ჯერსისა" და "ტორონტოს" შორის უძლიერესი, ანუ სავარაუდოდ სერიაში 3:1 დაწინაურებული "ნეტსი" ელის. კარგი თამაში უნდა იყოს...

და კიდევ, **ლარი ჰიუზმა** თავისი გუნდის ბოლო 20 ქულიდან 18, პირად ანგარიშზე ჩაიწერა.

**დასავლეთი**

**დენვერი (6)-ს. ანტონიო (3) 89:96**

27:20, 23:22, 23:25, 16:29

**დენვერი:** ენტონი (29 ქ. 6 მ. 3 პ), აივერსონი (22 ქ. 7 პ), ნენე (18 ქ. 7 მ. 3 პ), კემბი (10 ქ. 17 მ. 4 დ. 3 პ).

**სან ანტონიო:** დანკანი (22 ქ. 11 მ. 6 პ), ჯინობილი (18 ქ. 6 პ. 5 ჩ. 4 მ), ტ. პარკერი (15 ქ. 4 პ), ბ. ბოუენი (10 ქ. 3 ჩ).

### სერია 1:3

ასეც არ ელირსა "დენვერს" მიმდინარე ფლეი ოფში პირველი საშინაო გამარჯვება, მაგრამ ამ გუნდზე აუგს ვერცერთი ფანი ვერ იტყვის. კოლორადოელები იბრძვიან, მაქსიმუმს აკეთებენ, მაგრამ "სპურსს" ზემოთ ძალა არ არის და სერიაც იქითკენ მიდის, რომ **გრეგ პოპოვიჩის** გუნდი ყველაფერს მეხუთე შეხვედრაში მოამთავრებს. "სან ანტონიო" მასპინძელია და ამ შანსს ხელიდან აღარ გაუშვებს.

არადა, "ნაგეტსისთვის" ყველაფერი მშვენივრად დაიწყო. სერიას არ ვგულისხმობ, კონკრეტულად ამ შეხვედრაზე მაქვს საუბარი.

**კარმელო ენტონი** ქულას ქულაზე აგროვებდა, **ალენ აივერსონს** მესამე მეოთხედის მიჯნაზე პირად აქტივში 20 ქულა და 5 შედეგიანი გადაცემა ჰქონდა, ხოლო **მარკუს კემბიმ** კი სამწამიანი გადაკეტა და იქ ვერც **ტიმ დანკანი** თარეშობდა და ვერც **მანუ ჯინობილი** ახერხებდა შესვლებით წინ გაჭრილ მასპინძელთან ჩამორჩენის შემცირებას.

ბოლო მეოთხედის დაწყებამდე "ნაგეტსი" 73:67 იყო წინ.

პოპოვიჩმა ბოლო 12-წუთეული დანკანის გარეშე დაიწყო და ცენტრად **ფაბრიციო ობერტოთი** დააყენა. არგენტინელი მალევე იღებს ორ ფოლს, მაგრამ "სპურსისთვის" ყველაფერი მშვენივრად მიდის - ჯინობილიმ ჯერ საშუალო მანძილიდან, მერე ორი საჯარიმოთი, ბოლოს კი სამქულიანით, ზედიზედ 7 ქულა მოიმკო და წინ უკვე სტუმარია - 74:73. აი, აქ კი წუთშესვენების აღება უკვე **ჯორჯ კარლს** უწევს.

დანკანი ობერტოს ცვლის, "დენვერის" ხუთეულში კი სასტარტოს წევრებიდან მხოლოდ კემბი არ არის - კარლმა რეგულარულის საუკეთესო დამცველი დაასვენა, რამდენიმე წუთით კი მოედანზე ლიტველი **ლინას კლეიზა** (16 წუთი, 0 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი) გაუშვა.

აქედან მოყოლებული, მატჩი ტიმის შოუდ იქცა. არა, დანკანს მატჩი არც 30 ქულით დაუსრულებია და არც წინა შეხვედრების დარად 4-5 დაფარებით, მაგრამ გადახედეთ მის სტატისტიკას მომდევნო 7 წუთში - 5 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი და რაც მთავარია, 4 წუთში 2-2 პესონალური **ნენესა** და კემბის მიალებინა.

*"ყოველთვის ვამბობდი, მომეცით დანკანი და ეგრევე ჩემპიონები გავხდებით-მეთქი. ძალიან ჭკვიანი მოთამაშეა, რომელიც ლიგაში ყველაზე კარგად ანაწილებს ენერგიას. მას დომინირებისთვის 30 ქულა, 20 მოხსნა და სამმაგი დუბლი ნამდვილად არ სჭირდება, იგი ისე თამაშობს, რომ მის თანაგუნდელებს უდიდესი სივრცეები რჩებათ შეტევების დასამთავრებლად"*, - შეაქო მოწინააღმდეგის ლიდერი კარლმა, რომლის გუნდმაც ბოლო მეოთხედში 5 შეცდომა დაუშვა, აივერსონმა კი 7-დან მხოლოდ 2 სროლა გამოიყენა.

და მაინც, "დენვერმა" ძირითადის დასრულებამდე 35 წამით ადრე, სხვაობა მინიმუმამდე (89:90) დაიყვანა, 5 წამში კი გაისროლა კაცმა, რომლისთვისაც ფლეი ოფი ჯერ კიდევ ძალიან ბევრს ნიშნავს - **რობერტ ორიმ ტონი პარკერის** პასით დაახლოებით 8 მეტრიდან გააქანა ბურთი "ნაგეტსის" კალათში და დარჩენილი დროც ფორმალობად იქცა.

**ჰიუსტონი (5)-იუტა (4) 96:92**

21:23, 22:21, 25:28, 28:20

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (26 ქ. 16 მ. 4 პ), მინი (21 ქ. 15 მ. 2 პ), ბეტიე (15 ქ. 2 ჩ. 2 დ), ალსტონი (14 ქ. 6 მ. 4 პ. 4 ჩ), ჯუვან ჰოვარდი (12 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ).

**იუტა:** ბუზერი (26 ქ. 8 მ. 4 პ. 3 ჩ), ფიშერი (17 ქ. 4 მ), დ. უილიამსი (13 ქ. 6 მ), ოქური (9 ქ. 9 მ. 4 პ).

### სერია 3:2

**იაო მინის** სიძლიერესა და იმ ფაქტს, რომ ჩინელი დღეს პლანეტის უძლიერესი ცენტრია, ეჭვქვეშ არავინ აყენებს, მაგრამ თუ **ჯეფ ვან განდის** "ჰიუსტონს" მინიმუმ "ჯაზის" ბარიერის გავლა სურს, მაშინ ტეხასელებმა, პირველ რიგში, **ტრეისი მაკგრეიდის** სტაბილურ თამაშზე უნდა ილოცონ.

თავის მრავალფეროვან კარიერაში ტრეისის ფეერიული სეზონებიც ჰქონია და ისეთი წლებიც გამოუვლია, სადაც მასზე გუნდის წარმატება არ ყოფილა დამოკიდებული. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ბოლო დეკადის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს, კარიერაში ერთხელაც არ მოუგია საფლეიოფო სერია!

"ჰიუსტონს" ძალიან გაუჭირდა მოტივირებული "ჯაზისთვის" მეორე ნახევარში უპირატესობის წართმევა, მაგრამ მასპინძლებმა ეს, ისევ და ისევ, ტრეისის ფენომენალური თამაშით შეძლეს.

16 შედეგიანი გადაცემით მაკგრეიდიმ კარიერის საერთო რეკორდი დაამყარა, ხოლო იაო მინმა კი დიდ შესვენებამდე 8 გაფუჭებულ სროლას ყურადღება არ მიაქცია და შემდგომში თითქმის ყველა ტყორცნა უშეცდომოდ შეასრულა. ამ, ერთი შეხედვით, მარტივი, მაგრამ არაერთგზის აპრობირებული გზით გავიდა "როკეტსი" წინ, თუმცა ამ სერიაში ყველაფერია შესაძლებელი და ის კი, ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მაკგრეიდის ჯერ ფლეი ოფის მეორე წრეში არ უთამაშია.

*"ტრეისი ფენომენალური იყო. მისი პასებით თითქმის ყველამ იხეირა, მაგრამ "ჯაზს" მეექვსე მატჩი შინ აქვს ჩასატარებელი და მოდუნების უფლება არ გვაქვს. ვეცდებით, სერია სოლტ ლეიკ სიტიში დავასრულოთ"*, - განუცხადა მასმედიელებს "ჰიუსტონის" მთავარმა მწვრთნელმა ჯეფ ვან განდიმ.

**ზურაბ თალაკვაძე**



დენვერს გადამწყვეტი სამქულიანი რობერტ ორიმ ჩაუგდო





რაილი უეიდს აწყნარებს

ინტერვიუ პატ რაილისთან

# ...უბრალოდ, ჩვენზე კარგი გუნდი იყო

**აი ასე, თვალის ერთ დახამხამებაში დასრულდა ფლეი ოფი აწ უკვე მოქმედი ჩემპიონისთვის. "მაიამი ჰიტმა" ოთხ მატჩში, ჯამში მხოლოდ 4 მეოთხედი თუ იომა, დანარჩენ დროს კი თვალს ადევნებდა ახალგაზრდა და მშიერი "ჩიკაგო ბულზის" არაჩვეულებრივ კალათბურთს. შარშანდელი ჩემპიონები რომ მთლად ჯანზე ვერ იყვნენ, ეს რეგულარულიდანაც კარგად ჩანდა, მაგრამ ასეთი დაუძლურება?! ზედიზედ ოთხჯერ წაგება ფლეი ოფში ახალი ხილი სულაც არაა, მაგრამ გააჩნია ვინ, რა ეტაპზე და ვისთან აგებს. შაკი დაბერდა, უეიდი ტრავმირებული იყო, ანტუან უოკერს მთელი კალათბურთი ცალ ფეხზე ჰკიდია, გარი პეიტონს კი მომავალ სეზონში ბურთების მიმტანად თუ აიყვანს ვინმე - ახლა ამ არგუმენტების მოშველიება იოლია და სერიის საბოლოო შედეგიდან გამომდინარე, სწორიც, მაგრამ ბევრი გაბედავდა "ჰიტის" მშრალი მარცხის წინასწარმეტყველებას? გვეეჭვება... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პირდაპირ "მაიამის" მთავარი მწვრთნელის, პატ რაილის ინტერვიუზე გადავიდეთ.**

**- დუეინი ჯანმრთელი რომ ყოფილიყო, ალბათ, სხვა სერიას ვიხილავდით.**

- რომ ყოფილიყო, რომ ჩაეგდო, ჯარიმა რომ არ მიელო - ჩემთვის სიტყვა "რომ" მიულებელია. წაგება წაგებაა და მარცხის შემდეგ, მიზეზებზე საუბარს საჯაროდ არ ვაპირებ. ყველამ იცის, რომ ეს არ არის ჩემი სტილი. მეოთხე შეხვედრის შემდეგ ვთქვი, რომ ერთადერთი, რის გამოც "ბულზმა" ასე იოლად მოიგო, იყო ის, რომ "ჩიკაგოს" უბრალოდ, ჩვენზე უკეთესი გუნდი ჰყავდა. ეს არის და ეს.

**- შაკი მომდევნო სეზონს განსხვავებული მოსამზადებელი პროგრამით დაიწყებს. თქვენ თუ შეგიძლიათ იმის თქმა, თუ რა პროგრამაზეა საუბარი?**

- ვიცი, რომ შაკმა ეს განცხადება გააკეთა, მაგრამ ამის შესახებ მასთან ჯერ არ მისაუბრია. ონილი დღესაც დიდი ძალაა და იმედი მაქვს, დამდეგ სეზონში იგი 44 შეხვედრაზე მეტს ჩაატარებს. შაკის გარეშე წარმატებაზე ფიქრი არარეალურია.

**- "მაიამის" ერთ-ერთი პრობლემა ასაკოვანი მოთამაშეების დიდი რაოდენობაა. გვეთანხმებით?**

- შარშანაც იგივე მოთამაშეები გვყავდა და მათ ასაკზე სიტყვა არავის დაუძრავს. ერთი წლის განმავლობაში ანტუან უოკერი, ზო მურნინგი და გარი პეიტონი ისე არ დაუძლურებულან, რომ მათი გამოყენება არ შეიძლებოდეს. არ ვიცი, რა მოხდება შემდეგ სეზონში, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო "ჰიტის" ყველა მოთამაშეს. მათ ბოლომდე იბრძოლეს და ღირსეულ მეტოქესთან დამარცხდნენ.

**- რამდენად შორს წავა "ბულზი"?**

- თუ "დეტროიტს" გაივლის, მაშინ სუპერფინალში ულაპარაკოდ მოხვდება. ვერც "კლივლენდი", ვერც "ნიუ ჯერსი" ან "ტორონტო" "ჩიკაგოს" ვერ შეაჩერებენ. უბრალოდ, "პისტონზის" სახით, ამ გუნდს ძალიან სერიოზული ოპონენტი ეყოლება. ეს გუნდები დაახლოებით იდენტურ კალათბურთს თამაშობენ და ძალიან ბევრი რამ ცალკეული მოთამაშეების საამსერიო განწყობაზე იქნება დამოკიდებული.

**- რამდენად მნიშვნელოვანი იყო ბენ უოლასის დაცვა შაკის წინააღმდეგ?**

- ანუ, გააჩერა თუ არა ბენმა შაკი? ვერ გააჩერა, მაგრამ ონილმა ძალიან ბევრი ფოლი შეტევაში მიიღო და ამის გამო, ლიმიტირებული დროით თამაში მოუხდა. ბენი ძალიან ძლიერი დამცველია, მაგრამ რაც შაკი ჩვენს ლიგაშია, არ მინახავს მოთამაშე, რომელიც მის სრულ განეიტრალებას მოახერხებდეს. ეს ვერც უოლასმა გააკეთა.

**- ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი - ვინ იქნება "ჰიტის" მთავარი მწვრთნელი მომავალ სეზონში?**

- ყველაზე მარტივი პასუხი - ყველაზე ღირსეული კანდიდატი, რომელთა შორის პატ რაილიცაა.

**- მურნინგს კარიერის დასრულება აქვს გადაწყვეტილი. ეს მისი საბოლოო გადაწყვეტილებაა, თუ ერთი სეზონით ზოს დატოვებას მაინც მოახერხებთ?**

- ზო დიდი ბიჭია და თუ იგი მიიჩნევს, რომ კალათბურთით სიამოვნებას ველარ იღებს, მაშინ უნდა წავიდეს. სხვა საქმეა, რომ მურნინგი დღესაც ერთ-ერთი უძლიერესი დამცველია, რომელსაც დიდი სათამაშო დროის მიცემის შემთხვევაში, თავისუფლად შეუძლია, სეზონი საუკეთესო დამფარებლად დაასრულოს.

**- ჯეისონ უილიამსი? "ბოსტონს" მისი აყვანა სურს.**

- კი, ნამდვილად ასეა, მაგრამ გააჩნია, "სელტიქსი" ჯეიში ვის შემოგვთავაზებს. არ გამოვრიცხავ, რომ უილიამსი გუნდში დარჩეს, თუმცა ალბათ, უფრო წავა.

**- სხვა სერიებზე რას გვეტყვით?**

- ამ ფლეი ოფში კიდევ ბევრი მოულოდნელობა იქნება.

**- "მაიამის" წაგება მოულოდნელობა იყო?**

- თქვენ როგორ გგონიათ?

**ზურაბ თალაკვაძე**

NHL. ფლეი ოფი. კონფერენციების 1/2 ფინალი

# ფავორიტთა მორიგი ფიასკო



პრისინგის გოლი ბროდოს კარში

### დასავლეთი

**სან ხოსე (5)-დეტროიტი (1) 2:1**

0:1, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 ლიდსტრიომი-3 (სამუელსონი-2, კლირი-3), 1:1 ქლოუ-4 (მ. კარლი-3, ჯ. ტორნტონი-9), 2:1 ჩიჩუ-2 (მაკლარენი-3, ქლოუ-2).

**სერია 2:1**

"დეტროიტმა" უსწრაფესი ტემპითა და დიდი შემართებით დაიწყო მატჩი და ყველას ეგონა, რომ დასავლეთის საუკეთესო გუნდი, სწორედ ამ შეხვედრაში დაიბრუნებდა საკუთარი მოედნის უპირატესობას.

სტუმრებმა პირველ 20 წუთში 16 ზუსტი დარტყმა შეასრულეს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ აიღეს **ევგენი ნაბოკოვის** კარი - შვედმა ვეტერანმა მცველმა **ნიკლას ლიდსტრიომმა** რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა.

"რედ უინგზის" უპირატესობა მეორე პერიოდის შუამდე გრძელდებოდა, მაგრამ აქედან მოყოლებული, ყინულზე სულ სხვა თამაში გაჩაღდა.

*"ხანდახან, პერიოდნახევარი გჭირდება იმისთვის, რომ მეტოქის კარებთან მისასვლელი გზები მონახო"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ, "სან ხოსეს" მთავარმა მწვრთნელმა **რონ უილსონმა**, რომელმაც შეტევის ოთხივე ტრიო ერთმანეთში აურია და ამ როტაციამ შედეგი გამოიღო. **რაიან ქლოუმ ჯო ტორნტონის** გადაცემა გამოიყენა, არადა, ეს ჰოკეისტები იშვიათად თამაშობენ ერთ სამეულში.

*"რეგულარული ჩემპიონატის განმავლობაში იმდენი ტრიო გამოვიცვალე, რომ ჩემთვის სულერთია, ვის გვერდით ვითამაშებ"*, - ამბობდა "ზვიგენების" ლიდერი ტორნტონი.

გამარჯვების გოლი კი, შარშანდელი რეგულარულის საუკეთესო სნაიპერმა - **ჯონათან ჩიჩუმ** გაიტანა. ეს მისი მხოლოდ მეორე შაიბაა წლევანდელ ფლეი ოფში, მაგრამ სწორედ ეს გოლი შეიძლება გამოდგეს გადამწყვეტი ამ სერიაში.

ჩიჩუმ რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა, არადა "სან ხოსეს" უჭირს ზედმეტი ჰოკეისტის გათამაშება. ამ ფლეი ოფში, "შარქსმა" 42 შანსიდან მხოლოდ ოთხჯერ შეძლო რიცხობრივი უპირატესობისას გოლის გატანა.

დაბოლოს, კვლავ ჩრდილში არის მოქცეული "სან ხოსეს" ვეტერანი ფორვარდი **ბილ გერინი**, რომელიც "ზვიგენებმა" მარტის ტრეიდებზე სპეციალურად ფლეი ოფისთვის გადაიბირეს "სენტ ლუისიდან". ამ ჰოკეისტს ზედიზედ 8 მატჩია გოლი არ გაუტანია.

### აღმოსავლეთი

**ოტავა (4)-ნიუ ჯერსი (2) 2:0**

0:0, 0:0, 2:0

გოლები: 1:0 პრისინგი-2 (კომრი-2, ფიშერი-3), 2:0 სპეცა-4 (ალფრედსონი-4, ჰიტლი-6).

**სერია 2:1**

**რეი ემერის** შათაუტის წყალობით, "სან ხოსე" "ნიუ ჯერსისთან" სერიაში დაწინაურდა.

"ოტავას" გოლკიპერმა ფლეი ოფში მეორე "მშრალი" მატჩი ჩაატარა. პირველად მან ეს ამავე სტენლის თასზე, "პიტსბურთან" სერიაში მოახერხა. გუშინ, ემერიმ 25 დარტყმის მოგერიება შეძლო და მატჩის პირველი ვარსკვლავი გახდა.

მეორე ვარსკვლავად ემერის ვიზავი - **მარტინ ბროდო** დასახელდა. მას 32 დარტყმის მოგერიება მოუხდა და ერთადერთი გოლი გაუშვა (**ჯეისონ სპეცამ** მეორე შაიბა ცარიელ კარში შეაგდო), თანაც კურიოზული. მესამე პერიოდის მეხუთე წუთზე, **ტომ პრისინგმა** ჰაერიდან დაარტყა შაიბა, თანაც ძალიან მახვილი კუთხიდან.

*"კიდევ ასჯერ რომ მომიწიოს ასეთი სიტუაციიდან კარში დარტყმა, დარწმუნებული ვარ, გოლს ვერ გავიტან"*, - ამბობდა მატჩის შემდეგ პრისინგი.

სხვათა შორის, ამ გოლმა დიდი კამათი გამოიწვია. ბროდო ამტკიცებდა, რომ დარტყმის მომენტში, ოტაველმა **მაიკ ფიშერმა** მას ხელი ჰკრა და შაიბის მოგერიებაში ხელი შეუშალა. *"დიახ, ბროდოს შევეხე, მაგრამ ეს შეგნებულად არ გამიკეთებია. ნებისმიერ შემთხვევაში, პრისინგის გოლი ბრწყინვალე გამოვიდა"*, - განაცხადა ფიშერმა.

ისე კი, ბროდოს სტენლის თასზე "ოტავას" წინააღმდეგ, მაინცა და მაინც, არ უმართლებს. ფლეი ოფში "სენატორების" წინააღმდეგ ჩატარებულ 16 მატჩში, "ნიუ ჯერსის" მეკარეს 9 თამაში აქვს წაგებული.

უქულო სამმატჩიანი სერია შეწყვიტა "ოტავას" ლიდერმა - **დენი ჰიტლიმ**. არადა, ამ უსიამოვნო სერიამდე, ჰიტლის სამ მატჩში 3 გოლი და 3 შედეგიანი პასი ჰქონდა აქტივში.

## მსოფლიო ჩემპიონატი

### I ჯგუფური ეტაპი

### A ჯგუფი

**შვეიცარია-იტალია 2:1**

1:0, 0:0, 1:1

გოლები: ბეზინა-1 (დიპიეტრო-1, ლემი-1), 1:1 ანსოლდი-1 (რამოზერი-1, პელფერი-1), 2:1 როიტემანი-1 (ბლინდენბაპერი-1, ლემი-2).

**ლატვია-შვედეთი 2:8**

0:1, 0:3, 2:4

გოლები: 0:1 ბეკსტრიომი-1 (სტინი-1, ი. იონსონი-1), 0:2 აკერმანი-1 (ჰედსტრიომი-2), 0:3 ვალინი-1 (აკერმანი-2, მარტენსონი-1), 0:4 ბრემბერგი-2 (ტარნსტრიომი-4), 1:4 დაუგავინში-1, 2:4 შიროკოვი-1, 2:5 მ. იოჰანსონი-1 (ტარნსტრიომი-5, ბეკსტრიომი-2), 2:6 ჰორნკვისტი-1 (ბრემბერგი-2, ტარნსტრიომი-6), 2:7 ვარგი-1 (ი. იონსონი-2), 2:8 ტარნსტრიომი-1 (ჰალბერგი-1, დავიდსონი-3).

| | თ | მ | ომ | ოწ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 15-3 | 6 |
| 2. შვეიცარია | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 3. ლატვია | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 3-10 | 0 |
| 4. იტალია | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 2-9 | 0 |

### C ჯგუფი

**სლოვაკეთი-გერმანია 5:1**

1:0, 1:0, 3:1

გოლები: 1:0 პოდჰარდსკი-1, 2:0 პოდჰარდსკი-2 (კაპუში-2, შატანი-2), 2:1 ულმანი-2 (ვოლფი-1, დიტრიხი-1), 3:1 კაპუში-1 (შატანი-3, ურამი-1), 4:1 გაბორიკი-1 (მარიან ჰოსა-1, იურჩინა-1), 5:1 სომიკი-1 (კუკუმბურგი-1).

**კანადა-ნორვეგია 4:2**

2:1, 0:1, 2:0

გოლები: 0:1 სპეტცი-1 (ოლიმბი-1), 1:1 ნეში-1 (ჰამპუსი-1, ტოვზი-1), 2:1 ჩიმერა-1 (მაკკლემანი-1), 2:2 ი. ანდერესენი-1 (ტ. იაკობსენი-1, მ. ჰანსენი-1), 3:2 დოუნი-1 (ბრიუერი-1), 4:2 ჯასტინ უილიამსი-1 (მერფი-2).

| | თ | მ | ომ | ოწ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლოვაკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 8-1 | 6 |
| 2. კანადა | 2 | 2 | 0 | 0 | 0 | 7-4 | 6 |
| 3. გერმანია | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 3-8 | 0 |
| 4. ნორვეგია | 2 | 0 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |



მარია შარაპოვა

## ჩოგბურთი

ვარსკვლავი

# მარიას 10 რჩეული

რუსმა ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამ, თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე იმ 10 მამაკაცის სია გამოაქვეყნა, რომლებთან ერთადაც ის კორტზე სიამოვნებით ითამაშებდა წყვილთა თანრიგში. ამ სიაში შესულებს, მარიამ პატარა კომენტარიც დაურთო თან:

1. **ჯონ მაკინროი,** ყოფილი ჩოგბურთელი, ცნობილი თავისი ემოციურობით (*"მინდა მასთან ერთად ვუყვირო მსაჯებს"*);
2. **ჯეიმს ბონდი;**
3. **ვლადიმერ პუტინი,** რუსეთის პრეზიდენტი (*"ჩვენს წინააღმდეგ ვერავინ გაძლებს"*);
4. **პრინცი უილიამი** (*"ჩვენ ყველას მოვეწონებით უიმბლდონზე"*);
5. **კრისტიანო რონალდო** (*"ეს ყველაზე "ცხელი" გუნდი იქნება"*);
6. **ადამ სკოტი,** ავსტრალიელი გოლფისტი (*"იქნებ ღამით გვეთამაშა?"*);
7. **ლებრონ ჯეიმსი,** კალათბურთელი (*"ძალიან მინდა მისი საჩოგბურთო შორტებში ხილვა"*);
8. **იაო მინი,** კალათბურთელი (*"ჩვენ ვერავინ მოგვწვდება"*);
9. **ბონო,** როკ-ჯგუფ U2-ს სოლისტი;
10. **ორლანდო ბლუმი,** მსახიობი (*"მას შეიძლება მოწოდებისას დახმარება დასჭირდეს"*).

## TV სპორტი

### 2 მაისი. ოთხშაბათი

**რუსთავი 2**

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-მანჩესტერ იუნ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
**14:15** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:15** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:30** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**17:00** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:00** პირდაპირი ხაზი.
**19:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:20** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:15** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ლივერპული.
**22:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:25** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**00:40** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:40** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:35** სპორტის სახეები.
**09:10** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:10** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. I მატჩი. ლივერპული-ჩელსი.
**12:00** სპორტის სამყარო.
**12:30** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**13:01** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიკოლაი დავიდენკო-ივან ლუბიჩიჩი. როტერდამი. ჰოლანდია.
**15:57** სპორტის სამყარო.
**16:27** ფეხბურთი. Barca-TV. ანდრეს ინიესტა.
**17:19** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**17:54** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**18:24** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**19:21** სპორტის ისტორია.
**19:30** სპორტინფორმი.
**19:45** ჰოკეი. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. ვანკუვერი-ანაჰაიმი. IV მატჩი.
**21:35** სპორტინფორმი.
**21:45** ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
**22:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალის წინ (LIVE).
**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**00:43** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**01:07** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**01:59** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**02:30** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი. ამერიკა-კოლო კოლო (LIVE).
**04:17** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**04:48** ფეხბურთი. Barca-TV. ანდრეს ინიესტა.
**05:39** ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
**06:00** ჰოკეი. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. სან ხოსე-დეტროიტი. IV მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

**09:30** ჩოგბურთი. გზად როლან გაროსისკენ.
**09:45** მულტისპორტი.
**10:15** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
**12:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**15:15** მულტისპორტი.
**16:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ესპანიოლი-ვერდერი.
**17:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-ესპანეთი. ბელგია (LIVE).
**18:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**19:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-უკრაინა. ბელგია (LIVE).
**20:45** აფროსნობა.
**20:50** მულტისპორტი.
**20:55** ცხენოსნობა.
**21:00** მულტისპორტი.
**21:05** გოლფი. US PGA-ს ტური.
**21:35** გოლფი. ევროპის ტური.
**21:40** აფროსნობა.
**21:45** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**00:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.

**EUROSPORT-2**

**08:30** ახალი ამბები.
**11:00** არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ფილადელფია.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი.
**13:00** ახალი ამბები.
**15:00** არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ფილადელფია.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ეშტორილი. პორტუგალია (LIVE).
**17:45** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**19:30** ექსტრემალური სპორტი.
**20:30** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. ვილი. შვეიცარია.
**22:30** მულტისპორტი.
**23:00** პრო-რესტლინგი.
**00:30** მულტისპორტი.
**01:00** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| არეცო-ჩეზენა | 3:0 |
| ბარი-პიაჩენცა | 1:2 |
| ფროზინონე-იუვენტუსი | 0:2 |
| ჯენოა-ვერონა | 3:1 |
| მოდენა-ბრეშა | 1:0 |
| პესკარა-სპეცია | 0:2 |
| რიმინი-კროტონე | 1:0 |
| ტრიესტინა-ლეჩე | 2:3 |
| ვიჩენცა-ბოლონია | 1:1 |
| მანტოვა-ტრევიზო | 0:0 |
| ნაპოლი-ალბინოლეფე | 1:0 |

**ჰოლანდია**

**ფლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ვოლენდამი-იგლზი | 5:1 |
| ცვოლე-დორდრეხტი | 0:1 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 0:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| იონჩოპინგსი-ლიუნგსკილე | 1:2 |

**ავსტრიის თასი**

| | |
|---|---|
| ავსტრია-მატერსბურგი | 2:1 |

**პოლონეთის თასი**

| | |
|---|---|
| გროცლინი-კორონა | 2:0 |

### ჰოკეი

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ავსტრია-ბელარუსი | 2:5 |
| დანია-უკრაინა | 4:3 |
| ჩეხეთი-აშშ | 4:3 |
| ფინეთი-რუსეთი | 4:5 |

### ჩოგბურთი

**ATP. ესტორილი**

| | |
|---|---|
| გარსია ლოპესი-რასელი | 6:1, 6:2 |
| გაბაშვილი-სპეიდი | 1:6, 7:5, 4:6 |
| გასკე-მირნი | 6:3, 6:3 |
| კალერი-უდომჩოკე | 6:4, 4:6, 6:1 |
| სერა-ტურსუნოვი | 6:4, 3:6, 1:6 |
| გონსალესი-მატიო | 2:6, 4:6 |
| დავიდენკო-პატიენსი | შეწყდა |
| დანილიდუ-ბრაიანტი | უარი |

**ATP. მიუნხენი**

| | |
|---|---|
| ბეკერი-ჟიმონიჩი | 7:6, 6:3 |
| მასუ-ტ. იოჰანსონი | 6:2, 6:1 |
| სლუიტერი-ჰაიეკი | 3:6, 6:2, 7:6 |
| სტეპანეკი-ვასკე | 6:7, 3:6 |
| ნიემინენი-შუტლერი | 6:4, 6:4 |
| ჰაასი-გროსჟანი | 4:6, 4:6 |
| ბეკი-ბახინგერი | 2:6, 7:6, 5:7 |
| კანიასი-დევილდერი | 6:4, 1:6, 0:6 |
| გულბისი-სამერერი | 7:5, 4:6, 4:6 |
| ბერდიჩი-მაიერი | 6:2, 6:1 |

**WTA. ესტორილი**

| | |
|---|---|
| მიულერი-ვოზნიაჩკი | 4:6, 0:6 |
| რუანო პასკუალი-პინი | 6:4, 7:6 |
| დულკო-შრუფი | 6:1, 1:6, 6:1 |
| სკიავონე-ლისიკი | 6:1, 7:5 |
| ბარტოლი-სილვა | 6:2, 6:1 |
| დომინგეს ლინო-სუხა | 7:5, 6:1 |
| არვიდსონი-პიედადე | 6:0, 6:0 |
| ზაჰ. სტრიჩოვა-იაკიმოვა | 6:2, 4:6, 3:6 |
| არნსი-პოუს ტიო | 6:2, 6:2 |
| დანილიდუ-ბრიანტი | 4:6, 1:6 |
| პენეტა-პარა სანტონხა | 6:3, 6:1 |
| კირილენკო-ოჟეგოვიჩი | შეწყდა |

**WTA. ვარშავა**

| | |
|---|---|
| დემენტიევა-ტუ | 6:7, 6:0, 7:5 |
| გარბინი-გრენვილი | 6:4, 6:2 |
| კანეპი-გრონეფელდი | 2:6, 4:6 |
| კ. ბონდარენკო-პაჩეკი | 6:1, 6:7, 6:1 |
| ვესნინა-უ. რადვანსკა | 2:6, 7:6, 6:3 |
| ა. რადვანსკა-პირონკოვა | 7:5, 6:1 |
| ვაკულენკო-ლიხოვცევა | 6:4, 6:1 |

# სხვადასხვა

კალათბურთი

## NBA-მ საუკეთესო მცველები გამოავლინა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია აგრძელებს გასული რეგულარული ჩემპიონატის ლაურეატების გამოვლენას. ამჯერად, ლიგის ხელმძღვანელობამ საუკეთესო დამცველთა პირველი ხუთეულის (NBA All-Defensive First Team) წევრთა სია გამოაქვეყნა.

სიმბოლურ ნაკრებში ზედიზედ მეათედ მოხვდა "სან ანტონიო სპურსის" ლიდერი - **ტიმ დანკანი**. იქვეა მისი თანაგუნდელი - **ბრიუს ბოუენი**, რომელმაც გამოკითხვაში ტიმზე 6-ით მეტი ქულა დაიმსახურა. ამ ორის გარდა, ხუთეულში მოხვდნენ: **მარკუს კემბი** ("დენვერი"), **კობი ბრაიანტი** ("ლეიკერსი") და **რაჯა ბელი** ("ფინიქსი").

გამოცხადდა მეორე ხუთეულიც, რომლის შემადგენლობა ასე გამოიყურება: **ბენ უოლასი, კირკ ჰაინრიხი** (ორივე - "ჩიკაგო"), **ჯეისონ კიდი** ("ნიუ ჯერსი"), **ტაიშონ პრინსი** ("დეტროიტი") და **კევინ გარნეტი** ("მინესოტა").

ეს კალათბურთელები NBA-ის 30 კლუბის საუკეთესო მწვრთნელებმა გამოავლინეს, რომლებსაც უფლება არ ჰქონდათ საკუთარი გუნდებიდან დაესახელებინათ მოთამაშეები.

## უეიდი ოპერაციისთვის ემზადება

ფლეი ოფიდან გავარდნის შემდეგ, "მაიამი ჰიტის" ლიდერმა **დუეინ უეიდმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უახლოეს დღეებში ოპერაციას გაიკეთებს.

როგორც იცით, თებერვალში კალათბურთელმა მხარი დაიზიანა, მაგრამ მაშინ მან უარი განაცხადა ქირურგიულ ჩარევაზე და ამას, ფლეი ოფში საკუთარი გუნდისთვის დახმარების გაწევა ამჯობინა.

Miami Herald-სთვის მიცემულ ინტერვიუში უეიდმა აღიარა, რომ ოპერაციის გამო, ზაფხულში ვერ ითამაშებს აშშ-ის ნაკრებში, რომელსაც ამერიკის ჩემპიონატზე უნევს გამოსვლა.

## მურნინგი გზაგასაყარზეა

"მაიამის" კიდევ ერთმა კალათბურთელმა, **ალონზო მურნინგმა** სააგენტო "როიტერთან" საუბარში აღნიშნა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტავს, გააგრძელებს თუ არა კარიერიას მომავალ სეზონში.

*"ჯერ არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა მომავალ წელს. ვნახოთ... კალათბურთის გარდა, ცხოვრებაში სხვა ბევრი რამ არის საინტერესო. მოუთმენლად ველი, სანამ ახალ პროფესიაში მოვსინჯავ ძალებს. ვფიქრობ, შევძლებ კალათბურთის გარეშე ცხოვრებას. როგორც მოთამაშემ, ბევრ რამეს მივაღწიე. სხვა რაღა მაქვს დასამტკიცებელი?!"* - განაცხადა 37 წლის ცენტრმა.

ასევე არ იცის, გააგრძელებს თუ არა კარიერას "ჰიტის" კიდევ ერთი ვეტერანი - **გერი პეიტონი**.

## სტერნი ლიგის გაფართოებას არ გეგმავს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარი **დევიდ სტერნი** საჭიროდ არ მიიჩნევს ჩრდილოამერიკული გუნდებით NBA-ის ლიგის გაზრდას. ჩემპიონატში მონაწილეთა რიცხვი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიზრდება, თუ ორი პროფესიული კლუბი ჩინეთში შეიქმნება.

*"ჩემი აზრით, 30 გუნდი ოპტიმალური ვარიანტია. ეს სასიამოვნო, მრგვალი რიცხვია. პეკინის ოლიმპიადის შემდეგ, შევხედავთ და დავფიქრდებით, შესაძლებელია თუ არა NBA-სა და ჩინეთის საკალათბურთო ლიგას შორის თანამშრომლობა. აქ კი, ამერიკაში, საკმარისი რაოდენობის გუნდები გვყავს"*, - აცხადებს დევიდ სტერნი.

ჩოგბურთი

## ბრიტანეთი ხორვატიას უიმბლდონზე უმასპინძლებს

სექტემბერში, დევისის თასზე ბრიტანეთის ნაკრებს მეტად მნიშვნელოვანი მატჩი ელის ხორვატიასთან. ეს იქნება მსოფლიო ჯგუფში გადასასვლელი შეხვედრა.

გუშინ გაირკვა, რომ ბრიტანელები მოწინააღმდეგეს უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე უმასპინძლებენ, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. უკანასკნელად, ბრიტანეთმა დევისის თასის მატჩი უიმბლდონზე 2000 წელს გამართა და მაშინ, ყველასთვის მოულოდნელად ეკვადორთან წააგო - 2:3.

ჰოკეი

## ფანოფი მოსკოვში ჩავიდა

მოსკოვში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე უკვე ორი ტურის მატჩები გაიმართა, მაგრამ ტურნირში მონაწილე გუნდები აგრძელებენ შემადგენლობებში დატოვებული ვაკანტური ადგილების შევსებას.

სერიოზული ძალა დაემატა კანადის ნაკრებს. ამ გუნდში ითამაშებს "კალგარი ფლეიმზის" მცველი - **დიონ ფანოფი**, რომელიც 2005 წელს, ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული იყო. სააგენტო AP-ის ინფორმაციით, ფანოფმა ჩემპიონატში სამი მატჩით დისკვალიფიცირებული **ში უებერი** უნდა შეცვალოს.

წელს, "კალგარის" ახალგაზრდა ჰოკეისტმა პირველად ითამაშა NHL-ის "ყველა ვარსკვლავის მატჩში".

## სლოვაკეთს ჰოსა და დემიტრა დაემატნენ

საბოლოოდ დაკომპლექტდა სლოვაკეთის ნაკრები, რომელსაც მოსკოვში, ალბათ, ყველაზე ვარსკვლავური შემადგენლობა ჰყავს ჩაყვანილი.

ნაკრებს შეუერთდნენ თავდამსხმელები - **მარიან ჰოსა** ("ატლანტა ტრეშერზი") და **პავოლ დემიტრა** ("მინესოტა უაილდი").

ჰოსამ უკვე ითამაშა გერმანიის წინააღმდეგ და ერთი საგოლე პასიც გააკეთა. დემიტრას დებიუტი კი, მესამე ტურის მატჩში შედგება.

კრივი

## სოლისმა ნოკაუტით დაიწყო

კუბიდან გაქცეულმა ცნობილმა მოკრივემ - **ოდლანიერ სოლისმა** პროფესიულ რინგზე პირველი ბრძოლა ჩაატარა. ჰამბურგში ის 44 წლის გერმანელ **ანდრეას სიდონს** დაუპირისპირდა და უკვე პირველ რაუნდში, ნოკაუტში გაგზავნა მეტოქე. სხვათა შორის, სიდონი დღემდე გერმანიის უძლიერესი მძიმეწონოსანის სახელს ატარებს.

სოლისი სამოყვარულო რინგზე 91 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა. კუბელი ათენის ოლიმპიური თამაშების ოქროსმედალოსანი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახლავთ.

*"მომდევნო ბრძოლას სოლისი 16 ივნისს, ანკარაში გამართავს"*, - განაცხადა მოკრივის მენეჯერმა, **აჰმეთ ონერმა**.

# ველოსპორტი



ივან ბასო

ვარსკვლავი

## ბასომ გუნდი დატოვა

ჯირო დიტალიას მოქმედმა ჩემპიონმა, იტალიელმა **ივან ბასომ** "დისქავერი ჩენელი" დატოვა. ეს ჯიროს დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა. ყველაფრის მიზეზი კი ისაა, რომ მას კვლავ მოუწევს თავის მართლება იტალიის ოლიმპიური კომიტეტის დოპინგსაწინააღმდეგო ოფისის წინაშე.

ამერიკულმა გუნდმა ბასოს თავისი წევრობა დროებით მაშინვე შეუჩერა, როგორც კი იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ველომრბოლის წინააღმდეგ საქმე განაახლა. ბასოს მაშინვე უთხოვია გუნდის ხელმძღვანელობისთვის კონტრაქტის გაუქმება. პასუხი კი ახლაღა მიიღო.

*"ჩემთვის და ჩემი ახლობლებისთვის ეს ძალიან ძნელად მისაღები გადაწყვეტილება იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავი. გუნდის ხელმძღვანელობას და წევრებს ყოველთვის სჯეროდათ ჩემი და ყოველთვის პატივისცემით მეპყრობოდნენ. მეც მათ დიდ პატივს ვცემ და ეს ნაბიჯიც სწორედ ამის გამო გადავდგი. გუნდი ახლა ახალი სპონსორის ძიებაშია და ჩემთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მისი მოძებნა გაუჭირდება. უსპონსოროდ კი გუნდის არსებობა წარმოუდგენელია. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ეს გადაწყვეტილება ჩემთვის არავის უკარნახია. ჩემთვის არავის უთქვამს წადიო, მაგრამ მე სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო"*, - ამბობს 29 წლის ბასო, ვინც იტალიის ოლიმპიური კომიტეტის წინაშე პირველად დღეს უნდა წარსდგეს.

გუნდის სპორტული დირექტორი **იოჰან ბრიუინელი** ამბობს, რომ მან სცადა, ბასოსთვის ეს გადაწყვეტილება შეეცვლევინებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: *"ივანის მოთხოვნა ჩვენთვის მოულოდნელი იყო. თავიდან მეგონა, რომ ეს ემოციით ნაკარნახევი ნაბიჯი იყო და ვთხოვე, ნუ აჩქარდებოდა. მაგრამ, როცა მივხვდით, რომ ეს არ მოხდებოდა, მოთხოვნა შევუსრულეთ. დიდი ხანი არაა, რაც ის ჩვენს გუნდში გადმოვიდა, მაგრამ ამ მოკლე დროში თანაგუნდელებისგან დიდი პატივისცემა დაიმსახურა. ის გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო. მინდა, გუნდთან ერთად, ყოველივე საუკეთესო ვუსურვო"*.

ბასოს ბრალი ედება მსოფლიოს დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს კოდის 2.2 მუხლის დარღვევაში, რაც აკრძალული პრეპარატებისა და აკრძალული მეთოდების გამოყენებას, ან გამოყენების მცდელობას ნიშნავს. თავად ბასო თავს უდანაშაულოდ აცხადებს და ირწმუნება, რომ არასოდეს დაურღვევია დოპინგსაწინააღმდეგო კანონები.

■ ■ ■

სკანდალური განცხადება გააკეთა გერმანულ გუნდ "ტე-მობილის" (ადრე დოიჩე ტელეკომი ერქვა) ყოფილმა ექიმმა **ჯეფ დ'ჰონტმა**. მისი თქმით, 1996 წლის ტურ დე ფრანსის დროს, ამავე რბოლის 1997 წლის ჩემპიონი, გერმანელი **იან ულრიხი** აკრძალულ პრეპარატ ერითროპოიეტინს (EPO) იყენებდა.

ეს კაცი "დოიჩე ტელეკომში" 1992-1996 წლებში მუშაობდა. 1996 წლის ტურზე ულრიხმა მეორე ადგილი დაიკავა, გამარჯვება კი მისმა დანიელმა თანაგუნდელმა **ბიარნე რიისმა** (ახლა ის დანიურ გუნდ CSC-ის შეფია) მოიპოვა. დ'ჰონტი ამბობს, რომ ორი ექიმი, რომლებიც გერმანულ გუნდში მასთან ერთად მუშაობდნენ და ხშირად იყენებდნენ აკრძალულ პრეპარატებს, "ტე-მობილში" ახლა ექიმ-მეთვალყურეები არიან.

ეს ორნი არიან ქალაქ ფრიბურგის უნივერსიტეტის პროფესორები, **ლოთარ ჰაინრიხი** და **ანდრეას შმიდი**. დ'ჰონტის თქმით, ეს ორი ექიმი აკონტროლებდა 1996 წლის ტურზე EPO-ს გამოყენების პროცესს.

სხვათა შორის, დ'ჰონტი ირწმუნება, რომ 1996 წლის ტურზე EPO-ს წყალობით გაიმარჯვა რიისმაც, ვინც ახლა დოპინგთან მებრძოლთა ავანგარდშია და სწორედ ამიტომ, თავის დროზე, თავისი გუნდიდან წასვლა აიძულა ბასოს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# ჩოგბურთი

## ტურნირები

**ATP**

**ესტორილის ღია**

ესტორილი (პორტუგალია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 531 250 ევრო

**I წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერ, 3)-იგორ ანდრეევი (რუს) 6:2, 4:6, 7:6; **ხუან მონაკო** (არგ)-გაელ მონფილსი (საფ, 8) 7:5, 1:6, 6:2; **ალბერტო მარტინი** (ესპ)-ევგენი კოროლიოვი (რუს) 6:1, 2:0 კოროლიოვის უარი; **ფრედერიკო ჟილი** (პორ)-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:1, 4:6, 6:3; **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგ)-ალეხანდრო ფალა (კოლ) 1:6, 6:2, 6:4; **სანტიაგო ვენტურა** (ესპ)-სერხიო როიტმანი (არგ) 7:5, 6:2.

**BMW Open**

მიუნხენი (გერმანია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 353 450 ევრო

**I წრე**

**მიხაილ იუჟნი** (რუს, 3)-შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 3:6, 6:1; **მარკოს ბაღდატისი** (კვიპ, 4)-დიეგო ჰარტფილდი (არგ) 7:6 (5), 6:3; **იურგენ მელცერი** (ავსტრია, 8)-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:2, 6:4; **დანიელ ბრანდსი** (გერ)-მარტინ ფერკერკი (ჰოლ) 7:6 (4), 6:3; **მარტინ ვასალო არგელო** (არგ)-ჰიუნ ტაიკ ლი (კორ) 7:6 (5), 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერ)-არნო კლემანი (საფ) 6:2, 7:6 (5).

**WTA**

**J&S Cup**

ვარშავა (პოლონეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 600 000 დოლარი

**I წრე**

**ნადია პეტროვა** (რუს, 5)-კატარინა პიტერი (პოლ) 6:3, 7:5; **ანა ჩაკვეტაძე** (რუს, 6)-ჯილ კრეიბასი (აშშ) 7:6 (6), 7:5; **ალიონა ბონდარენკო** (უკრ)-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 8) 6:3, 4:6, 6:1; **მარა სანტანჯელო** (იტა)-სევერინ ბრემონი (საფ) 6:2, 6:3.

**ესტორილის ღია**

ესტორილი (პორტუგალია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 145 000 დოლარი

**I წრე**

**ლუსი საფაროვა** (ჩეხ, 3)-არავან რეზაი (საფ) 7:6 (5), 7:5; **ოლგა პუჩკოვა** (რუს, 5)-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:3, 4:6, 7:6 (5); **ნურია ლაგოსტერა ვივესი** (ესპ)-კატარინა ნოგეირა (პორ) 6:1, 7:6 (2); **ვიქტორია აზარენკა** (ბლრ)-ვირჟინ რაზანო (საფ) 7:6 (14), 7:5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სპორტული გაზეთი**

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
**პაატა გელაშვილი**

რედაქტორები
**მამუკა ჩიხლაძე**
**გია თვალაბეიშვილი**

ქართული სპორტი
**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაბაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**
**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა სიმონიშვილი**
**ზვიად შათირიშვილი**
**კობა ხატისაშვილი**
**ბესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი
**შალვა ბიბილაშვილი**
**გოგა ახალაძე**
**გოტფრიდ ლენცი**
**ილია ნიკოლაიშვილი**
**მერაბ ლორთქიფანიძე**
**დავით ჩუბინიძე**
**ზურაბ თალაკვაძე**

რეგიონული კორესპონდენტები:
**დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი**
**ნუგზარ სუარიძე**

ტექნიკური რედაქტორი
**მიხეილ ჯაში**

ტექნიკური ჯგუფი:
**მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი**

კორექტურა
**ლელა ხომასურიძე**
**ლევან ბიბილაშვილი**

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
**დავით მაისურაძე** (დირექტორის მოადგილე),
**გივი ვეშაპიძე,**
**ქეთევან დიდბერიძე**

მარკეტინგის სამსახური
**თამარ ჯიშკარიანი** (ტ: 46 34 48)
**ბაქარ გაჩეჩილაძე** (ტ: 899 91 87 17)
**შალვა ებანოიძე**

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
**მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 64-76)
**ერემო მახათაძე** (1952-53)
**ირაკლი უგულავა** (1953-64)
**ანზორ ბასილაია** (1976-83)
**არჩილ გოგელია** (1984-85)
**თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10[ა],
0159 თბილისი
(დიდომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**